„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2017 წ. დეკემბერი* №55 * ფასი 1,50 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



შავნაბადას წმ. გიორგის ეკლესია, XX ს.

წერილი ტაოელებს

გვ. 4, 9

ვასტანგ (ლოთი) ჟობალიას ბედნიერებისა და ბალანტის ოჯახი

გვ. 6

ჯანსუღ ჩარკვიანი დადანაშაულებულია შეკეთილ მკლელობაში

ლეილა ცომაია

კომპარტიის ნომენკლატურული პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდაზე დაკრძალვის გადაწყვეტილებას, ბიძინა ივანიშვილისა და პატრიარქ ილია II-ის მიერ (რასაც დაეთანხმა მაყვალა გონაშვილის მწერალთა კავშირიც), ფართო საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება მოჰყვა. ცნობილია, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი, ბიძინა ივანიშვილის იმ ფავორიტ კულტურის მუშაკთა სიაში იყო, რომლებსაც ივანიშვილი, ყოველთიური ხელფასის სახით 5 000 ლარზე მეტს უხდიდა და გავრცელებული ცნობით, ჯ. ჩარკვიანის, არცთუ ხანმოკლე ავადმყოფობის კლინიკური მკურნალობის სოლიდური ხარჯებიც, ბიძინა ივანიშვილმა გაიღო.

მიმაჩნია, რომ ჯანსუღის დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით მეტი პასუხისმგებლობა და ობიექტურობა მართებდა გადაწყვეტილების მიმღებ პატრიარქს, მწერალთა კავშირსა და პრემიერ-მინისტრსაც, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ნების უსიტყვო აღმსრულებელია. ხოლო, ოჯახის წევრებს, უნდა დაეძლიათ მთაწმინდის პანთეონის ცდუნება.

რაც შეეხება პროტესტს, მე საგანგებოდ არ გავავრცელე წინასწარი ინფორმაცია საპროტესტო პიკეტის შესახებ, რათა თავიდან ამეცილებინა დაპირისპირება და ხმაური იმ საკრალურ ადგილას და, როგორც ასეთი, გარდაცვლილის მიმართაც... და თუ ვინმემ დაარღვია ეს ეტიკეტი, დაარღვიეს სწორედ გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა და საბჭოური ხანის ე.წ. კულტურის მუშაკებმა. ჩვენ კი სხვა არჩევანი არ გაგვაჩნდა და ჩვენს არჩევანშიც მაქსიმალურად შემოვიზღუდეთ - მხოლოდ ორნი, მე და თამარ ლომთაძე ავედით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ღირსეული ქართველი ერის სახელით... (არ ვიახლეთ არცერთი მამაკაცი).

ჯანსუღ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, იზა ორჯონიკიძის, ჭაბუა ამირეჯიბის და მათ მსგავსთა, ცოფიანი დევნისა და დამხობის მოწოდებებით, შევარდნაძის ხელისუფლება, ტყე-ტყე დასდევდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და საფლავშიც კი არ აყენებდა მას, რის გამოც სამეგრელოს მოსახლეობა იძულებული ხდებოდა დროდადრო შეეცვალათ პრეზიდენტის საფლავის ად-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

გილსამყოფელი. პრივილეგირებულმა წითელმა ინტელიგენციამ და ხუნტის ხელისუფლებამ, არ დართო ნება ქართველ ერსა და ოჯახს, მოწამეობრივად მოკვდინებული პირველი პრეზიდენტის საკუთარ კოლხურ კოშკში დაკრძალვისა.

მიმდინარე წლის 9 ნოემბერს კი, ეს საბჭოთა პოეტი ჩარკვიანი დაკრძალეს ზვიადის, ქაქუცას და მუხრანის საფლავების წინ, რომელთა იდეურ მტერს წარმოადგენდა იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, რაზედაც მე და თამარ ლომთაძემ მხოლოდ მდუმარე პროტესტი გამოვხატეთ პლაკატებით ხელში: „ნუ გადააქცევთ მთაწმინდას ნომენკლატურული მწერლების საძვალედ!!!" "მთაწმინდიდან გადაასვენეთ კეკე, გრიბოედოვი და ჭაბუა!!!"

ჯანსუღ ჩარკვიანს, არც 2007 წელს მიუგია პატივი მთაწმინდაზე ასვენებულ ზვიადისთვის. თაკო ჩარკვიანი კი ავრცელებს ტყუილებს ჯანსუღის ართქმული მონანიების შესახებ და განა მარტო ამას? ... საბჭოური ტიპის ტელევიზია „იბერია ტვ"-ი (რომელიც ჩარკვიანების საოჯახო ტელევიზიაა), ჯანსუღის სახით ქმნის ყალბ პატრიოტს, ყალბ დისიდენტს, მითებს, რომ თითქოს ჯანსუღს, არც სნგ-ეში შესვლაზე მოუწერია ხელი, არც ზვიადის მწერალთა კავშირიდან გარიცხვაზე, რომ ჯანსუღი ზვიადის თანამებრძოლი პატრიოტი, „დიდი პოეტი და მამულიშვილი" იყო და ა.შ. ამ ტყუილის კორიანტელს თაკო ჩარკვიანმა დაამატა, რომ თითქოს „სახალხო პოეტი" ჯანსუღი მთაწმინდაზე აასვენა ლამის ნახევარმა საქართველომ, მაშინ როცა იქ 100 კაცამდეც თუ იქნებოდნენ და მათგან, თითქმის ნახევარი, უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლები იყვნენ...

ხმაური და აჟიოტაჟი კი, ჩვენს სამართლიან და ტაქტიან პროტესტზე მთაწმინდის პანთეონში, თავად შექმნეს პატივმოყვარე წითელმა ინტელიგენციამ და გარდაცვლილის ოჯახის პატივმოყვარე წევრებმა. ხოლო ჩვენ კი მოთმინებით აღვიჭურვეთ, მიუხედავად, მათი მხრიდან სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფების ნიაღვრისა და ფურთხისაც კი!

ახალშესვენებული "სახალხო პოეტი", 1993 წელს შევარდნაძის პარლამენტში მოითხოვდა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი ქართველი პოეტის ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილის დაპატიმრებას, რომელიც იმთავითვე წინ აღუდგა სახელმწიფო გადატრიალებას და პუტჩისტებს! ბატონი ჯანსუღის შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლია პოეტ მთვარისა კერესელიძის მეუღლე (ასევე პოეტი), 52 წლის ბერდია ბერიაშვილი - გაზეთ „ცისარტყელას" მთავარი რედაქტორი, რომელსაც, 1992 წლის 17 იანვარს, ნაშუაღამევს, სახლში შეუვარდნენ დაქირავებული მკვლელები და ავტომატით დაჭრეს სასიკვდილოდ. ხოლო დაჭრილს, რომელსაც მეზობლებმა უპატრონეს, მიუვარდნენ საავადმყოფოში, მაგრამ ექთნებმა გადამალეს. შემდეგ კი დაარბიეს მისი რედაქცია, ხოლო სტამბაში გაანადგურეს გამოსაცემად გამზადებული 16-გვერდიანი გაზეთი, რომელშიც იბეჭდებოდა ჯანსუღის მოღვაწეობის მამხილებელი ვრცელი წერილის მესამე(დასასრული) ნაწილი. მოკლული პოეტის ცოლ-შვილი დაითხოვეს სამსახურებიდან, ხოლო ერთერთ იურისტ შვილს, რომელმაც დაიწყო მამამისის მკვლელობის გამოძიება, ჯერ ფული შესთავაზეს და უარის პასუხად, იგივე დაქირავებულმა მკვლელებმა რამდენჯერმე სცადეს მისი მოკვლაც, დაჭრილი (საბედნიეროდ) გადარჩა.

ბერიაშვილის პოეტმა მეუღლემ, ქალბატონმა მთვარისა კერესელიძემ, დაქირავებული მკვლელების მიგზავნაში, ჯანსუღ ჩარკვიანი ამხილა. ჯანსუღ ჩარკვიანისა და მისი მსგავსი პოეტების მხარდაჭერით, სამეგრელოს 6-ჯერ შესეული ხუნტა, მშობლებისა და ქმრების თვალწინ აუპატიურებდა გოგონებს, ცოლებს (მათ შორის, ფეხმძიმეს), ხვრეტდა ახალგაზრდებს, ხოლო დახვრეტილებს არ აძლევდა ოჯახებს და დაუსაფლავებელი გვამებით ყარდა ქუჩები... უახლესი ისტორია, წითელი ინტელიგენციის მტრობისა და ღალატის ისტორიაა ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოსა და ქართველი ერის წინაალმდეგ.

სააგენტო „ნუს. გე-მ" გამოაქვეყნა თაკო ჩარკვიანის წერილი, რომელშიც იგი სრულიად უაპელაციოდ, მე რუსეთის აგენტობაში მდებს ბრალს: „...დიახ სწორედ ქ.ნ ლეილა ცომაია და კიდევ რამდენიმე ვითომ გამსახურდიას მომხრე " ე.წ.კარვის ქალი" ფინანსდებოდა რუსეთის უშიშროებიდან და ახლაც იგივე კაცი აგრძელებს, მათ დაფინასსებასო" წერს გაავებით. რუსეთის აგენტობაზე თავის მართლებას ნამდვილად არ მოვყვები, მაგრამ იმის ინტერესი კი ნამდვილად მკლავს, ვინ არის ის ჩემი „დამფინანსებელი", რომლის ერთ რუბლსაც, ჯერაც არ მოუღწევია ჩემამდე.

მთაწმინდის პანთეონის ხმაურიანი პროტესტის ფონზე, ქართველ ერს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა პოზიციაზე იყვნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილები. ამ ლოგიკურ კითხვაში გასარკვევად, ჩემი კომენტარის გარეშე გთავაზობთ ცოტნე გამსახურდიას ფეის-პოსტს:

ცოტნე გამსახურდია
2017 წლის 6 ნოემბერი, 12:49-ზე ·

ახლახანს ჯანსუღ ჩარკვიანი გარდაიცვალა 86 წლის ასაკში. კეთილშობილი, მხნე მოხუცი, კარგი ოჯახის ფუძემდებელი, სვანი ვაჟკაცი, რომელსაც უყვარდა სამშობლო და მის სიყვარულში დახარჯვაც შეეძლო და შეცდომების აღიარებაც.

რამდენიმე დღეა მე და ჩემი მეგობარი Rati ერთი, დაახლოებით ამავე ასაკის მოხუცის დახმარებას ვაპირებთ საკვებითა და თბილი ტანსაცმლით, რომელსაც არავინ ჰყავს ამქვეყნად. ოჯახი ჯერ 40-იან წლებში დაუხვრიტეს კომუნისტებმა და მთელი ცხოვრება მარტო გაატარა. ბინა დაკარგა და ახლა ნანგრევებში ცხოვრობს, შეხიზნული.

დაე, ეს დახმარება ჯანსუღის სულს შეეწიოს, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ..

ხოლო (როგორც მაცნობეს), კოკო გამსახურდია მისალმებია თაკო ჩარკვიანის ჩემზე თავდასხმას საკუთარ ფეისბუკის გვერდზე ამგვარი შეძახილით: „ბრავო, თაკო!" მაგრამ, ვინაიდან ეროვნულმა ძალებმა შეარცხვინეს იგი ამგვარი საქციელის გამო, მალევე წაუშლია თავისი შეძახილი. თაკო ჩარკვიანის თქმით, კოკომ და ცოტნე გამსახურდიამ, სახლში მისვლით მიუსამძიმრეს მას დიდი მამის გარდაცვალება. რაც შეეხება მანანა არჩვაძეს, მან დუმილი ამჯობინა საკუთარ „მრგვალ მაგიდელებთან და ეროვნულ მთავრობასთან" ერთად. არავითარი პროტესტი! არავითარი უკმაყოფილობა!

ვიდრე ჯანსუღის სამგლოვიარო პროცესია დაიწყებოდა, მთაწმინდაზე ელდარ შენგელაია მედიდურად მიუახლოვდა ზვიადის საფლავს და მედიდურადვე დააცქერდა, რაზეც მე დაბალი ხმით შევნიშნე მას: „პრეზიდენტის დევნასა და წამებით მოკვდინებაში თქვენი დიდი წვლილიც არის"-მეთქი, რის შემდეგაც იგი სასწრაფოდ გაეცალა საფლავს. 1998 წელს ვახტანგ რაზმაძემ დაბეჭდა წერილი (გაზ. „ახალი საქართველო", 19-25 მარტი, გვ.15) ელდარ შენგელაიაზე, სადაც იგონებს:

„ე. შენგელაიამ მითხრა: „ვახტანგ, ძალიან პატივს გცემ. არ ხარ ცუდი ადამიანი და გთხოვ. ნუ ემსახურები გამსახურდიას. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, მაგი დაღუპავს საქართველოსო".

ჯანსუღ ჩარკვიანის გათხრილი საფლავის კურთხევის უფლება, მდაბალი თხოვნით, არ მივეცი საამისოდ მომზადებულ მღვდლებს...

ჯანსუღ ჩარკვიანი: „მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონდეს ზვიად გამსახურდიას საქართველო."

(ჯ.ჩარკვიანი, „ვანათლება", 25.IX.91 წ.). ჯანსუღის "გენიალური პოეტური შედევრია", აგრეთვე, სიძულვილით შერითმული: "ზვიადი - წყდიადი"...

ჯანსუღ ჩარკვიანის პირუთვნელი თვითშეფასებაა საკუთარ ლექსში: „მავთულზე ვდგავარ, როგორც ჯამბაზი და მეშინია ძირს ჩამოვარდნის"... ეს შიში, მას უთუოდ, სიკვდილის ბოლო წუთამდე გაჰყვა და სიკვდილში მაინც ჩამოვარდა; ჩარკვიანის მთაწმინდიდან გადმოსვენება, მხოლოდ დროის საკითხია...

გვ. 14-15-16-ზე იხილეთ მოკლულ პოეტ ბერდია ბერიაშვილის დაუსრულებელი სტატია გაზეთ „ცისარტყელადან" ჯანსუღ ჩარკვიანზე... ქვემოთ კი ვბეჭდავთ ინტერნეტში გამოქვეყნებულ ახალგაზრდა პუბლიცისტის სტატიას ჩარკვიანებზე.

ივლისი 26, 2017

„ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს"

„იმედის" ეთერში ინგა გრიგოლიასა და შალვა რამიშვილის გადაცემა. სტუმრად მიწვეულმა ბატონმა ჯანსუღმა შალვა რამიშვილის პროვოკაციულ შეკითხვაზე _ ლენინ-სტალინზე ლექსები არ დაგიწერიათო? _ ისეთი ტყუილი დაახეთქა წარბშეუხრელად, რომ სირცხვილისგან მის მაგივრად ყურები მე ამეწვა: „ლენინზე არა, მაგრამ სტალინი ერთი–ორგან მყავს ნახსენებიო", _ განაცხადა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა(საკვირველია, რომ ვიკიპედიაში არაფერი წერია ბატონი ჯანსუღის ლენინური კომკავშირის პრემიით დაჯილდოებაზე).

ცალკე თემაა ბატონი ჯანსუღის მართლაც პირმშვენიერი ასული, ქალბატონი თამარი, თაკოდ წოდებული, რომლის ხელოვნურად განაბული თვალებიდან დაყენებულმა „არისტოკრატულმა მზერამ" ლამის ნახევარ საქართველოს ნევროზი დამართა. როგორც კი ეს ქალბატონი პირს გააღებს და მორალის კითხვას დაიწყებს, მისი ვიზუალური სილამაზე უკვალოდ ქრება. იყო პერიოდი, ლამის ყოველდღე იჯდა სხვადასხვა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში და ნებისმიერ თემაზე ისე „პროფესიონალურად" ლაპარაკობდა, რომ, ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, იფიქრებდით, ამ ქალბატონს „საყველაფრო" აქვს დამთავრებულიო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქალბატონ თაკოს ერთი „ფრთიანი ფრაზა": „ოო, რა დიდი განსხვავებაა ჩურკინთან მოპაექრე ალასანიასა და პუტინის გვერდით მჯდომ ნინო ბურჯანაძეს შორის".

და კიდევ _ ყველა ეთერში ქალბატონ თაკოს წარადგენდნენ, როგორც პუბლიცისტს და ახლა ვსვამ კითხვას: ვინმეს წაკითხული გაქვთ თაკო ჩარკვიანის „პუბლიცისტიკა"?

საზოგადოდ, როგორც წესი, შვილი განაგრძობს ხოლმე მამის გზას, მაგრამ ჩარკვიანების შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირიქითაა _ შვილმა გადაიყვანა მამა ლიბერალურ რელსებზე, რომელზეც საბჭოეთშიაღზრდილ, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატსა და საქართველოს „სახალხო პოეტს" არასოდესუოცნებია, რადგან, როგორც ე.წ. ელიტური შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი, მუდამსარგებლობდა საბჭოთა პერიოდში არსებული პრივილეგიებით, შავი „ვოლგა" იქნებოდა ეს, ბინები თუსპეცმაღაზიები, სახელმწიფო აგარაკები მთაში თუ ზღვაზე, სპეცსაავადმყოფოები და ა.შ.

ბატონი ჯანსუღი მომენტს არ გაუშვებს, არ დაიტრაბახოს, რომ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია", ზემოდან სანქციის გარეშე, ლამის საკუთარი სიცოცლის რისკის ფასად დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში", ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ლენინზე ლექსების იგავი. 1970-იანი წლების დასაწყისში ასეთ თვითნებობას არავის აპატიებდა საბჭოთა ხელისუფლება. და მეორეც _ საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი არალოიალურ „სახალხო პოეტს" ხალხი მეტსახელად ჯანსუკს (ახალგაზრდებისათვის განვმარტავ: სუკი აბრევეატურაა და ასე იშიფრება _ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რატომ შეარქმევდა?

ბატონი ჯანსული, აგრეთვე, ხშირად ყელყელაობს იმით, რომ ერთადერთი იყო, ვინც ხმა არ მისცა მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, იმას კი „ვერ იხსენებს", რომ „ლომთახვედრიას" ავტორმა, შევარდნაძის სხვა „შემოქმედებით ინტელიგენტებთან" ერთად, ლომის წილიდაიდო ზვიად გამსახურდიას „საქართველოდან გარიცხვაში"... მკითხველი შენიშნავდა, რომ ბატონი ჯანსუღისადმი მიმართვისას სახალხო პოეტი ყველგან ბრჭყალებშია ჩასმული და ეს არა იმიტომ, რომ დიდ პოეტად თუ არა, საერთოდ, პოეტად არ მიიჩნევს საზოგადოება. არა, ბატონებო! ჯანსუღ ჩარკვიანი დიდი პოეტი არ არის, მაგრამ რამდენიმე კარგი ლექსი მართლაც დაწერა!

ამას წინათ ცეკას ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიამბო: როდესაც ედუარდ შევარდნაძე „ლეჩკომბინატში" სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ნოდარ დუმბაძის სანახავად მისულა, დამშვიდობებისას ბატონ ნოდარს, იმჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, შევარდნაძისთვის უთხოვია, გნებავთ, ანდერძად დაუგდია - მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჯანსუღ ჩარკვიანი არ დანიშნოო. ეს ამბავი, თვითონ შევარდნაძემ მიამბოო, ირწმუნება ცეკას ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის ვინაობასაც მისი თანხმობის გარეშე, ცხადია, არ გავამხელ.

ლაკინ მხეიძე

http://geworld.ge/ge/
(სტატიის შემოკლებული ვარიანტი- ლ.ც.)

ტერორისტული აქტის მცდელობები საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების მხრიდან?...

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს დედაქალაქ თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე (ბერი გაბრიელ სალოსის, ისნის რაიონი) მდებარე კორპუსში, რამდენიმე თვის განმავლობაში ბინადრობდნენ ჩეჩენი „საერთაშორისო ტერორისტად“ მიჩნეული აჰმედ ჩატაევის რაზმის ჩეჩენი თანამებრძოლები, რომლებიც (მეზობელი მობინადრეების თქმით, სავარაუდოდ) საბრძოლო არსენალს ეზიდებოდნენ ზემოხსენებულ მისამართზე ნაქირავებ ბინაში. შსს სამინისტროს შესაბამის განყოფილებაში შესული შეტყობინების საფუძველზე, საეჭვო პირების მიმართ დაწესებულა კონტროლი და 22 ნოემბერს, გვიან ღამით დაიწყო „ტერორისტების“ დაკავების სპეცოპერაცია, რამაც 22 საათი გასტანა.

„ტერორისტებმა“, საგანგებოდ გაწვრთნილ და სპეცტექნიკით შეიარაღებულ საქართველოს შსს რაზმს ცეცხლი გაუხსნეს და ორმხრივი ბრძოლები, მათ შორის ხელყუმბარებით, რამდენიმე საათი მიმდინარეობდა. დაზიანდა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა კორპუსის რამდენიმე სართული.

ბრძოლის სამიზნე კორპუსიდან ევაკუირებული იყო მოსახლეობა. სამთავრობო სპეცრაზმელებმა 3 ტერორისტის ლიკვიდირება შეძლეს, მათ შორის ერთმა, აჰმედ ჩატაევმა(რომელსაც ცალი ხელი და ცალი ფეხი ბრძოლებში ნახევრად მოკვეთილი ჰქონდა), ოფიციალური ინფორმაციით, ნაქირავებ ბინაში „შაჰიდის ქამრით“ აიფეთქა თავი. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ინფორმაცია ხელისუფლების ინტერესებში შემავალი ცრუ ინფორმაცია იყოს, ვინაიდან ახალგაზრდა აჰმედ ჩატაევს (იგი1980 წელს, ჩეჩნეთის სოფელ ვედენოში იყო დაბადებული) თბილისის ციხეში მოუწევდა, თუნდაც სამუდამო პატიმრობა სიცოცხლის უზრუნველყოფით. ყმაწვილკაცობიდან დევნისა და ბრძოლის ტრაგიკული ყოფის მიუხედავად, რაც არეკლილი იყო მის ბრიალა, ნაადრევად დაკაცებულ და დაბრძენებულ მზერაში, მაინც ნაკლებსავარაუდოა, რომ ჩატაევი ასეთ სასოწარკვეთილებამდე მისულიყო. იგი, ავსტრიის მართლმსაჯულების მიერ, 2003 წელს, პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსითაც იყო აღჭურვილი...

22 ნოემბრის კონტრტერორისტული ოპერაციის დროს დაიღუპა ერთი ქართველი სპეცრაზმელი, 41 წლის ივანე გოლოშვილი. „ტერორისტები“ ჩატაევი და გუმაშვილი(ამ უკანასკნელმა გაქცევა მოასწრო) პანკისის ხეობის მაცხოვრებლები არიან. არაოფიციალურად გავრცელებული ხმების თანახმად, ჩატაევი და გუმაშვილი თავად საქართველოს ხელისუფლების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ (უფროსი ვახტანგ გომელაური)იქნენ შემოტყუებულნი და ტერორისტები მათივე სპეცმანქანით შემოვიდნენ სარფის საბაჟოდან.

22 ნოემბრის ტერორისტების ლიკვიდაციის სპეცოპერაცია, ბევრ საეჭვო კითხვებს ბადებს. კერძოდ: როგორც ოფიციალურად აცხადებენ, მათზე რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა თვალთვალი და თუ დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ტერორისტები იყვნენ, სახლიდან გამოსვლისას რატომ არ მოხდა მათი დაპატიმრების გეგმის შემუშავება (თუნდაც სახლში ან ქუჩაში...)? რატომ დაგეგმეს საბრძოლო მოქმედებები მძიმე ტექნიკით? ვის წინაშე მოიწონეს თავი ასე ხმაურიანად და რატომ მოახდინეს ტერორისტების ლიკვიდაცია და არა, აყვანა? ... რა მიზანს ემსახურებოდა სამიზნე კორპუსის დანარჩენ მაცხოვრებელთა შოკში ჩაგდება?...

22 ნოემბრის ბნელით მოცული სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობის სააკაშვილისეულ სპეცოპერაციას ჰგავდა, სადაც აგრეთვე შესწირეს ერთი ქართველი ექიმი... ლოპოტას სპეც-ოპერაციასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები და „ტერორისტების“ საიდუმლოდ დაკრძალვასთან დაკავშირებითაც...

ქეთევან ჭანტურია

ანტიტერორისტული ოპერაციის რეტროსპექტივა...

ის რაც, ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობის დღეებში, ზოგიერთ ქართველს დაემართა, განათლების სამინისტროს 27 წლიანი მოღვაწეობის შედეგია. „საქართველოს ისტორია“ კომუნისტური ეპოქის ტრადიციების გაგრძელებით მეათეხარისხოვან საგნად დარჩა და სწორედ ამის გამოა, რომ ქართველი მტერ-მოყვარეს ველარ არჩევს. ხოდა, ვინც განათლების სამინისტრომ გაწირა, იმათ შევახსენებ.

ქისტები, ანუ ჩეჩნები და ინგუშები, როგორც გენეტიკურად ისე ენობრივი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით საქართველოს სისხლი და ხორცია.

ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრება“ შეგვახსენებს, რომ ქართველთა მოდგმის ნათესავ კავკასიანთაგან ქისტების წინაპარი დურძუკი იყო რჩეულთა შორის რჩეული. დურძუკი იყო ფარნავაზის მეუღლე, პირველი დედა-დედოფალი საქართველოსი. ამ ერთობის გამო, ჩვენწელთაღიცხვამდე მესამე საუკუნეში, საქართველოს მთაში სვანეთიდან დიდოეთამდე, ქართულ სამეფო კარს ჩამოუსახლებია ჩვენი სისხლი და ხორცი ქისტების წინაპრები. ამ დროიდან მოყოლებული, რაც საქართველო არსებობს, სადაც ქართველს საქართველოსთვის სისხლი უღვირია, იქ ქისტის სისხლიც დაღვრილა საქართველოსთვის. სავსეა ჩეჩენ-ინგუშეთის მინა ქართული ცივილიზაციის და ქართული კულტურის კვალით, რადგან თავისუფალი ძმადნაფიცობის წესით ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდნენ ეს ხეობები. ასეთივე კვალი ამჩნევია დურძუკთა მოდგმისაგან საქართველოს მთას, რადგან 2300 წელია, როგორც ღვიძლი შვილები ისე მიიღო საქართველოს მთამ დურძუკები. ეს ჩანს ტოპონიმიკაში, ადათ- წესებში და გენეტიკაში.

2300 წელია არსებობს ერთიანი ქართული სახელმწიფო და 2300 წელია მას ქისტების მოდგმის გარეშე არ უარსებია. ისინი ყოველთვის ჩვენთან იყვნენ!!!

როდესაც მე-19 საუკუნეში, ქართველების დაჟინებით და ხელშეწყობით, ქისტები პანკისის ხეობაში ჩამოსახლდნენ, ისინი ქართველების მიწაზე კი არ მოვიდნენ, არამედ თავის მშობლიურ მიწაზე დასახლდნენ. პანკისის ხეობა მტრის შემოსევებისა და აოხრების გამო დაცლილი იყო და კახთა ძველ ნასოფლარებზე, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, ჩამოსახლდნენ ფშავლები, თუშები, ხევსურები, ქისტები, ოსები და ძველებურად აახმაურეს ხეობა.

მთიელები საკუთარი სამშობლოს ბარში ჩამოსახლდნენ, ისისნი არ მოსულან არსაიდან. ეს მათი მიწაა და ასე იქნება ყოველთვის!!! ქართული სახელმწიფოს სამსახურში რჩეული იყო დურძუკი და ასეთად დარჩება ყოველთვის, სანამ საქართველოს არსებობა უწერია!!!

საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თუ ხეობაში, ერთგულებთან ერთად, ყოველთვის იბადებოდნენ მოღალატეები და სახელმწიფოსთან დაპირისპირებული ადამიანები, მაგრამ მათი დანაშაული ვერასდროს მიაყენებს ჩრდილს იმ კუთხისა თუ ხეობის შვილებს.

ამიტომ ვინც დღეს ქისტებისა და პანკისელების შესახებ რაიმე აუგს, წერს სწორედ ის არის, თავისი უვიცობით და უგუნურობით, ქართული სახელმწიფოსა და ქართველობის მტერი!!!

ნუკრი მჭედლიშვილი

მესამტაბური სანქარი ბათუმის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში

22 ნოემბრის ტერორისტების ლიკვიდაციის შოკიდან, ჯერაც გამოუსვლელი საქართველოს მოსახლეობა, ახალმა თავზარდამცემმა შემთხვევამ შეძრა; 24 ნოემბერს, ბათუმში ხანძარი გაჩნდა ახალაშენებულ ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ლეო- გრანდში“. ცეცხლი სწრაფად მოედო სართულებს და ძლიერი დაკვამლიანობის წარმოქმნის გამო ხილვადობაც დაეცა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი გზას ველარ იკვლევდა. სასტუმროში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისა და სახანძრო გასასვლელების (კიბეების) არქონამ 11 ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა შორის 10 ქართველი და ერთი არაბია(იხ. დაღუპულთა ფოტოები).

40 მილიონი დოლარით აშენებულ სასტუმროში, ვერ გაიმეტეს (მეპატრონე აზერბაიჯანელი ბიზნესმენი), თუნდაც 300 00 დოლარი, რომ შესაბამისი სახანძრო ტექნიკითაც აღეჭურვათ იგი. სასტუმროს მეპატრონე გარდაცვლილთა ოჯახებს ფულად კონპენსაციას დაპირდა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა ქობულეთში 2015 წელს სასტუმროში, სადაც დაიღუპა 3 ბავშვი.

როგორც ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, აჭარის სასტუმროები არ არის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილი და არ არის დამსვენებელთათვის უსაფრთხო! (რედ).

ღია წერილი ტელეშედიას

ძალიან ხშირად გაიგონებთ, რომ ვცხოვრობთ პიროვნებათა კრიზისის ეპოქაში. ისე, კაცმა რომ თქვას, რისი დეფიციტი არაა საქართველოში (სიყვარულის, ერთგულების, სიმშვიდის, კომპეტენციის, სანდოობის...), მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ჩვენს მენტალობაშია. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტი, ერთ-ერთი უპირველესი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება უნდა იყოს, თორემ ძალიან დიდი დრო დასჭირდება ევროპულ ქვეყნად შედგომას. შესაძლოა, ბევრს ამისი იმედი გადაწურულიც ჰქონდეს, ზოგი ირონიითა და ნიჰილიზმით უყურებდეს ასეთ პერსპექტივას, მაგრამ ჩვენ სხვა გზა, სხვა ხსნა, სხვა არჩევანი არა გვაქვს. უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად დაანგრია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ქართველი ადამიანისა და, შესაბამისად, მიზანმიმართულმა ეროვნულმა ნიჰილიზმმა შვა არაქართული ფენომენი, -ინდიფერენტული და ეგოცენტრული.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება გულისხმობს სისტემურ, მრავალმხრივ და ინტენსიურ კვლევას არსებული სოციო-კულტურული სივრცისას და ნაციონალურ კულტურულ პარადიგმებზე დაფუძნებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამომუშავებას, რათა სამოქალაქო აქტივობა უცნაურად, უადგილოდ და სასაცილოდ არ აღიქმებოდეს საზოგადოების სნობურად გაბატონებულ ნაწილში, უკვე თავისი ე.წ. ცნობადი სახეები რომ ჰყავს და მათს აზროვნების წესს (სინამდვილეში უწესრიგობას) გვახვევს თავს.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა მენტალობის საყოველთაო ცვალებადობამ, რომელმაც მოიტანა ღირებულებათა ტოტალური გადაფასება, შეგვიყვანა უსულო და უღმერთო ცივილიზაციის დომინირების ფაზაში. დადგა კულტურის აღსასრული. მე-19 საუკუნის „სულით ობლობა“ (ნ. ბარათაშვილი) მე-20 საუკუნეში შეცვალა სულის სიცარიელემ: „სულიდაცარიელდადაელექტრონისნაკადითარშეიძლებამისიამოვსება“ - წერდა გერონტი ქიქოძე 1928 წ. ამავე ეპოქაში გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის სულისშემძვრელი ხმა: „ჩვენს ეპოქას სული არა აქვს და, თუ აქვს, მძულვარებაა მისი სახელი“, ამ სიძულვილმა კი 21-ე საუკუნეში ტრაგიკულად დაანგრია ქართული სული!

ტრადიციულად, საქართველოში სამი რამ ყველამ იცის: ფეხბურთი, ლიტერატურა და პოლიტიკა. ახლა ამას დაემატა ჟურნალისტიკა. ვისაც არ ეზარება, მიკროფონი უჭირავს ხელში - მერე რა, მსახიობია, ინჟინერი, ბანკირი თუ გეოლოგი?! მთავარია, პროდიუსერმა გაგზავნოს რეპორტაჟის მოსამზადებლად და რამეს მოახერხებს! ჰოდა, იქმნება და ვრცელდება ასეთი კურიოზები: 2010 წელს ერთ-ერთ ცნობილ საგამოფენო დარბაზში მე-20 საუკუნის ქართველი მხატვრების გამოფენა იმართება (ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ავთო ვარაზი და ა.შ.). რეკავს ცნობილი ჟურნალისტი და სთხოვს ორგანიზატორს, „რომელიმე მათგანი დამახვედრე, თუ შეგიძლია, თუნდაც ელენე ახვლედიანი!"...

მიუხედავად ამისა, დიდი ხანია, საქართველოში ე.წ. მეოთხე ხელისუფლება გაბატონებულ კლასად იქცა, უმჯობესია ითქვას, - კასტად! ამ დაქცეულ ქვეყანაში, სადაც არაფერი ფუნქციონირებს, სადაც უმრავლესობა უმუშევარია (და მაინც ვერ ვიცლით ერთმანეთისთვის!), აღარ ვიცით, დრო როგორ მოვკლათ, რა ვაკეთოთ, როგორ გავხალისდეთ, ძირითად გამრთობთავშესაქცევ საშუალებად ტელევიზორი რჩება (ტინეიჯერებში მას ენაცვლება კომპიუტერი - ვირტუალური სამყარო).

მე-20 საუკუნის მიწურულს, სამოქალაქო ომის შემდეგ, ისეთი დაუძლეველი ენერგო-კრიზისი იდგა საქართველოში, ტელევიზორი კი არა, ჩაის ასადუღებელი მბჟუტავი სინათლეც კი არ იყო ქვეყანაში, თუმცა სხვა ათასგვარი საშუალებით (ვისაც შეეძლო გენერატორებით, მანქანის აკუმულატორებით, საავადმყოფოდან გადმოყვანილი ხაზით...) უბანში, სადღაც ერთ ოჯახში შეიკრიბებოდა არგენტინულ ან ბრაზილიურ სერიალთა მაყურებელი, ყოფისაგან განამებული ხალხი და ტკბებოდა სხვისი ცხოვრების ცქერით, კომფორტით, ლამაზი სასახლეებითაა და ავეჯით, გაუგებარი სიყვარულითა და ოჯახური ურთიერთობებით. ტელევიზია მაშინაც და ახლაც, ძირითადად, საინფორმაციო გამოშვებებითა და სერიალებით კვებავდა საზოგადოებას. შავმა ყუთმა (თუმცა, დიდი ხანია სხვა შეფერილობაც მიიღო) - ტელევიზორმა (ზოგი ეშმაკის მანქანას რომ ეძახის) დაიპყრო ქართველი საზოგადოება (არამხოლოდ ქართველი), მიაჯაჭვა ცისფერ ეკრანს, წაართვა ფიქრის, საკუთარ თავთან დარჩენის საშუალება, დაუკარგა ესთეტიკა, შეაჩვია უხამს იუმორს, უგემოვნო მუსიკას. დაიწყო ადამიანთა ზომბირების გააზრებული პროცესი თავისი დამანგრეველი შედეგებით. დიდი ხანია, საზოგადოების მცირე ნაწილი სერიოზულადაა შეძრული და აღარ უჩნდება სურვილი, რომ ტელევიზორი ჩართოს, ქართულ არხებს უყუროს. რატომ?

თანამედროვე ქართველი საზოგადოება, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა წიაღში. ეს კარგად იცით ტელევიზიების მფლობელებმა და ცდილობთ, მართოთ საზოგადოებრივი აზრი. უფრო მეტიც, თქვენი ფარული სურვილია, საზოგადოება აქციოთ მასად, რომელსაც აღარ ექნება ინდივიდუალობის, ორგანიზების, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და საკუთარი აზრის მკვეთრი ნიშნები. დიდი ხანია, რაც კომერციალიზაციისა და კონცენტრაციის სწრაფმა პროცესმა, სახელმწიფო კონტროლის გაუქმებამ მასმედია უზარმაზარი შემოსავლების წყაროდ აქცია. შესაბამისად, მედიამაგნატებისათვის ინფორმაცია იქცა ჩვეულებრივ საბაზრო საქონლად, ტელევიზიის მართვა კი - ბიზნესად. ჩვენ, მაყურებლები, ანუ აუდიტორია, გავხდით ბაზარი. წესით, მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო აუდიტორია-საზოგადოება და არა აუდიტორია-ბაზარი! აქედან გამომდინარე, პროცესები, რომლებიც ჩვენ ირგვლივ ამ კუთხით მიმდინარეობს, შემაშფოთებელია. ქართველი აუდიტორიის ცნობიერება მთლიანადაა დამოკიდებული ტელევიზიით გავრცელებული და ინტერპრეტირებული ინფორმაციის შინაარსზე. ჟურნალისტიკის დანიშნულება „უთვალთვალოს და უყარაულოს„ სახელისუფლებო სტრუქტურებს, გულისხმობს იმასაც, რომ ჩასაფრებულის პოზიციიდან კი არ იღრინებოდეს, დეზინფორმაციასა და დეზორიენტაციას კი არ ეწეოდეს, არამედ სახელმწიფოებრიობის ინტერესების სადარაჯოზე იდგეს.

თანამედროვე ტელევიზიები, ძირითადად, მომართულია არა პოზიტივზე, არამედ -ნეგატივზე, უარყოფითზე, სკანდალურზე... ასეთი დამოკიდებულება არ არის მხოლოდ არაპროფესიონალიზმის შედეგი - ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა საზოგადოებრივი აზრის შექმნის, ჩამოყალიბებისა და მართვისა. ავტორიტარულ რეჟიმს სჭირდება ადვილად სამართავი საზოგადოება, რომელიც მისი მეხოტბე გახდება. ამდენად, ეს ლოგიკა დამღუპველია თავისი არადემოკრატიულობის სტანდარტის გამო. ამიტომაც გაემიჯნა საზოგადოების მცირე, მაგრამ მაინც რაღაც ნაწილი ტელეისტერიას საქართველოში, თანდათან იკლო ნდობამ ბაზარზე ორიენტირებული საინფორმაციო საშუალებების მიმართ. ამავე დროს, პიარტექნოლოგიების დაცვით, თუმცა გულისამრევი პათეტიკითა და სნობიზმით დაიწყო ამა სოფლის ძლიერთა და ე. წ. ელიტურ წრეთა „ღვაწლის“ წარმოჩენა.

თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ დემონთა შორის (ფული და ძალაუფლება) პოპულარობის სინდრომიც მოიაზრება. მშობლები ტყავიდან ძვრებიან, ოღონდ შვილები „ვარსკვლავებად“ აქციონ, უყიდონ ძვირადღირებული საკონცერტო კაბები, კომპაქტდისკებად ჩაწერონ საეჭვო გემოვნებისა და ხარისხის სიმღერები, ნასესხები ფულებით თუ ბანკიდან გამოტანილი კრედიტებით იარონ მათთან ერთად გასტროლებზე საზღვარგარეთ... იქმნება უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, ვითომცდა სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისათვის. ახლა ისინი აწყობენ პრესკონფერენციებს, ირქმევენ ექსპერტის სახელებს, რათა გახდნენ ცნობადი და კომპეტენტური სახეები თავიანთ დარგში. ვინ როგორ არ ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას... და, საბოლოოდ, მაინც ყველას უნდა ერთი რამ - ხშირად ჩანდეს ცისფერ ეკრანზე.

ტელევიზორი - ოჯახის სრულუფლებიანი ჯიუტი წევრია, დაუკითხავად გახვევს თავს ათასგვარ სიბინძურესა და უხამსობას, ტყუილსა და მართალს. ამ ისტერიაში შეუვალი იმიჯით, სრული მიუწვდომლობით წარმოგვიდგებიან თავად ტელესახეები, - ყოვლისმცოდნე და საზოგადოებრივი აზრის მიმართულების მიმცემნი. ბუნებრივად მივდივართ ტელეწამყვანის ფენომენთან. ეს ის ფაქტორია, რომელიც ყველაზე მეტად აღიზიანებს საზოგადოებას. ძალიან ბევრი ადამიანია ეკრენზე ისეთი, რომლის ადგილიც იქ არ უნდა იყოს. ასე თუ ისე კარგი ტელეწამყვანი რამდენიმე კატეგორიით განიხილება: რამდენად აქვს მას საკუთარი თავის რწმენა, არის თუ არა კომუნიკაბელური, როგორია მისი პროფესიული კომპეტენცია, სტილის ინდივიდუალობა და ა. შ. ქართულ ტელესივრცეში გაგვიჭირდება დავასახელოთ ტელესახე (ახალი ამბების, დისკუსიის, საავტორო პროგრამის თუ შოუმენი), რომლის მიმართაც სერიოზული პრეტენზია არ გვქონდეს. გამონაკლისებიც არიან, მათ შორის -გიორგი მერებაშვილი, რომელსაც თავისი ესთეტიკა მოაქვს ეკრანზე.

ნაწილი 2

ერთ-ერთი უპირველესი ნაკლი (ზეპირმეტყველების დაბალ კულტურასთან ერთად) ტელეჟურნალისტთა ფსევდოინტელექტუალიზმია. წიგნს უნდა წაკითხვა და არა - გადათვალიერება, თანაც რაც შეიძლება ბევრი უნდა იკითხო და საფუძვლიანად უნდა გესმოდეს ის სფერო მაინც, რომლის შესახებაც ადამიანებს ესაუბრები. ტელესივრცე, რეალურად, პირადი ამბიციის დაკმაყოფილების საშუალებადაა გამოყენებული. ტელესახეებს სჭირდებათ ახლო ნაცნობები მაღალ სახელისუფლებო წრეებში, სნობური მიდრეკილებების დასაკმაყოფილებლად კი - დასაყრდენი ხელოვანთა წრეებში და, ამასთანავე, მასების უპირობო სიყვარული. კარგად მახსოვს ერთი განანყენებული და დაბოღმილი ტელეწამყვანი, რომელიც ვერ ვიცანი (იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტელევიზროს იშვიათად ვუყურებ და იმ არხს, რომლის სახესაც ის წარმოადგენდა, საერთოდ, არ ვრთავ შინ). ვერბალური კომუნიკაცია ეკრანზე განუყოფელია ვიზუალურისაგან. უმრავლეს შემთხვევაში სასაცილოა საავტორო გადაცემათა წამყვანების ჩაცმულობა, კაბების შრიალ-შრიალი და მაკიაჟი. ერთმა ქართველმა ოპერატორმა, რომელიც დიდი ხანია საბერძნეთის საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობს, თქვა: ვუყურებდი გადაცემას, ბუხართან იჯდა წამყვანი, ნ. ჟორჟოლიანი, რაღაც სადედოფლო კაბის მსგავსი ეცვა და ასე ესაუბრებოდა სტუმარსო. საქმეს ისიც აფერხებს, რომ არ არსებობს პროფესიული კრიტიკა, რომელიც წამოაჩენდა და განსაზღვრავდა გადაცემისა თუ წამყვანის ავ-კარგს. თუმცა, სხვის აზრს ვინ აქცევს დღეს ყურადღებას?! წერეთ და იკითხეთო - ამ განწყობაზეა უმრავლესობა!

ის, რაც, ზოგადად, ქვეყანაში ზეპირმეტყველების კუთხით ხდება, ვერბალური ნონსენსია. მომრავლდნენ ისეთი ჟურნალისტები, რომელთა საარტიკულაციო-საწარმოთქმო სისტემა თანდაყოლილი დეფექტებითაა სავსე (ზოგს რბილი, ზოგსაც მაგარი „ლ“ აქვს (ვინმემ არ უნდა უთხრას თ. ასათიანს, მიხედოს თავის გამაგრებულ ლასს?!). ზოგიერთი იმდენად გაუმართავად, ბუნდოვნად საუბრობს (მაგალითად, რ. მუჯირი), ვერც გაარჩევ, რას ამბობს).

ამასთანავე, დაუძლეველ პრობლემას ქმნის გაუაზრებელი კონსტრუქციები, უამრავი ნეოლოგიზმი, დარღვეული სინტაქსი და მოშლილი ფონეტიკური სისტემა. არსებული ფონის გათვალისწინებით, დაისმის ლეგიტიმური კითხვა: როგორია ჩვენი მენტალური და კულტურული რეალობა?! ენა ერის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი და ინტელექტუალური საწყისის, მისი მენტალობის გამომხატველია. ენა აძლევს პიროვნებას სტატუსს, განასხვავებს ამ სამყაროში ყველა სხვა არსებისაგან. ენა ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, მარადიულობასთან წილნაყარს ხდის. ენის წიაღში დაცულია ღვთაებრივი ენერგია, რომელიც სხვადასხვა დროს ამოხეთქავს, როგორც განსაკუთრებული ფენომენი პოეტურ სიტყვაში გამოვლენილი თუ მეცნიერულ აზრში გაცხადებული. ენა თავად ქმნის რეალობას და ამ სინამდვილის მოწმედ გხდის. ენის განცდა საკუთარი თავის შემეცნებას უკავშირდება, ამ გზით კი პირველხატს მივეახლებით. მეტყველება ესაა შინაგანის გამოვლენა გარეთ თავისი ავ-კარგით. ამიტომ ადამიანის საუბრის მანერა ხშირად წარმოაჩენს მის ფსიქო-ემოციურ სამყაროს, ხასიათს, ბუნებას, სულიერობას. სიტყვას აქვს დიდი ძალა, იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო, როგორც ხატი. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვამ შეიძლება გაცხონოს ან წარგწყმიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე და კაცთაგან პირველი შევიდა სასუფეველში. თავად მაცხოვარი

დასასრული მე-9 გვ.

ვინც საქართველოს ემახსოვრება

თემურ ქორიძეზე საუბრობენ როგორც პუბლიცისტზე, როგორც მეცნიერზე, ლიტერატორზე, უპირველეს ყოვლისა კი იგი თავისუფალი საქართველოს ერთგული შვილია. ის არ პირველია, ვისაც წუთისოფლის მუხანათობამ სიმწარე აგემა და გულს იარა დააჩნია როგორც მამულიშვილს. ეს მაშინ მოხდა, როცა არაადამიანურმა საწყისმა გაიმარჯვა და საქართველოს თავისუფლება გარიჟრაჟზევე წყვდიადად აქციეს. ამ რაფინირებულ ადამიანს ყველაზე შეუსაბამო დროში მოუხდა ცხოვრება. ასეთების არ არის ეს ჟამი, მისი შესაფერისი დრო ალაგმეს, ხელმოწერაღა დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. თითქოსდა დაობლდა სამშობლო და ყველას ცალკე, ეულად უწია უღლის წევამ, ვინც არ შეეგუა გარემოდგომილ ბოროტებას. ცხოვრება კი დილეგს ემსგავსა. შესაძლოა ბედნიერება დაგენგრეს, მაგრამ ადამიანობა გადაარჩინო. თემურმა ეს შეძლო - სიყვარულით განაგრძო სვლა წუთისოფლის გზაზე და რუდუნებით ეკიდებოდა რჩეულ საქმიანობას. მართალ სიტყვასაც ძალდაუტანებლად, ჩვეული ღიმილით ამბობდა, თუმცა რამდენადმე შევიწროვდა ეს ასპარეზიც, ბუნებრივია. სარბიელი ასეთ ერისკაცებს როდი ეთმობათ.

მაინც როგორი იყო იგი?! რუსთველური გაგების კაცი - როგორი შეფასებაც დამკვიდრდა ზვიადისგანვე. „ ბოროტსა სძლია კეთილმან“ - ამ მრწამსის ადამიანი, ქართული სულისკვეთებით ნასაზრდოები. კონსტანტინე გამსახურდიას ღირსეული ფრაზა თავისთავად მახსენდება - პოლიტიკური დიქტატურის დროს კულტურამ უნდა გამოაცხადოსო საალყო წესები. ამგვარი ერთ-ერთი მეციხოვნე იყო თემურ ქორიძეც...ხშირად უყვარდა თქმა „ქილილა და დამანაშია” - ჭაროს ნათქვამი არაკის - „მე და შენი საქმე ჭიქასა და ქვასა ჰგავს, თუცა ქვა ჭიქასა ეცა, ანუ ჭიქა ქვასა დაჰკრა, ორგანვე ჭიქა დაილეწება და ქვა უვნებლად დადგება". მას მაინც სწამდა ფრანც კაფკასავით, რაღაც დაუნგრეველი საწყისის არსებობა ადამიანში, ურომლისოდაც არსებობას აზრი არ ექნებოდა...

მე იგი დამამახსოვრდა ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან. 1989 წლის ბოლოს ზვიადისა და მერაბის დაარსებული ”ჰელსინკის კავშირი” შედარებით გაფართოვდა, (შეზღუდულად) და მეც იმ ხუთი ადამიანის შემდგომ აღმოვჩნდი, ვინც პირველ რიგებში ანუ ავანგარდში ჩადგა. ყოველ სამშაბათს, ხუთ საათზე, ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში შეხვედრები დაინიშნა, საინფორმაციო ხასიათის კრებები და აქ, ერთ-ერთი გამწევი ძალა, წამყვანი ძალა ბატონი თემურიც იყო; საინტერესო, ენამახვილი გამოსვლებით, ჩვეული შემართებით. ეს იყო უზომოდ კულტურული, პროგრესული თავყრილობები. ამ მოძრაობის ბაზაზევე ჩამოყალიბდა რამდენიმე კომისია, რომელსაც დარღვევები უნდა გამოევლინა და დაეცვა ადამიანის უფლებები. მე და დედა განათლების კომისიაში აღმოვჩნდით, რომლის თავმჯდომარეც თემური გახლდათ. ჯერ კიდევ არაფორმალები ვამოწმებდით სკოლებს, განათლების სამინისტროს. მახსოვს, ნათელა ვასაძესთანაც შევედით ერთ-ერთი წერილის საფუძველზე და მოწიწებით, ფერგამკრთალმა მიგვიღო კიდეც. ზომებიც მყისვე ტარდებოდა და ადამიანთა სასარგებლოდ წყდებოდა საკითხი. ხალხს უბრუნდებოდა დაკარგული სილაღე და სამართლიანობის განცდა. ძალიან ბევრისთვის იყო იმედი ეს მოძრაობა და თანდათანობით ვძლიერდებოდით, იზრდებოდა ჩვენი რიგები, სიყვარულით გვიერთდებოდა მთელი საქართველო და ეროვნული მოძრაობა მართლაც იყო სრულიად საქართველოს მომცველი და ერთიანობის სიმბოლო!

დაპირისპირების ინსპირაციაც მოხდა და პროვოცირებულმა ჯგუფმა საზიანო ხელისშემშლელი საქმიანობა წამოიწყო, ღალატი ღალატზე მზადდებოდა, იმატა ქვეენაინსტიქტებით ამოძრავებულმა ქვეგამხედვარებმა და აქაც აღიმართა ციხე-სიმაგრესავით თემური, რომელიც დიდი გაბედულებით იცავდა სიმართლეს, სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით დაწყებულ ეროვნულ და სამომავლო საქმეს. ისტორიული მისია ხვდა წილად ეროვნულ მთავრობას და ყველანაირი ქარტეხილისთვის მზაობაც იყო. რას აღარ უმკლავდებოდნენ, რის წინაშე აღარ იდგნენ... საქართველოს ბედნიერი დღეებისთვის თავდაუზოგავი ბრძოლა მიმდინარეობდა. ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობდა „მრგვალი მაგიდა“, უზენაესი საბჭო, მაინც ეროვნული ძალებისა და თავისუფლების მარცხით დასრულდა ეს დიდი თავგანწირვა, თუმცა ეროვნული მთავრობის მონაპოვარი და ღვაწლი -პირველი მრავალპარტიული არჩევნები საბჭოთა რეგლამენტაციის (ანუ საბჭოთა კონსტიტუციის) გარეშე, რეფერენდუმის მნიშვნელობა- სრულიად საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე ჩატარებითა და სრულიად მოსახლეობის ნების გამოხატვით, დამოუკიდებლობის აქტის აღდგენა - თავისთავად დიდი გამარჯვებებია ისტორიულ სარბიელზე. ეს იმ კანონზომიერებისა და სამართლიანობის აღდგენაა, რაშიც ღვთის ნება და ხელდასხმაცაა. ქართულ ზნეობას, ქართულ სულსა და კულტურას ქომაგი ჰყავდა. „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“ გრძელდებოდა. რაოდენ გულისმომკვლელია, როცა თვალწინ ცდილობენ ყოველივე ამის გაცამტვერებას და თემურიც არ ეპუება ამას... ამოღებული სატევარივით იყო მისი სიტყვა, თავგზიანი, გზაგაკვალული. უწესობა ექციათ წესად - ამგვარ მტარვალთა და უბირთა გულისწადილს შემკავებელ ზღუდედ ედგა. არაღირებულ ყოფაში კვლავაც ღირებულს ნერგავდა. შემდგომაც - კალმით, კრიტიკით, ახალგაზრდების აღზრდით, ლიტერატურულ სალონებში მონაწილეობით, ცდილობს ზღვარის გავლებას საუკეთესო პერიოდსა და უკეთურ საქართველოს შორის. ყველა გამოსვლა კულტურული პროტესტია, კულტურული გალაშქრებაა და, რაც მთავარია, პროტესტია ძალით ალაგმული ადამიანობის, ზნეობის გამო... იგი სხვა რეალობაში იმყოფება, იმ ხელშეუხებელ სამყაროში, რომელსაც ვერადროს ვერაფერი გაანადგურებს.

ის მართლაც საზრდოობს ქართული სულით, წარსულით, ტაძრით, მიწით, საფლავებით, წიგნით, მამულით, უფლისმიერი საქმით და ცდილობს აღადგინოს ”უმითო დროში” ჰეროიკული სული, ავთანდისეული ვალი, მაღალზნეობრივი შეგნება, ილიას მრწამსი და მოლოდინი, რომ - ოქროს აკვანში ის ყრმა წევს... ამ მომავალს აღზრდა სჭირდება, აქ ვერ იტყვი - ”ხვალემ იზრუნოს ხვალისა”, ძველისა და ახლის გზაგასაყარზე მოქცეულს გსურს -”აწმყო შობილი წარსულისაგან იყოს მშობელი მომავლისა.” ეს უკვე სამშობლოს მსახურებაა, რუდუნებაა და სხვა ტკივილს წარმოშობს... დიაგნოზიც არ აყოვნებს და ოთხგზის შეჭირვებულმა სნეულმა გულმა საბოლოოდ უმტყუნა. ლექციის წინ, ახალგაზრდებთან შეხვედრის მოლოდინში, საქართველოს ფეხზე წამოდგომის მოლოდინში თავად დაეცა. ძალა აღარ ეყო, ის ხომ შეჩერებულ დროს ძრავდა, შეჩერებულ დროს აცოცხლებდა. მახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის „გული” - როცა რუკა იტყვის: - მე დავაჭკნე, მე დავწვი. ასეთია მამულიშვილთა სიკვდილიც, ხან მუხანათი ხელი აჩერებს ამ გულს, ანდაც ის

სიყვარული, (მოხმობილი მოთხრობის რუკასავით), ფერფლად რომ აქცევს მსხვერპლადქმნილ გულს...

განისვენე, ვალმოხდილო მამულიშვილო! სამაგიეროდ, ღირსეული საქართველო გეჭირისუფლა, გულმა უთხრათ, რადგან ყველასვე უყოფდი თავად გულს. დიდი იყო გამოხმაურებები და ელდანაცემი შეკითხვა -იუთუბზე, ვიდეოებზე მინაწერიც - ეს კაცი გარდაიცვალა? ეს რა კაცი ჰყოლია საქართველოს, კიდევ ერთი პიროვნება წავიდა დაუფასებლად... გინაკლისა საქართველომ, გინატრა ქართველობამ... შენ თავისუფალი საქართველოს შვილად დარჩი, მიტომაც იყავი ასეთი დახვეწილი, ოპტიმისტი, მხნე, ერუდიტი და უდიდესი საგანმანათლებლო მოღვაწე!.. ასეთი ურიგო ბედი აქვთ ზოგჯერ სიყვარულის დიდ მხედრებს, მაგრამ მათი კვალი მაინც წარუშლელად რჩება და ილიასი არ იყოს, - „ დასაწყისია განთიადისა”.

არავითარი მედიდურობა, არავითარი ამბიცია არ იყო მასში. ყველასთან მოკრძალებული გახლდათ და რაც არ უნდა მძიმე ან სააუგო ამბავი გეთქვათ -რას ბრძანებთ, რას მეუბნებით, გულწრფელად გაიკვირვებდა. თქვენობის გარეშე კი ბავშვსაც არ დაელაპარაკებოდა. გულდადებით ისმენდა ყველაფერს და მერე გამოსავალს ეძიებდა. რამე იმედიანს კი აუცილებლად იტყოდა. წუხდა სხვის გამო და სხვის მაგივრადაც... მის საცხოვრებელ სახლსაც ეტყობოდა ეს მოკრძალება, მხოლოდ აურაცხელი წიგნები მთელ კედელზე, მაგიდაზეც წიგნები - საინიშნეებით, ჩაკეცილი ფურცლებით... დიდი აკაკი გაწერელიას ჩინებული აღზრდილი, ზვიადს თურმე მუდამ გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდა, (ერთად მუშაობდნენ ადრეული წლებიდანვე ლიტერატურის ინსტიტუტში). სხვანი როს უფრთხოდნენ, გაურბოდნენ სხვაგვარად მოაზროვნესა და თავისუფლების მებაირახტრეს, გუმანმა, სიბრძნემ, ღირსებამ უკარნახა ვინც იყო მის წინაშე, ამ კეთილმოპყრობისთვის კი ხშირად იბარებდნენ დაკითხვებზე, სულს უწეწავდნენ...

ადამიანი რომ ეთიკური არსებაა - ამ ურყევ რწმენას ასეთი პიროვნებები გინარჩუნებენ...

კვლავ ილია მართალს გავიხსენებ, ”გულთა ძვრაა” საჭირო და რჩეულ ადამიანთა მოვლინება, მათი სანიმუშო საქმენი ამადაც ფასობს, ცხოვრება ხომ მაგალითის დასწავლაცაა. ქართული ხალხური საგანძურიც ამას გვასწავლის - „გული სანთლებრ მნათობელი გულდამწვათა მცნობელია.“ ერისკაცებიც მუდამ დაფასებულნი იქნებიან...

მინდა ჩემი ორი ლექსით დავასრულო ეს მოსაგონარი, რადგან ერთობლივი ბრძოლიდან და ერთნაირი ტკივილით დაიბადა ეს ლექსები. ჩვენ ასეთ გმირებს და ამგვარ საქმეს ვერთგულებდით, უმცდარი ხედვით და გვჯეროდა სულ, რომ ამ გზასაც მათ ამარა არავინ მიატოვებს... ტვირთი კვლავაც ასაწევია.

ზვიადს და მერაბს

ვერ შეგიმღვრიეს ტკივილებით
სული მაღალი,
შორეულ ხედვით საწუთროს გზებს
სევდით ქარგავდით...
ოქროსფერ ფუნჯით კვლავ
ვარდისფერ აღმართს ხატავდით;
არწივის ფრთებით სიყვარულის
კალთებს ფარავდით;
ყაჩაღებს დარჩათ საუნჯენი
როგორც ნადავლი..
იყავით ორნი უფალივით
დიად -მართალნი.

ეს კი უკვე თემურის ხსოვნასაც ეძღვნება, რადგან იგიც იმ გმირებში მოიაზრება, ვისი სვეც მწარეა და ცხოვრება მოწამეობრივი.

***

(მამულის მსახურ გმირებს)

ეს მერამდენე გაზაფხული ფერს
ძერწავს ზამთრის!
შავჩოხა გმირებს მზე ამწყალობებს
აღვსებით მადლის!
შორს მიაქვს მზერა დაუნჯებას
ფერშეცვლილ ღამის!
უნდოთ განგმირეს მზე წიწამურის,
მზე ჯიხაშკარის!
ცარიელ ადგილს აბეზარი
ქარიღა დაქრის!
ზამთარმოწეულ ყვავილად
მარტის - უჭკნობად განქრით!..
სამშობლოსათვის დაუღლილთა
წაქცევით ხარის,
ქვითინი არის ქარშემოკრული
ნაბზარი ზარის!

(ლექსები დაწერილია ჩემი სტუდენტობის ხანაში).

ლალი ბარძიმაშვილი,

ვახტანგ(ლოთი) ქოჯალიას ბეზღებისა და ღალატის ოქმი

ლოთი ქოჯალია: ეს რომ პრეზიდენტ გამსახურდიას გაეგო, მე დამხვრეტდა

დაკითხვის ოქმი 22 ივლისი, 1994 წელი

დაკითხა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა, იუსტიციის მრჩეველმა ა.ხვადაგიანმა. დაკითხვაში მონაწილეობდნენ: ადვოკატები ლ. ბერიაშვილი და გენ. პროკურორის მოადგილე ა. ბალუაშვილი

პრეზიდენტის, აბსანძის, გელანტიასა და სხვების მიზანი იყო შეიარაღებული გზით დაეკავებინათ საქართველოს ტერიტორია ენგურიდან ცხენისწყალამდე. ამის შემდეგ გვეიძულებინა დღევანდელი ხელისუფლება შეექმნა კოალიციური მთავრობა და ჩაეტარებინა არჩევანი. ეს გეგმა მოდიოდა გამსახურდიასგან, აბსანძისაგან, გელანტიასაგან, გუგუშვილისაგან და ყველა იმ პირისგან, ვინც აქტიურად იბრძოდა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მე მართლაც შევასრულე პირობა და ჩემი შეიარაღებული ძალებით გამოვედი მდ. ცხენისწყალზე, ქ. სამტრედიაში და ქუთაისში შესვლა დაგეგმილი არ ყოფილა. მე აქ ჯარები შევაჩერე და დაახლოებით ორი დღე, რიცხვი არ მახსოვს, ვიყავი მარტვილში და ჩემს გარეშე ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს სამტრედია. ჩემთვის ეს იყო მოულოდნელი. ამ დროს გამსახურდია იყო აბაშაში, როცა მე ჩამოვედი სამტრედიაში, მებრძოლებისაგან გავიგე, რომ სამტრედიაში შესვლის ბრძანება გაუცია გამსახურდიას. გამსახურდიასთან ამ თემაზე არ მილაპარაკია, რადგან ვერ შევბედე. რატომ დაარღვია მან ჩვენი პირველი გეგმა ცხენისწყალზე გამაგრების, არ ვიცი, აბსანძეს რომ ვკითხე, თუ რა მოხდა მიპასუხა, რომ მანაც არაფერი იცოდა. მებრძოლებში დომინირებდა აზრი, რომ ისინი მიდიოდნენ თბილისის ასაღებად. სამტრედიაში გამსახურდიამ და აბსანძემ მომცეს მითითება, რომ ჯარები დამეძრა ქუთაისისაკენ, რადგან, მათივე თქმით, დაზრვერვის მონაცემებით, ქუთაისამდედ გზა იყო თავისუფალი და ქუთაისი იყო დაუცველი. მივხვდი, რომ გამსახურდიას უნდოდა სამხედრო ძალით აეღო თბილისი. მე ეს მიმაჩნდა აბსურდად, რადგან ჩვენ ამის სამხედრო ძალა არ გაგვაჩნდა. მეორეც ის, რომ თუკი მოვლენები ისე განვითარდებოდა, რომ ჩვენ თბილისისაკენ დავიწყებდით სვლას, მთელს სამეგრელოს დაუპირისპირდებოდა დანარჩენი საქართველო და ეს კატასტროფულ ზიანს მოუტანდა ერს. ამასთან ერთად, მე ვიცოდი, რომ ჩვენი გეგმა ითვალისწინებდა ცხენისწყალზე გამაგრებას და შემდეგ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას. ეს გეგმა გამსახურდიას გადაწყვეტილებით დაირღვა ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი. ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო ყველა ზომა, აღარ გაგრძელებულიყო ქუთაისისაკენ სვლა. ამიტომ მოვიფიქრე და აბსანძეს და პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ხონში დაიძაბა კრიმინალური ვითარება, ადგილი აქვს ყაჩაღობებს, ხალხი შეწუხებულია, ჩავალ ხონში, მოვაგვარებ სიტუაციას და მერე ვიფიქროთ ქუთაისზე–მეთქი. ხონში შეიარაღებულ ფორმირებებს ხელმძღვანელობდა ანზორ ჩხეიძე. აქვე იყო თენგიზ ბულია, იგივე „კიროკი“. მე მათ ვუთხარი, რომ ყაჩაღობის ფაქტები რომ აღკვეთილიყო, შეიარაღებული ფორმირებები უნდა გაეყვანათ ხონიდან ქ. ზუგდიდში. ხონში ისინი იყვნენ 4–5 დღე და ფორმირებები გაიყვანეს ზუგდიდში. აქვე მოვიმიზეზე ის ამბავიც, რომ ჩემი ინფორმაციებით სამთავრობო ჯარებს ეხმარებოდნენ რუსები და ამას შეიძლება მოჰყოლოდა უაზრო სისხლისღვრა. მივაღწიე იმასაც, რომ დავიხიეთ უკან აბაშამდე. ამ პერიოდში აბსანძისაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დამხმარე ძალებს მივიღებდით აფხაზეთიდან. როგორც მოგახსენეთ, მე შინაგანად ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აბსანძისათვის არ გამიმჟღავნებია. ამის შესახებ ვუთხარი გურამ ლაკიას. ისიც წინააღმდეგი იყო აფხაზი ბოევიკების შემოყვანის, ამიტომ მე და ლაკიამ გადავწყვიტეთ ყველა ღონე გვეხმარა და ჩვენი ფორმირებები გამოგვეყვანა ბრძოლიდან. ამასთან დაკავშირებით, როგორც მახსოვს, პირადად მე დავუკავშირდი ელსმენით ქ. ფოთში კუკური როგავას. მე ანაკლიაში შევხვდი მას და ვახტანგ გვარამიას. მათ ავუხსენი ვითარება, რომ პრეზიდენტი და აბსანძე აპირებდნენ აფხაზი ბოევიკების შემოყვანას, რომ

მე და ლაკია ამის წინააღმდეგი ვიყავით. ამის წინააღმდეგი იყო სოხუმის ბატალიონი და სხვები, რომლებიც ჩვენს მხარეზე იბრძოდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მე ჩვენს პოლიტიკოსებს, ე. ი. გამსახურდიას, აბსანძეს, გელანტიასა და სხვებს ჩამოვიცილებდი. გავიყვანდი ქ. ზუგდიდიდან და ამის შემდეგ, დაახლოებით სამ დღეში შევხვდებოდი მათ, სადაც გადაწყდებოდა საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. ამის შემდეგ მე ჩამოვედი ზუგდიდში. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული შეხვედრა იყო საიდუმლო. ამის შესახებ პრეზიდენტმა, აბსანძემ და სხვებმა არაფერი იცოდნენ. ამ შეხვედრისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ შემდგარა. ჩამოვედი ზუგდიდში. მე და ლაკიამ მივიღეთ ყველა ზომა და ჩვენი ფორმირებები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. სოსო ჟღენტის პოლკი წავიდა ლუგელას მთების მხარეს. ამ მიმართულებით წავიდა ელიავას პოლკიც. სოხუმელებმა, სოსო ჯომიდავას თავკაცობით გადაწყვიტეს და წავიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლებისათვის. ზუგდიდის პოლკმა დაიკავა ზუგდიდი და ზუგდიდის შემოსასვლელი სოფ. ცაიშთან. ყოველივე ეს მოხდა ჩემი, ლაკიასი და ზემოაღნიშნული პირების ინიციატივით. ამის შესახებ არაფერი იცოდნენ პრეზიდენტმა, აბსანძემ, გელანტიამ და სხვებმა. მათ ეს რომ გაეგოთ, ჩვენს მიმართ გამოყენებული იქნებოდა სასჯელის უმაღლესი ზომა. როცა ჩვენ ჯარები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედების ზონიდან პრეზიდენტი დავარწმუნეთ იმაში, რომ ხელისუფლების ჯარებს ეხმარებოდა რუსეთის ჯარი და რომ მათთან ბრძოლა უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევდა. ფაქტიურად მართლა ეხმარებოდა თუ არა რუსის ჯარი საქართველოს ხელისუფლებას, არ ვიცი. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ პრეზიდენტი, აბსანძე და სხვები დავითანხმე დაეტოვებინათ ზუგდიდი. თუ რომელ რიცხვში მოხდა ეს, ზუსტად არ მახსოვს, ეს უნდა მომხდარიყო 1993 წლის 26 ოქტომბერს. მე ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, როდესაც ჩემი ოჯახის ყველა წევრი, სამი მანქანით გამოვედით ზუგდიდიდან აფხაზეთის მიმართულებით, ჩვენთან ერთად თავიანთი მანქანებით წამოვიდნენ გამსახურდია, აბსანძე და სხვები. მე ამის შესახებ მოგეცით ჩვენება და მის დეტალებზე აღარ შევჩერდები. სოფ. აჩიგვარასთან შემოგვხვდა ა/მანქანების კოლონა. წინ მიდოდა თეთრი ნივა. მოყვებოდა „ბმპ“, ავტობუსი. ადრე ჩვენებაში გითხარით, რომ მიყვებოდა ერთი ავტობუსი „პაზიკი“. ამ შემთხვევაში შეიძლება მე ვცდები და თქვენს მიერ დაკითხული მოწმეები უჩვენებენ სიმართლეს. მე როგორც მახსოვდა, შემოგვხვდა „ბმპ“ და „პაზიკი“.

როგორც მოგახსენეთ, პრეზიდენტის მანქანების კოლონას მივყვებოდი უკან, როცა ჩვენ შევჩერდით. მე ვიჯექი უკან, ამდენად ყურადღება არ გამამახვილებია სამხედრო ტექნიკისა და მანქანების კოლონის მიმართ, რომლებიც შემოგვხვდა. ისინი არ გაჩერებულან, ისე გააგრძელეს გზა. მე ვიცი, რომ როცა ჩვენი მანქანების კოლონა გაჩერდა, მათთან გაჩერდა შემხვედრი მიმართულებით მოძრავი „ნივა“, „ნივიდან“ გადმოვიდა ქიშმარია და იგი ესაუბრებოდა აბსანძეს. მათ საუბარს შევუერთდი მეც. აქ გავიგე, რომ ქიშმარიამ შეასრულა პირობა და ჩვენს დასახმარებლად მოყავდა „ბოევიკები“ და მძიმე ტექნიკა. აქვე დავაზუსტებ, რომ ჩვენს მანქანების კოლონას წინ შემოხვდა ქიშმარიას „ნივა“. ამიტომ შეეჩერდით გზაში, გადმოვედით მანქანებიდან და ამის შემდეგ დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ჩაგვიარა აფხაზეთის მხრიდან მომავალმა სამხედრო ტექნიკამ და ავტობუსებმა, ისე რომ ისინი არ შეჩერებულან. როდესაც აბსანძემ გაიგო დამხმარე ძალის შესახებ, მითხრა და მისი წინადადებით მე, აბსანძე, ქიშმარიასთან ერთად დავბრუნდით ზუგდიდში ისე, რომ მანამდე ჩვენთვის უცნობ ოჯახში დავაბინავე ჩემი ცოლ–შვილი, მეორე ოჯახში დაბინავდა გამსახურდია და მისი დაცვა.

შემდეგ მოვლენები განვითარდა ისე როგორც წინა ჩვენებებში მოგახსენეთ და მის განმეორებას აღარ ვთვლი საჭიროდ. გამსახურდიას ზუგდიდან გაყვანამდე დაახლოებით ორი–სამი დღით ადრე განმეორებით შევხვდი. ვაცნობე, რომ პრეზიდენტის გაყვანის საკითხი მოგვარებული მქონდა. მას გავიყვანდი კიდეც და შემდეგ კიდევ ეცლიათ სამი–ოთხი დღე, მოვაგვარებდი შეიარაღებული ფორმირებების მთლიანად გაყვანას და შემდეგ შემოსულიყვნენ სამთავრობო ჯარები სისხლისღვრის გარეშე. მე ზუგდიდი დავტოვე ნოემბრის დასაწყისში, რიცხვი არ მახსოვს.

ამ დროისათვის სოფ. ცაიშთან და ჭითაწყაროსთან იდგა დაახლოებით ორმოცდაათი–სამოცდაათი კაცი. ამ ბიჭებმა ჩემი გასვლის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ იცოდნენ, რომ სამთავრობო ჯარები დაიწყებდნენ წინსვლას. მათ პოზიციები უნდა დაეტოვებინათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ეს მართლაც ასე მოხდა. როცა მე დავბრუნდი აჩიგვარაში ცოლ–შვილთან შესახვედრად, ლაგვილავამ, რომელმაც მე მიმაცილა აფხაზეთის საზღვრიდან სოფ. აჩიგვარაში, მითხრა, რომ ამავე დილით პრეზიდენტი, მისი დაცვა და ჩემი ოჯახის წევრები დაბრუნებულან ზუგდიდში. აფხაზეთის საზღვარზე გამოუცილებიათ მხოლოდ პრეზიდენტი, ჩემი ოჯახი აღარ დაბრუნებულა უკან. დაახლოებით ორი–სამი თვის შემდეგ, უკვე სუზდალში გავიგე, კერძოდ, ვისაგან აღარ მახსოვს, რომ როცა პრეზიდენტი და აბსანძე დაბრუნებულან ზუგდიდში დაცვას პრეზიდენტი წაუყვანია სხვა მიმართულებით ისე, რომ აბსანძე აღარ წაუყვანიათ. აბსანძე დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამოსულა სამეგრელოდან და წასულა მოსკოვში ბათუმის გავლით. თუ რა იყო ამის მიზეზები, რომ აბსანძე აღარ დარჩა გამსახურდიასთან არ ვიცი. როგორც აბსანძის საუბრიდან ვასკვნი, აფხაზი ბოევიკების ზუგდიდში შემოყვანას ორგანიზაცია გაუკეთა მან, გამსახურდიასთან ერთად. როგორც თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაში ნაჩვენები მოწმეების ჩვენებიდან ირკვევა, 1993 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში აფხაზი ბოევიკები და მძიმე ტექნიკა კვლავ შემოუყვანიათ ზუგდიდში, თუ ვინ გაუკეთა ამას ორგანიზება არ ვიცი. ამ ფაქტის შესახებ მესმის პირველად.

ზაურ გერგედავა იყო ჩვენი შეიარაღებული ფორმირებების სამეურნეო სამსახურის უფროსი. მისი მოვალეობა იყო საჯარისო ფორმირებების მომარაგება სურსათით, ტანსაცმლით და სხვა ასეთით. იგი ასევე აწარმოებდა საჯარისო ნანილებზე სურსათისა და სხვა სახის პროდუქტების განაწილებას. ქარცხია, რომლის სახელი არ მახსოვს, იყო ჩემი ა/მანქანა გაზ–31–ის მძღოლი. ეს მანქანა თეთრი ფერისაა. ნომერი არ მახსოვს. მანქანა იყო დაზიანებული და ფაქტიურად მე ამ მანქანით არ დავდიოდი. ამიტომ ქარცხიას ჩემს მძღოლად არ ვთვლი. ჩემი მძღოლი იყო სახელად ციქორი, გვარი არ მახსოვს.

ჩემი ჩვენება წავიკითხე, ჩაწერილია ჩემი კარნახით სწორად.

ვ. ქოჯალია

წყარო:
გაზეთი „საქართველო“, N66(1504), 9-12 დეკემბერი, 1996 წელი

მერაბ კოსტავა - ნატოზე რატომაა საჭირო ნაციონალური არმია

„ნაციონალური არმია ერთა უმთავრესი ნიშანსვეტია და ამ თვალსაზრისით ვარშავის პაქტის ერები ახლოსაც ვერ მოვლენ ნატოს ქვეყნებთან; ნატოს ხალხებისა და არმიების უფლებები აშკარად თანაბარია. ნებისმიერი მათგანისთვის გარანტირებულია სამხედრო და ეკონომიკური კავშირიდან გასვლის თავისუფლება და მათთვის რომელიმე იდეოლოგიის ან ენის გარედან თავს მოხვევას არა აქვს ადგილი. ვარშავის პაქტის ქვეყნებს თუმცა გააჩნიათ ეროვნული არმიები, მაგრამ ყოველი მცდელობა რომელიმე მათგანის კავშირიდან გასვლისა მუდამ სისხლიანი ტრაგედიით გვირგვინდებოდა. რუსის ჩექმა თავსმოხვეული მარქსისტული იდეოლოგიიდან გამონთავისუფლების საშუალებასაც არ აძლევს მათ. სსრკ-ში შემავალ ხალხებს კი არათუ არმია საკუთარი სამხედრო ნაწილებიც არ მოეძებნება. ზემოაღნიშნულის შედეგად თავლსაჩინო ხდება კარდინალური განსხვავება აშშ-ს და სსრკ-ს შორის.

პარტნიორი ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში პოტენციური უპირატესობის მიუხედავად, აშშ უდავოდ თანასწორუფლებიანი პარტნიორია ნატოს დანარჩენი ქვეყნებისა. იგი ცდილობს თითოეულმა მისმა მოკავშირემ რაც შეიძლება მეტი თანხა გაიღოს საკუთარი ეროვნული არმიის გასაძლიერებლად.

შეერთებული შტატები პარტნიორთა სამხედრო პოტენციალის გაზრდით განაძლიერებს და განამტკიცებს ამ ერების სახელმწიფოებრიობას, ხოლო საბჭოთა კავშირმა პირიქით, იმიტომ მოსპო ჯარის უკანასკნელი ეროვნული შენაერთები, რომ ამ ხალხებში საბოლოოდ მოესპო სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ელემენტები, გადაშენების გზაზე დაეყენებინა სსრკ-ში შემავალი ერები.

ამგვარია რუსეთის ნდობა საქართვლოსა და ეგერთწოდებული რესპუბლიკების მიმართ. აშკარად ვხვდებით, თუ რატომ უგულებელყოფს იგი ერთა სუვერენულობის აუცილებელ ატრიბუტს ნაციონალურ არმიას. იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ჯარის ნაწილების ჩამოყალიბება და მათი ქართული ენის ფუნქციონირება დაანახებს ქართველობას, თუ რა ურყევი და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ გაგებასა და ეროვნულ არმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი: რომ თითქოს საქარველოს ურუსეთოდ, ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია.. თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა დამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის დამკვიდრება კი სხვა ყველაფერთან ერთად ეროვნული არმიისთვის ზრუნვით უნდა დაიწყოს. ქართველებმა სამხედრო სამსახური საქართველოში უნდა გაიარონ. ამით და აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული არმიის შექმნას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის სამომავლო გარანტიას.“

1988 წ.

სვლა-გეზი უმომავლობისკენ...

2 დეკემბერს, თბილისის 51 სკოლის (დირექტორი ხათუნა ბარაბაძე) მოსწავლეების, 16 წლის დათო სალარიძისა და ლევან დადუნაშვილის, სკოლის მიმდებარედ, სადისტური სისასტიკით დანით მკვლელობის ფაქტს, გულისტკივილით ეხმაურება მწერალი მიხეილ ღანიშაშვილი. 2 დეკემბერს კიდევ ერთი მოზარდის მკვლელობა მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფ. ოფშკვითში, 17 წლის თორნიკე ბეგალიშვილი მისმა სკოლელმა დანით გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა, რის შედეგადაც იგი გრდაიცვალა(რედ.)

თავის დროზე მე, ჩემს ერთ-ერთ პოსტში, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებს კრიმინალური-კლერიკალური გადატრიალება ვუწოდე.

ეს იმიტომ კი არ მითქვამს, რომ ყოფილი ხელისუფლების ნაკლოვნებებს ვერ ვხედავდი და მათი შეუცვლელობის მომხრე ვიყავი.

არა.

ეს იმიტომ ვთქვი, რომ იქიდანვე კარგად ჩანდა, რა ძალებიც მოდიოდნენ ხელისუფლებაში და, რაც მთავარია, რა მენტალობასაც მოუწევდა გაბატონება საქართველოში.

იმ დღეებში გლდანის საპყრობილის გისოსებიდან წარმოთქმული ფრაზა - „ბიძო მევიდა, მევიდა ჩვენი დრო!..“ - ავისმომასწავებლად ჟღერდა, მაგრამ ემოციასაყოლილმა საზოგადოებამ ამ ფატალურ ტემბრს ყურადღება არ მიაქცია.

მე კი, მაშინვე 90-იანი წლების, ჯაბა იოსელიანისა და მისი „მხედრიონის“ აჩრდილი ამოიცურდა თვალწინ და ავი მოლოდინის განცდა დამიტოვა.

ჩემი შიშები კიდევ უფრო გაამყარა ხელისუფლების გაუგონარმა აქციამ, როდესაც მათ, იუსტიციის სახლის წინ, საზეიმო ვითარებაში, ძეგლი დაუდგეს სამართალდამრღვევებს.

"მკვლელობებს და დანაშაულებს გაგებით უნდა მოეკიდოთ!“ - სულ მალე გაისმა ამ ავისმომასწავებელი ჟამის დამაგვირგვინებელი ფრაზაც.

ეს იყო სიგნალები საზოგადოებისთვის, რომ ქვეყანაში ძალოვანი ინსტიტუტების გარდაუვალი დეგრადაცია მოხდებოდა და კრიმინალური მენტალიტეტი ნელ-ნელა ისევ ძალას მოიკრებდა.

ამიტომ როდესაც თბილისის 51-სკოლის მოსწავლეების მიერ ორი თანატოლის უსასტიკესი მკვლელობის ტრაგიკულ ისტორიას ვისმენ, რომელსაც გუშინ ქუთაისში კიდევ ერთი მსგავსი მკვლელობა შემატებია, ქვეყანაში საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ჩემი იმჟამინდელი შეფასება მახსენდება და ამ ყველა უბედურებაზე პასუხისმგებლად ის ადამიანები წარმომიდგებიან, ვინც, ცხელ გულზე, ჯიბრით, გაბოროტებით, პერსპექტივის გაუანალიზებლად მივიდა საარჩევნი ურნასთან და ხმა ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და შვილების მკვლელობის დასაწყისს მისცა.

მომხდარში კონკრეტული დამნაშავეების ძებნა და მათში ხან შეყვარებული გოგონების, ხან პედაგოგების, ხან მანდატურებისა და ხან მშობლების დადანაშაულება გაუმართლებლად და არასაკმარისად მიმაჩნია.

მომხდარში უმთავრესი დამნაშავე ახლადძალამოკრებილი და ახალგაზრდობაში საცეცებგაშლილი კრიმინალური ქურდულ-ქუჩური ავტორიტეტობა, ბაცნურ-ჩაცუცქული მენტალობა, დაუსჯელობის ატმოსფერო და მათი წამხალისებლები არიან.

ნიშანდობლივი ფაქტია: მოკლულთა კლასელმეგობარი 15 თანამხილველიდან ყველა უარს აცხადებს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, ხოლო ერთ-ერთ მკვლელს, რომელიც, როგორც ამბობენ, საკმაოდ მაღალჩინოსანი მოხელის შვილი ყოფილა, მალავენ (ანუ მართალ კა ცად მიაჩნიათ).

ტკივილითა და სინანულით ვიზიარებ გარდაცვლილი ახალგაზრდების ოჯახების მწუხარებას, ვწუხვარ იმასაც, რომ მათი ოჯახების ეს უმძიმესი ტრაგედიები ჩემი მორიგი პოსტის განსჯის საგნად ვაქციე, მაგრამ ეს უკვე იმდენად პერმანენტული, სიმპტომატური და ზოგადი მოვლენაა, რომ ვერცერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი მასზე ჩაფიქრებასა და აზრის გაოთქმას ვერ ასცდება.

უფრო უარესი კი ის არის, რომ, შექმნილ ვითარებაში, მე, პირადად, გამოსავალსაც კი ველარ ვხედავ!..

მიხეილ ღანიშაშვილი

კიდევ ერთხელ ფსიქიკურულ ფილმ — „ხიბულას“ გაქეო...

ამა წლის 21 ნოემბერს, სახელმწიფო ფილარმონიის ქვემოთ მდებარე (კოსტავას ქ. N36) კინოთეატრ „ამირანში“, 20 საათზე გაიმართა კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმ „ხიბულას“ პირველი ჩვენება, რომელზედაც საგანგებო მოსაწვევებით მიწვეულნი იყვნენ სამთავრობო გუნდი კულტურის სფეროდან, კინოსა და თეატრის წარმომადგენლები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახი (შვილები ცოტნე და კოკო), მიწვეული ვიყავით მეც და ნუგზარ მგალობლიშვილი, როგორც ზვიადის თანამებრძოლები. კინოთეატრის დარბაზი სავსე იყო მიწვეული მაყურებლებით. საპრეზენტაციო ოფიციალური გამომსვლელების შემდგომ დაიწყო ფილმის ჩვენება, რომელიც 23 ნოემბრიდან გავიდა საქართველოს კინო-ეკრანებზე. ფილმი დრამა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე კანის კინოფესტივალზე წარსადგენად გათვალისწინებული ფილმია, მაგრამ ვეჭვობ, რომ მან გამარჯვება ან რაიმე აღიარება მოიპოვოს.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უცხოელი პროტოტიპი, ტანმორჩილი მსახიობი ირანელი ჰოსეინ მაჰჯუბია. მაჰჯუბის გმირს ფილმის დაწყებიდან სახეზე და თვალებშიც აღბეჭდილი აქვს მძიმე დრამატული განცდა, რომელიც მოუშორებლივ მიჰყვება მას ფილმის კულმინაციურ დასასრულამდე, სტეჩკინის პისტოლეტის საფეთქელზე მიდებით რომ ეთამაშება სიკვდილს. თუმცა, ფილმი სრულდება წარწერით, რომ დღემდე არავინ იცის მოკლეს თუ თავი მოიკლა პრეზიდენტმა.

სამეგრელოს მთიანეთში, თეთრი ვეტმფრენით ჩაფრენილი ფილმის გმირი პრეზიდენტი ფეხებით უმალ ეფლობა ტალახში, რომლიდანაც მძიმედ ამოდის და მძიმედვე გააგრძელებს გზას ზამთრის ნისლსა და ჭირხლში. ნიშანდობლივია, რომ ფილმის ეს სიუჟეტი ასახულია მოსაწვევი ბარათის სატიტულო გვერდზეც.

მას გზა და გზა უერთდება ავტომატიანი მცირე ჯგუფი. ისინი, მდევრების გამოისობით დროდადრო მონაცვლეობენ ტყეებსა და სოფლებში, თუმცა აშკარაა, რომ გზა არსაითაა, ანუ ყველგან სიკვდილის გზაა.

ფილმის გადაღება, როგორც ბატონმა ოვაშვილმა გვაუწყა, ფინანსურად და იდეოლოგიურადაც მხარდაჭერილია კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის მხრიდან, რომელიც თავმომწონე სიტყვითაც გამოვიდა პრეზენტაციაზე და განაცხადა: ფილმის გმირი არ უნდა გავაიგივოთ ზვიად გამსახურდიასთან, მაგრამ არც უნდა დავაშოროთ მასო.

კინორეჟისორმა ოვაშვილმა, აშკარად ვერ გაართვა თავი ფილმის გმირის ფენომენს, ვერც იდეურ-პოლიტიკურ ნაწილში და ვერც, როგორც მამულიშვილისას. მან პროტოტიპიც კი ვერ შეარჩია რაიმეთი მიმსგავსებულიც. საათნახევრიან ფილმში არ მონაწილეობს ცნობილი

ან მეტ-ნაკლებად ცნობილი არცერთი მსახიობი. მეტისმეტად კინობით როლშია წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის გმირი (-ანტიგმირი) სახასიათო დიდი სათვალით და ზამთრის ტყეში თითქმის ტიტველი, რომლის ქცევები ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებს... ხელოვნურია ფრაგმენტული ეპიზოდი რუსი სამხედრო ემისრებისა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი ულტიმატუმით, დატოვოს საქართველოს ტერიტორია...

ხიბულა, ოვაშვილისეული გააზრებით, პრეზიდენტის პიროვნული მარცხისა და უიმედობის ეპოპეაა, რომელიც თვითმკვლელობის ბუნებრივ დასასრულამდე მიდის, თვითკრიტიკული სიტყვებით: „რამდენჯერ უნდა გავიქცე“...

ჩვენეული აღქმა:

ვიდრე ხიბულას კიდევ ერთ ისტორიული ღალატის ფურცელს შევეხებით, ორიოდ სიტყვით, თავად ზვიადის არქე-ტიპის წარმოჩენა დაგვჭირდება უსათუოდ; ზვიადი თავის ცნობილ ლექციურ წიგნში „საქართველოს სულიერი მისია“, პრომეთეს მითის განხილვისას ამბობს: „აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს... და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულშიო“. ტყვეობის მდგომარეობა კი, მოგეხსენებათ, არის ადამიანის არა ნებელობითი, არამედ ძალადობრივი მდგომარეობა, რისგან გათავისუფლებისკენ ისწრაფვის ყოველი ჯანსაღი ადამიანის აზროვნება და გული.

პრომეთეს მითი, შეიძლება ითქვას, რომ პერსონიფიცირებულია ზვიადის ფენომენთანაც; პრომეთე, მოგეხსენებათ არის მკვიდრი კავკასიის მოდგმისა, რომელიც ქედზე ძალადობით მიაჯაჭვა **შემდგომ მოსული** რასის წარმომადგენელმა ზევსმა...

დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით სამშობლოდან განდევნილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ არ ინება კავკასიის გეოგრაფიული არეალიდან, მისი საზღვრებიდან გასვლა, უფრო შორეულ, რომელიმე ევროპულ ან დასავლურ ქვეყანაში, სადაც უფრო გარანტირებული იქნებოდა მისი სიცოცხლის უსაფრთხოება. ზვიადმა, როგორც მებრძოლმა გმირმა (პრომეთემ) განაგრძო ბრძოლა იძულებითი მდგომარეობიდან დახსნისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის, რათა კვლავ შებმოდა და დაემარცხებინა ზევსი, ანუ იმ რეალურ პოლიტიკურ ვითარებაში, **მოსული** რუსული იმპერიალისტური ურჩხული.

ზვიადი, როგორც წითელი ცენზურის 70-წლიანი ეპოქის დამსრულებელი, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში, ვერაფრით შეეგუებოდა, საქართველოს ძირძველი სამკვიდროს - აფხაზეთის კაპიტულანტურად ჩაბარებას რუსეთის ემისარ ე. შევარდნაძის მხრიდან და იგი თავგანწირვით ჩაება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში, რისთვისაც მას, რუსულმა იმპერიალისტურმა ძალებმა განუმზადეს ხიბულა. ხიბულას ულმობელი ღალატის ისტორიას კი დღემდე მწვავედ იმკის საქართველო (ტერიტორიების პერმანენტული მცოცავი ანექსიით) და ქართველი ერი.

ხილული ღალატისა და განწირულობის პირისპირ მდგარი ზვიადი (როგორც გადმოგვცემენ), საკუთარი მწარე აღსასრული ჟამსაც კი არ შეუპყრია უმწეობის ტკივილს და უღვთო ჯალათების წინაშე იგი იდგა სულიერად გაუტეხელი და გულით უდრეკი. მისი ერთადერთი ვარამი, საქართველოს შემდგომი ბედი თუ იქნებოდა მხოლოდ, რასაც მრუმე ფერებში აჩენდა ხიბულა...

ხიბულა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წამებით მოკვდინების ადგილია მხოლოდ (როგორც პრომეთესი კავკასიის ქედზე, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ცეცხლი აჩირაღდნებს კაცობრიობს). საქართველოს დაცემულ ღირსებას უეჭველად აღადგენს ზვიადის იდეური მემკვიდრე ქართველი ერი; ზვიადმა თავისი ისტორიული მისია - საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღასრულა, რაც შეუქცევადი პროცესია და რაზეც, აგერ უკვე 26 წელზე მეტია, მყარად დგას სახელმწიფო საქართველო. ზვიადმა თავის სამშობლოს და ქართველ ერს მოუპოვა თავისუფლება და აღუდგინა დამოუკიდებლობა.

მიმაჩნია, რომ ყოველმა ხელოვანმა: მხატვარმა, დრამატურგმა, კინორეჟისორმა, მოქანდაკემ, თუ მწერალმა, ამგვარი გმირული სულისკვეთებით უნდა წარმოაჩინოს ზვიადი, რადგან სწორედ ეს სულისკვეთება ასახავს ზვიადის ნამდვილ პოლიტიკურ რენომეს და არამც და არამც სიურრეალისტური ან რუტინული, როგორადაც სურთ რომ წარმოადგინონ იგი, ანუ წარმოადგინონ ზვიადი, როგორც ანტიგმირი...

ლეილა ცოფაია

2017 წლის 30 ნოემბერი.

ღია წერილი ტელეშედიას

დასაწყისი გვ. 4

ასე გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“. ენა ღვთაებრივი საუნჯეა – როგორც ბრძანა წმიდა ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) - და მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს! ერისა და პიროვნების კულტურა განიზომება მეტყველების კულტურის ხარისხითაც და, როცა ზეპირმეტყველების კულტურა დაეცემა, ეს აზროვნების დაბალი დონის მანიშნებელიცაა, რადგან აზროვნება და მეტყველება ერთმანეთისაგან განუყოფელია. ვინ ვართ ჩვენ დღეს? – საკუთარი დედის მაგინებელი, ბილწსიტყვაობის უმძიმეს ცოდვაში ჩარჩენილი ერი! მეტი სასჯელი და უბედურება რაღა უნდა იყოს! ამიტომ წერდა თავის დროზე სულით შეძრული პოეტი ანა კალანდაძე: „ბილწსიტყვაობას ქვეყნისთვის ნარკომანიაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია“. წერა და აზროვნება ერთი მთლიანი პროცესია, ლოგიკა კი დიდი ხანია აღარ გვაქვს არაფერში, ამისი ნათელი მაგალითია „ანუს„ ასე ხშირად და უკონტექსტოდ გამოყენება, ფრაზის, წინადადების, საუბრის „ანუთი“ (ძველად ე. ი - ით) დაწყება, ვითომდა ლოგიკას მივყვებით, რაღაცას ვუხსნით ერთმანეთს და ვაზუსტებთ ჩვენსავე ნათქვამს.

ხშირად იცვლება სიტყვის სტანდარტი, ჟურნალისტების ზეპირმეტყველება სწრაფი, აგრესიული და არაბუნებრივი, გაუმართავი და ღარიბია. რაც დრო გადის, ვშორდებოთ ბუნებრივ ქართულს, დარბაისლურ მეტყველებას. მასმედიაში გაქრა ჟანრები, ყველაფერს ერთნაირი ქართულით გვიყვებიან, ინფორმაციის ენა აღარაფრით განსხვავდება რეპორტაჟის ან მოწინავე სტატიის ენისაგან. რადგან ასეთი გაუბრალოებული და ერთგვაროვანია ყველაფერი, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ენა, ზოგადად, ვეღარ ვითარდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა საგანგაშოა! ყველაზე უარყოფითი გავლენა თაობაზე მაინც ტელევიზიამ მოახდინა, მან ინდივიდუალურობა წაართვა და დაუკარგა ჩვენს მომავალს. ხშირად მინატრია, ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც არ არის ტელეისტერია და რადიოს უფრო მეტი მსმენელი ჰყავს. ჯერ ერთი, ამდენი გაყალბებული, არაფრისმთქმელი, უნიჭო და უკულტურო სახის ყურება; მათი ცხოვრების წესის გაპიარება და ვითომ კომპეტენტური (საექსპერტო) აზრების ფრქვევა უკვე ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს, ამდენი გასართობი შოუპროგრამა და ტაკიმასხარა წამყვანები, რომლებსაც არც ესთეტიკა აქვთ და არც ეთიკა. მათი ვითომ „სვეტური“ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ მხოლოდ პოპულარობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების უსუსურ ბორგვას მაგონებს. გარდა ამისა, ტელესივრცე სავსეა სკანდალებზე აგებული გადაცემებით, სენსაციებზე, ერთობ პიკანტურსა და ინტიმურ თემებზე დასმული აქცენტებით (ჟურნალისტური პროვინციალიზმი), რომელი ერთი ჩამოვთვალო... აღარ მოგწყინდათ ამდენი ტრანსი და მაჩო; ამდენი ფსევდო და ანტი?! იქნებ განმიმარტოთ ვინმემ, რა ჰქვია იმ ტელეპოლიტიკას, რომელსაც აინტერებს ერთი კანონდამრღვევი თუ დაუმორჩილებელი უწიგნურ-უტიფარი ქალის ცხოვრება?! როდემდე უნდა აკვირდებოდეს პიჯაკმოსხმული ე. ხოფერია სხვის გარდერობს?! როდემდე ვუსმინოთ მ. ასათიანის სიბრძნისმეტყველებას“, გ. ჯაჯანიძის მისნობა-მჩხიბაობას, დ. სხირტლაძისა და დ. ობოლაძის ფრთიან გამოთქმებს... როდემდე უნდა დავძვრებოდეთ სხვის სულში?! სადაცაა გაყვითლდება მთელი ტელეჟურნალისტიკა. ნუთუ დაილია თემები, ამოიწურა სააზროვნო სივრცე და აღარაფერი შემოგვრჩა საინტერესო, მშვენიერი, ამაღლებული?! ნორმალურ ქვეყანაში ასპარეზი ეთმობა ინტელექტუალს. აბა, დაითვალეთ, რამდენი ასეთი ადამიანი გყავთ მოწვეული?! ისევ „სამოთხის ვაშლებში“ ვართ ჩარჩენილი! სადღაა დარგობრივი ჟურნალისტიკა, როცა პანაშვიდი და პარაკლისი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან. განა ბევრია ამ ტელესივრცეში მარი მალაზონიასნაირი დარგობრივი ჟურნალისტი თავისი უმაღლესი კვალიფიკაციისა და საჭიროების გადაცემით?!

თქვენთვის უფრო მნიშნელოვანია ე. დეისაძისა და პ. ბურჭულაძის გაპიარება, ვიდრე ის, რომ ერი უსმენდეს ლ. სტურუასა და ბ. ხარანაულს, გ. დოჩანაშვილსა თუ ბ. ბრეგვაძეს... მეცნიერება (თავი) და ხელოვნება (გული) უნდა იყოს წარმმართველი ერის ცხოვრებისა და ეს პროპორციები როგორ გაქვთ დაცული, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!

ან რაზე უნდა ვილაპარაკო - მისალმება ვერ ისწავლეს წამყვანებმა. გაიძახიან: დილა მშვიდობის, საღამო მშვიდობის. კონსტრუქციის ჩამკეტი „ა“ ხმოვანი ჩაიყლაპა: მშვიდობის საღამო, მაგრამ (პრეპოზიციური, შებრუნებული წყობის დროს) საღამო მშვიდობისა, დილა მშვიდობისა - ამის დამახსოვრებას მაინც რაღა უნდა, მაგრამ მასობრივი უცოდინრობაა ყველგან და ყველაფერში!!! სამწუხაროდ, ქალაქურობადაა მიჩნეული უცხო სიტყვების სპეციფიკური პრონონსით წარმოთქმა (აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „ფ“ თანხმოვანი დიდი ხანია F - ით ჩავანაცვლეთ), წამღერებითი ინტონაციის მოძალება, არაბუნებრივი მახვილები. თბილისელობა სკაბრეზულობასაც კარგად ირგებს და ცისფერი ეკრანებიდან დავაკანონეთ დღევანდელი მეტყველება - უვიცობისა და უწიგნურობა-უკულტურობის გამომხატველი ვერბალური ნონსენსი!

მომაბეზრებელია ჟურნალისტის გამოჩენა კალმით ხელში (უხეხულობის დაძლევის უსუსური სახეობა). რაც შეეხება გადაცემის, პროგრამის შინაარსს, ამაზე ზედმეტია საუბარი, რადგანაც კონცეპტუალურად გააზრებული, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაფუძნებული და შერჩეული არაა არც მთავარი თემა და არც - სათქმელი. როდემდე შეიძლება, მაგ., ი. გრიგოლია სვამდეს შეკითხვას ისე, რომ არც უსმენდეს პასუხს და, თანაც, მეორე შეკითხვად რესპოდენტის პასუხს იყენებდეს?! დაიკარგა დიალოგის კულტურა ცხოვრებაში, უფრო სწორად, განიდევნა! თავისი არსით, დიალოგი ჩვენი თანაარსებობის ფორმაა, რომლის აუცილებლობა ბადებს იმის გააზრებას, რომ ამ სამყაროდან არ განიდევნოს საზრისი, უცნაური, დაუსრულებელი ინერციით არ ვიყოთ თვითტკბობაში. არადა, ახლა ყველაფერი მონოლოგის რეჟიმშია გადასული. ეს არის ერთგვარი მარგინალიზაციაც. „ჩვენ ვსაუბრობთ“ ნიშნავს, რომ ვუგებთ ერთმანეთს. გაგება მოსმენით იწყება და კიდევ იმის სურვილით, რასაც განსხვავებულის შემწყნარებლობა ჰქვია! გადაცემის წამყვანს დასმული არა აქვს შეკითხვა და უკვე წამებს უთვლის მოპასუხეს - ასეთ რეჟიმში შეიძლება დაიბადოს აზრი?!

მასმედიის შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს ობიექტური ჟურნალისტიკის მოთხოვნებს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება დღეს სასაცილოდ არ ჰყოფნის ბევრს. საქართველოში ისე წავიდა საქმე, რომ ტელევიზიებს ზედმეტი სახელებიც შეარქვეს: პატარკაციშვილის ტელევიზია, მიშას, ანუ ნაციონალების ტელევიზია (იგივე ხალხზე გამარჯვებული არხი), ბერას ტელევიზია და მისთ. ასეთ აჯაფსანდალში დარღვეულია ყველაზე მთავარი პრინციპი: ჟურნალისტს, ბუნებრივია, ექნება პიროვნული პოზიცია თუნდაც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ირგვლივ, მაგრამ ის არ უნდა წარმოადგენდეს მხარეს (როგორც თანამედროვე საქართველოში „რუსთავი 2“ და „ტაბულა“ ან „იმედი“ და „კავკასია„) და გადაცემა უნდა იყოს ყოველთვის დაბალანსებული. რადგანაც ქართულ ტელეარხებზე ეს ფუნდამენტური უფლება, უმრავლეს შემთხვევაში, დარღვეულია, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რას და როგორ გვესაუბრებიან ცისფერი ეკრანებიდან. ტელევიზიების ენა სიძულვილითაა აღსავსე და, ნაცვლად სამოქალაქო თანხმობისა და კონსოლიდაციისა, თავად სამაუწყებლო კომპანიები ანგრევთ ერთსულოვნებას, აპირისპირებთ მხარეებს. ადამიანები პოლიტიკურ დებატებში კი არ კბენენ ან კორტნიან ერთმანეთს, არამედ უკვე ჭამენ!

ტელესინდრომი „დაიბადა“ მაშინ, როცა პირველი გადაცემა გავიდა ეთერში. ადამიანებს აქვთ დაუძლეველი სწრაფვა და სურვილი საეთერო სივრცისაკენ. განსაკუთრებით აქტიურობენ მსახიობები. ბოლო პერიოდში ბევრმა მათგანმა მოირგო ტელეწამყვანის ამპლუა. ძირითადად, ეს ის ნაწილია, რომელიც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არაა დაკავებული თეატრში. როგორც ჩანს, მათი თვითრეალიზაციის ეს ფორმა არცთუ იშვიათადაა წარმატებული, მაგრამ ზოგიერთის ტელეეკრანისაკენ ლტოლვა, არხიდან არხზე კურდღელივით ხტომა უკვე ირონიას იწვევს. ამ ქვეყანაში არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რას და როგორ იტყვის. მთავარია, ტელევიზორში ჩანდე, მთავარია მეზობელი და ახლობელი, მეგობარი და ოჯახის წევრი თვალს გადევნებდეს ცისფერ ეკრანზე - დავარქვათ ამასაც საზოგადოებრივი მენტალობის დეფორმაცია.

რადგანაც ცხოვრება გვიწევს დიდი საკაცობრიო კულტურული დეკადანსის პირობებში, ბუნებრივია, რომ მოთხოვნა ღირებულსა და ფასეულზე ვერ იქნება პრიორიტეტი და ტელევიზიები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ამ დროს შეჰფერის. ვის ეთმობა ასპარეზი? - მათ მიერ გაპიარებულ „ცნობად“ (უკვე გაყალბებულ) სახეებს. არხიდან არხზე ერთი და იგივე ადამიანები: ან პოლიტიკოსები (ათას პარტიაგამოვლილი), ან გაცვეთილი გრძნობების, ფსევდოკულტურის მატარებელი ქვეყნის „ელიტა“. ჩვენ წინასწარ ვიცით, ვინ რას იტყვის. პროგრამათა პროდიუსერებს ეზარებათ ახალი სახეების ძებნა, მათი გადაცემები აღარ იქნება, როგორც თავად ამბობენ, „ყურებადი“ და ვართ ამ ჭაობში. პრობლემა არის ჩვენში, ჩვენს მიდრეკილებებში, პრიორიტეტებში, ინტერესებსა და განათლების დიაპაზონში. ახლა ყველა ექსპერტია - ველარანაირ იუმორს ველარ უძლებს საეჭვო კვალიფიკაციის ადამიანთა გაპიარება. ქყვეყანაში, სადაც კომპეტენციის სერიოზული დეფიციტია, როგორ შეიძლება ყველა დოქტორი იყოს, ვინც ორ სიტყვას დაწერს და დაბეჭდავს პუბლიცისტი ერქვას, ექსპერტის წოდება ჰქონდეს... ნებისმიერი ქვეყნის ელიტას, უპირველესად, სამეცნიერო საზოგადოება ქმნის. ჩვენთან მეცნიერის სახელი და ღირსება ისეა შელახული, მივიწყებული, რომ მას ასჯერ სჯობს სცენაზე ერთხელ გასული ვაიმომღერალი.

ტელევიზიამ დაამკვიდრა უგემოვნობა და უტიფრობა, მან შექმნა გაუკულმართებული საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრების „სვეტურ“, თანამედროვე გაგებად გამოაცხადა გარყვნილება და აღვირახსნილობა, წაგვართვა მშობლიური ენის კულტურა, გაგვიყალბა ისტორია, დაგვინგრია ტრადიცია, დანერგა ეროვნული ნიჰილიზმი, გამოგვათაყვანა, გვაქცია პოლიტიკური ავანტიურის მსხვერპლად...

ცხოვრება გადის ერთად ფიქრსა და განსჯაში კი არა, - ლაყბობაში, რომელიც უმალ გადაიზრდება უხამსობასა და დაპირისპირებაში. ორი განსხვავებული პოზიცია ერთად ვერ თანაარსებობს. სხვისი აზრის ბოლომდე მოსმენა, აღქმა, გაგება და ინტერპრეტაცია დიდ პრობლემად იქცა. ყველა დეტალში აგრესია იკვეთება - ესაა პოლიტიკური ტოკშოუების მახასიათებელი.

ასეთ პირობებში, ასეთ სოციო-კულტურულ სივრცეში სანთლითაა საძებნი ანალიტიკური, შემეცნებითი, ისეთი გადაცემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გონების მთვლემარე ფაზაში მყოფი ხალხის გამოცოცხლებას, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას, მაღალი იდეალებისა და ღირებულებების დამკვიდრებას (ამას ესწრაფვის „ერთსულოვნება“, მაგრამ მკაცრად რეგლამენტირებული იდეოლოგიით).

მთავარია, ტელეარხებმა გააცნობიეროთ თქვენი მისია, მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, გესმოდეთ ის რისკები, რომლებიც თან სდევს საეთერო ცხოვრებას, რომ ბოროტება ძალიან ხშირად სიკეთის ლოზუნგით ცდილობს გზის გაკაფვას, რომ ეკრანიდან სხვათა დაცინვით, ლანძღვით, სიძულვილის ენით საუბრის საშუალება არ მიეცეს არავის. ასევე, მნიშნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ვიწროპარტიული თუ სახელისუფლებო ინტერესები ვერ შეინიღბოს ხალხის სახელით. ძალიან მინდა, რომ ტელევიზიები მასაზე კი არა, პიროვნებაზე იყოს ორიენტირებული.

საზოგადოება არჩევნის პირისპირ დგას: ან უარი უნდა თქვას ტელეისტერიაზე, ან უყუროს ტოკშოუებს, პარლამენტის სხდომებს, პოლიტიკურ დებატებს, გადაერთოს სერიალების დაუმთავრებელ ნაკადებზე, ღამის გასართობ შოუებზე... და არ იკითხოს, არ იფიქროს, არ განმარტოვდეს საკუთარ თავთან, იცხოვროს სხვისი ცხოვრებით, ინტრგით, ჭორით, სკანდალებით...

ძვირფასო ტელემედია!!! იქნებ რამე შეცვალოთ თქვენს პოლიტიკაში და ხელი შეუწყოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითრებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებსა და ფასეულობების დამკვიდრებას!

საბა მეტრეველი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

სევარიონ ნადირაძე

ზვიადს

დიდგორის ქარი
საქართველოს
გმირებს დაითვლის
ბაგრატის ტაძრის
კედლებიდან
გალობს დავითი

ნაბიჯების ხმა,
ტყვიის სროლა-
ის დაჭრილია.....
წიწამურიდან
გაგვაღვიძებს
დღესაც ილია...

ხევიხევ მთებში,
მისდევს რაინდს
მელა წყვდიადის....
მაგრამ სიბნელეს
გაანათებს
კვარი ზვიადი...

დიდგორის ქარი
საქართველოს
გმირებს დაითვლის
ბაგრატის ტაძრის
კედლებიდან
გალობს დავითი.

ძველი თემა

ძველი თემაა ქამი და სემი,
აქ შეუყვარდა ადამი ევას,
გორგასალსა ჰგავს ქალაქი ჩემი,
ხოლო ქუჩები ცხენების რემას...

კლდის ქიმს მაგონებს ამაყი ხედი,
პერგამენტს ქსოვენ მათე და ლუკა,
აქ წარღვნის მერე მოფრინდა მტრედი
და არ დაბრუნდა ნოესთან, უკან...

ჰგვანან დღეები გაფრენილ ქედნებს,
ცა მეტყველია წვიმების ბროლით,
და დედამიწის ცარციან კედლებს
მოარგო ტალღამ ფრაზა და როლი,...

ისევ ღრუბლების იარუსს შევრჩი,
მზეს ოქროსფერი უჭირავს თარი,
და მობარბაცე ხეების წრეში
ჩრდილების თეატრს აცოცხლებს ქარი...

მშიერი მგლები

დილით მშიერ მგლებს აღვიძებენ
კაცები თოფით
და კერიაზე დაბრუნება რადგან წესია,
თონეებად და მონასტრებად
შეზრდია სოფლებს,
რაც გლეხის ხელებს ხნულში
თიხა დაუთესია...

რადგან მეფენი ეცემიან, ჟამი კი მეფობს
და სევდის ხავსი ეჭიდება სასახლის
ფანტომს...
დრო ფქვავს საკუთარ ფოტოსურათს -
წარსულის ექოს
და პეშვით, როგორც პურის თავთავს,
გზადაგზა ფანტავს...

ჩვენს დროში კუშტად იცინიან
მოცარტზე, ვერდზე,
თითქოს ბოთლიდან ამოუშვეს
ერთად ჯინები,
რკინის ჟირაფებს აძოვებენ
ქალაქის მკერდზე
გოლიათივით ამოზრდილი
ცათამბჯენები..

დილით მშიერ მგლებს აღვიძებენ
კაცები თოფით
და კერიაზე დაბრუნება რადგან წესია,
თონეებად და მონასტრებად
შეზრდია სოფლებს,
რაც გლეხის ხელებს ხნულში
თიხა დაუთესია...

ორი შეშლილი

ერთად დადიან!-
-იტყვის მავანი
და გვერდს ჩაუვლის
ორი შეშლილი-
-ლექსი, ჩემსავით
ამპარტავანი,
მე, სუსტი ყველა
ჩემი ლექსივით.

სარკესთან ისევ
პირისპირ დავრჩი,
როგორ დამეტყო
შფოთი და დაღლა,
ვერ მოვიშორე
მათხოვრის ჩაჩი,
ვერ მოვიშუშე
მასხარის დამლა...

ნეტავი ცოტაც
გამაძლებინა,
ზაფხული ქშინავს
სიცხის დილემით,
ლარზე გაბმული
ნაგაზებივით
წრეებს უვლიან
სახლებს ჩრდილები...

სულ პაწაწინა
ლაქა ვარ მელნის,
ისევ ღრუბლიან
ფურცლებს ვეჩვევი,
გალუმპული მაქვს
წვიმებით მხრები
და გუბეები
დამაქვს პეშვებით....

ბილიკს შეაცვდა
ჩემი ღიმილი,
მაკრთობს საწუთროს
სახე ტიალი,
და მონანიე
პილიგრიმივით
ლექსიდან ლექსში
დავხეტიალობ...

შრიალებს პალმა
თუ პაპირუსი,
ზღვა ღელავს,
როგორც ლექსის
სტრიქონი
და ცდილობს ტალღა
სანაპიროზე
ყველაზე ძველი
კენჭი იპოვოს.

ცაზე მთვარეა
- ღამის არაბი,
თეთრი ცხენით და
ცხელი მითებით,
ვარსკვლავებს შორის
თრთოლვით გავაბი
ლექსები - ჩემი
ბეწვის ხიდები...

შენიღბულია
ისევ დარბაზი,
ისევ ღიმილი
მტკივა ბაგეზე
და შიშით ხელში,
როგორც ჯამბაზი,
ისე გავდივარ
სიტყვის ბაგირზე...

კვამლი

ისევ ამოდის კვამლი ბუხრიდან,
ზამთარიც თოვლის ზღაპარს ამთავრებს
და სავსე მთვარეს ვერცხლის ბუდიდან
გზადაგზა სტაცებს ქარი ვარსკვლავებს...

მთა არ მინახავს ასე გულდიდა,
ცა არ მინახავს ასე მარტივი
და გაზაფხული ოქროს ბუდიდან
მზეს დაუვარდა ჩიტის ბარტყივით...

დიდი სახლშია

ის ღამე უნდა თეთრად მეთია,
იქ ვარსკვლავები იყვნენ მცველები,
ცივ სამარეში ვერ ჩაეტია
და სახლში დარჩა დედას ხელები...

ღამეს ვჭვრეტ მთვარის თასით გალე-
შილს
და ემატება ტკივილს ტკივილი,
ვერ ჩაეტია ცივ სასახლეში
და სახლში დარჩა დედას ღიმილი...

მხრებით ტკივილი მიმაქვს ქარიქარ,
ცივ სუდარაში გამოხვეული,
ვერ გაეტია ჩახსნილ კარიდან
და სახლში დარჩა დედას სხეული...

ბორცვი მარტოა ახლა სრულიად,
და მეც მშვიდი ვარ ახლა სრულებით
და რადგან სახლი დედის სულია
მათბობს საკმევლის ნელი სურნელით...

გუბე

მე დამაგუბეს და ახლა ტანზე,
ჩვეულებრივი ხავსი მედება,
მესვრიან კენჭებს და ვტოვებ ხაზებს,
სიურეალურ შემოქმედებას...
ჩვენში მარტივად იცვლიან როლებს
აუღელვებლად, როგორც იციან,
მესვრიან ქვებს და ითვლიან რგოლებს,
ფსევდოაბსტრაქტულ კომპოზიციას...

რად გამახსენა ჭაობმა ბროდსკი,
ან ამ შეხვედრას ნეტავ რა ჰქვია?!...
მესვრიან ლოდს და იზრდება ბორცვი,
ფუტურისტული ეპიტაფია...

მე დამაგუბეს და ახლა ტანზე,
ჩვეულებრივი ხავსი მედება,
მესვრიან კენჭებს და ვტოვებ ხაზებს,
სიურეალურ შემოქმედებას...

უცნაური სვლები

მზე დილიდან ისევ სათევზაოდ წავა,
ღრუბელი აქვს ბადედ ხელში აკეცილი,
ახლა მეტეხის კლდეც ქიმზე შემდგარ
ქალაქს
მტკვარში გადაკიდებს ძველი ანკესივით...

ჩქერში ჭანრის ჭერით ერთად
დავილლებით,
მეც მაქვს ჩემი ხერხი, უცნაური სვლები,
ეს სახლები ახლა თავის აივნებით,
ანკესს გამოვაბი როგორც ტივტივები...

ამ ქალაქში ლექსთან ერთად დავიბადე
და მადლობის ნიშნად ცისკენ ვიწვდი
ხელებს,
მტკვრის ჩქერებში გაშლის მზეც
სულ მალე ბადეს
და თბილისთან ერთად ფეხებს
დაისველებს...

მზე დილიდან ისევ სათევზაოდ წავა,
ღრუბელი აქვს ბადედ ხელში აკეცილი,

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ახლა მეტეხის კლდეც ქიმზე შემდგარ
ქალაქს
მტკვარში გადაკიდებს ძველი ანკესივით...

გარეული ფრინველები

ტყვიის წვიმებმა გაგვანებივრა,
გასასვლელს ვეძებთ დენთის
ზამთრიდან,
ჩვენ გარეული ფრინველები ვართ,
და თოფის ლულებს შორის
დავფრინავთ...

უჩინარდება დღე უდროულო,
მიმწუხრში მტვრიან თვალებს აცეცებ
და ჩიტისფერი წვიმა პოულობს
ქარში დაფანტულ გულის ნამცეცებს...

ნოტებს ეხები მხოლოდ თითებით,
განიცდი ზარებს დაურეკავებს,
გარს გახვევია წვიმის ჩიტები
და ნაწილ-ნაწილ შენს გულს კენკავენ...

ისევ ბებერი მთვარე აყეფდა,
ისევ გაიხსნა, ისევ გეტკინა,
იმდენჯერ დაგწყდა გული ამ ქვეყნად,
რომ ფეთქავს მხოლოდ
წყვეტილ-წყვეტილად...

ტყვიის წვიმებმა გაგვანებივრა,
გასასვლელს ვეძებთ დენთის
ზამთრიდან,
ჩვენ გარეული ფრინველები ვართ,
და თოფის ლულებს შორის
დავფრინავთ...

შემოდგომა დაილალა

ზღვა დილიდან აფერადებს აფრებს
ლილით,
ბავშვობიდან ჰყვარებია როდენს ბია,
და ფოთლები ტოტებიდან აფრენილნი,
ჩიტებივით მინდორ-მინდორ
გროვდებიან...

ასავსავებს მეძებარი „გადა“ ენას,
სიცივესაც მოეძალა აპათია,
თბილ ქვეყნებში უნდათ ფოთლებს
გადაფრენა,
ზამთარი კი თოფს უმიზნებს
საფანტიანს...

კვლავ თოვლიან ამინდებზე
გვაფრთხილებენ,
სველ ტოტებზე გადაკიდებს ქარი
ფრაზებს,
წეროებმაც ოქროსფერი მარხილებით
შემოდგომა თბილ ქვეყნებში გაიტაცეს...

ზღვა დილიდან აფერადებს
აფრებს ლილით,
ბავშვობიდან ჰყვარებია როდენს ბია,
და ფოთლები ტოტებიდან აფრენილნი,
ჩიტებივით მინდორ-მინდორ
გროვდებიან...

შემოდგომა

ისევ ამინდები
დგება რუხი,
ვაზი ჩამოკრიფეს
სადაფებად,
წვალობს შემოდგომაც
-ოქროს კრუხი,
ფოთლებს რომ ასწავლოს
გადაფრენა...
წარსულს ჩაბარდება
მწვანე მითი,
ხეებს ვაყურადებ
ნოტებიანს,
მალე ოქროსფერი
დედა ჩიტი,
ფოთლებს წამოაფრენს
ტოტებიდან...

მდუმარე დამნაშავე

თურმე საწოლი ჩემთვის უკვე
გაუფენიათ,
დღეს ლექსს ვამთავრებ უჩვეულოდ,
წერტილ - მძიმეთი,
ნეტავ შენს ყეფას ლომის ძალა
ჰქონდეს ფინია,
შენ ხომ არ იცი როგორ მშვიდად
დავიძინებდი..

მიყვარს თბილისის ყველა ქუჩა,
ყველა აღმართი,
აქ ქარიც ძველი აშუღია, დუდუკზე
კვნესის,
სხვისი არ ვიცი, მე სამშობლო რომ
ვერ წამართვან
წიგნში ჩავხატე, ცხრა ურდული
დავადე ლექსის...

უნდა მოვუშვა უკვე წვერი, როგორც
მგოსანმა,
და ჩემი ფოტო ჟურნალ-ჟურნალ
გავაპიარო,
ჩვენს დროში ლექსზე უმთავრესი
რადგან პოზაა,
მე ვტეხავ კალამს და ექსცენტრულს
ვსწავლობ სიარულს...

მელნის კაცები მელნის ღრუბლებს
ისევ სერავენ,
ისევ ნიღბებით იკავებენ მელნის
იარუსს,
დღეს ვის რად უნდა წრფელი წიგნი,
კარგი მწერალი,
მთავარი არის შეგფუთონ და
გაგაპიაროონ...

ველარ იტევენ ეს კედლები დღეს
ცრუ დავინჩებს,
ქუჩებში ურჩად იძახიან
თეთრზე შავია,
მე ვხვდები როცა მატყუებენ, მაგრამ
არ ვიმჩნევ,
სწორედ ამიტომ მეც მდუმარე
დამნაშავე ვარ...

თურმე საწოლი ჩემთვის უკვე
გაუფენიათ,
დღეს ლექსს ვამთავრებ უჩვეულოდ,
წერტილ - მძიმეთი,
ნეტავ შენს ყეფას ლომის ძალა
ჰქონდეს ფინია,
შენ ხომ არ იცი როგორ მშვიდად
დავიძინებდი.

ლელა მეტონიძე

ამარკირდი

(იმერულად)

ბებიაჩემს ტირისდენში სტუმრობდა ერთი საყულიელი ნათესავი, მარუსია კვერნაძე, ნამეტნავად შეუხედავი, ხმელი და გაფშიკული ქალი მაგრამ

უფლისმიერ სათნოებასთან და გამრჯელობასთან ერთად, საოცრად მოწესრიგებული და პეწიანი გახლდათ...

მე კი სულ მეგონა,რომ საყულია რაღაც უცნაური, ჰიბრიდული არსებების, (ფრინველ-ცხოველა) „ყულიების“ სამყოფელი იყო ,

ან თუნდაც „ყულარიების"

ან საყურყუმალავო რაიმე, კამკამა წყალ-გუბეებით,

წალკოტ-ბაღნარის ტიპის „აღთქმული"მინა... ბებიაჩემი სულ მარუსიას ქებაში იყო :"აი ნახეთ მამისეული პალტო დღემდე გაუხდელად აცვია და თუ ახალივით

არ არისო „-ამბობდა, მარუსიას მამა კი საღორიის ტყეში,ჩემს დიდ ბაბუასთან ერთად, ბოლშევიკების სასაკლაოზე, ერთ ღრმა და უთვალო ორმოში განისვენებდა...

ჩუმად იცოდა შემოსვლა „ხალხის მტერის"შთამომავალმა, და გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ცოცხალი უცხოპლანეტელის

სახე-იერი ნამდვილად არ შემეშლება.ღრმად ჩამჯდარი „ყურყუმელა“ თვალები,ჩახმახზე შეყენებული მზერა-მტყორცნით, ოდნავ შიშვნეული გამომეტყველებით ,

თხელი, ცვილისფერი სახე,

ნაჯახით „გამოჯღვარკული“ ყვრიმალები,

ძაფივით გადაჭიმული, უფერული ტუჩები და ოთხკუთხედი,

მამაკაცური ნიკაპი...

თავზე „კასინკა-მუზარადი",აუცილებელი შტრიხი, ყრონტთან ისე მჭიდროდ გამონასკვული, რომ იფიქრებდით,

რა ასუნთქებს ამ გაჭივრებულსო...

მიმრეც-მომრეცი თანკბილვით და მაინც ისე მზეუკლები...

ბუნდოვნად მახსოვს მაგრამ მარუსია არასოდეს მინახავს შილიფად ჩაცმული,

თითქოს ზამთარს ელოდაო ,რომ ისევ ღირსეულად წარმდგარიყო ჩვენს წინაშე, თავისი უმწიკვლო „ფარაჯა-პალტოთი“ და ბებიაჩემი ისევ საქებრად მოემართა...(ან სულაც ამ პალტოთი დაბადებულა)

მარუსიას შემართული აღნაგობა ნამდვილად მოგაგონებდათ თავდადებაზე გამოწრთობილი ჯარისკაცის მზადყოფნას,

მარუსია-ყულია კვერნაძე!!!

ჰაიტ! მოგეცა ლხენა

არ დაგიმალავთ და ეს ქალბატონი ცოტა ეჭვის თვალით მიყურებდა, იმიტომ რომ წუთში ხუთჯერ ვიცვლიდი კაბებს და ჭრელო- პეპელასავით ვუფარფატებდი ცხვირწინ ...

ჩამოგვიტანდა თეთრ, გაკრახმალებულ „ტომსიკებში"გამოკრულ, ქუთქუთა, დარჩეულ ნიგოზს,

საშუალო ზომის ქილებში,

საოცარი ფერის თაფლს, აი ჩემი ბავშვობის ფერისა,

გამშრალ კუნელს, ბებიაჩემის პაროქსიზმებთან საბრძოლველად,

კოწახურსა და ვადკაჭაჭას...

ოდნავ ყურსაც აკლდა და ჩემთვის ვიცოდი ჩალაპარაკება-

"საყულია-საყრულია", მარუსია კვერნაა და ა.შ.

როგორ შეიძლება ერთი პალტო ატარო ორმოცი წელიწადი და არ გაცვითო,

თვალისმომჭრელი სილაპლაპე და პეწი არ დაუკარგო, არ გამოუყვანო წირვა?

რა ფენომენია ეს? მიჩემებ-ამოჩემებულობა?

ჯინაზე მოქცევა ? უქონელობა?

არ ვიცი, ახლა ვფიქრობ, ალბათ მისი ეს ჟინმომრეობა უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, როგორც ძვირფასი მამის ხსოვნას და მიჯინებული სიყვარულის აკვიატებას...

ბებიაჩემი თვალებს მიპაჭუნებდა, მანიშნებდა არ შეგამჩნიოს ოხუნჯობაო,არ ეწყინოსო,

მე კი ჩემსას არ ვიშლიდი და ჩუმად მივაყოლებდი ისევ:

-"საყულია -საყრულია"

"მარუსია კვერნა“ „მარუსია კვერნაა"

რა უცნაურად მომაგონდა ამ საღამოს,

"სტაჟიანი“ მიცვალებული იქნება ახლა.

ალბათ, იმ პალტოთი დამარხეს, ან იქნებ ჩემს ხსოვნაში დაუდევს სამარადჟამო სამყოფელი... არ ვიცი!

ივანე ჯავახიშვილის პირადი და იდეური ურთიერთობანი ილია ჭავჭავაძესთან

1907 წლის, 12 სექტემბერს, როდესაც ილია მოკლეს, მაშინ ივანე ჯავახიშვილი 31 წლის იყო. იგი, ბოლო 12 წლის განმავლობაში, ძირითადად პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ სახელმოხვეჭილი ისტორიკოსი დრო და დრო თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე. თვითონ ილიასაც, სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის გამო, რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში 1906-7 წლებში ხშირად უხდებოდა

ყოფნა. თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლისას,ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, ყოველ შემთხვევაში, იდეური ურთიერთობანი ექნებოდა დიდ მოაზროვნესა და ეროვნულ მოღვაწესთან. თავიანთი ძირეული მისწრაფებებითა და მსოფლმხედველობით ამ ორ პიროვნებას ბევრი რამ ჰქონდა საერთო. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა, ილიასა და სხვა გამოჩენილი სამოციანელების იდეების ზემოქმედებით ჩამოყალიბდა უთუოდ.

გიმნაზიაში სწავლისას, ყმაწვილი ივანე ჯავახიშვილი დიდად იყო ჩახედული ქართულ პრესას. ჯერ გიმნაზიისა და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში მისი მეგობარი ივანე ნიჟარაძე იგონებდა:„ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები: ვანო, გიორგი, მიშა და დათა უფრო ადრე წაეკითხათ ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას“, რადგან, ერთადერთი, ამ პერიოდიკის გამო თუ ხდებოდა დავა-კამათი და-ძმათა შორის, სახელდობრ როგორ დაედგინათ მისი წაკითხვის რიგითობა“.

უეჭველია, რომ ქართულ პერიოდიკაში ივანე ჯავახიშვილს, ყველაზე დიდ ინტერესს, ილია ჭავჭავაძისეული „ივერია“ აღუძრავდა.1897 წელს,უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა ბიბლიოგრაფია „ივერიის“ წინა ათი წლის(1886-1896) მიხედვით. პეტერბურგში სტუდენტ ივანე ჯავახიშვილს ოჯახიდან ხშირად უგზავნიდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა შორისაც „ივერიას“ გამორჩეული ადგილი ეკავა. ამ გაზეთის რედაქციის თანამშრომლებსაც მხედველობის არედან არ გამოჰპარვიათ დიდი იმედის მომცემი ახალგაზრდა და მის შესახებ გაზეთში ხშირად აქვეყნებდნენ მასალას.1898 წლის 13 ოქტომბრის ნომერში „ივერია“ იუწყებოდა, რომ სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილმა რუსულ ენაზე თარგმნა „სიბრძნე ბალავარისა“. ამავე წლის 11 ნოემბერს გაზეთი იტყობინებოდა თხუთმეტი ქართველის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებას და ამათგან ივანე ჯავახიშვილის დატოვებას აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.„ივერიამ“ პირველ გვერდზე მოათავსა ცნობა ივანე ჯავახიშვილის ოქროს მედლით დაჯილდოვების შესახებ.1902 წლის 16 ივნისს გაზეთი იუწყება ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გამგზავრების შესახებ პალესტინაში, რათა შეესწავლათ ძველი ქართული ძეგლები. 24 აგვისტოს კი „ივერია“ საზოგადოებრიობას აუწყებს ორი სწავლულის დაბრუნებას პალესტინიდან.

1906 წლის აპრილში,როდესაც ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, თვითონ ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით,პეტერბურგში ილიას ჩასვლისას იქაურ ქართველობას მისთვის შეხვედრა-ბანკეტი გაუმართავთ. ბანკეტს დასწრებიან ივანე ჯავახიშვილი,ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, სპირიდონ ვირსალაძე და სხვანი. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ილიასათვის ჩინებული სიტყვით მიუმართავს, რაზედაც ილიას საკმაოდ ვრცლად უპასუხნია. ივანე ჯავახიშვილს კარგად დახსომებია მისი პირველი ფრაზა: „ქართველები ბედოვლათები ვართ ქებაშიც და ძაგებაშიც“-ო. ე.ი. იგულისხმება, რომ ჩვენ ზომიერებას ვერ ვიცავთ ვერანაირი მიმართულებით. თუ ამჯერად ილია ჭავჭავაძის ქება-დიდება მოისმინა,მეორე მხრივ, განსაკუთრებით, ამ პერიოდში, ასევე უზომო ძაგებაც ხშირად სმენია ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან, როგორც მენშევიკების,ისე ბოლშევიკების მხრიდან.

1907 წლის 7 იანვარს, თბილისის საკრებულოში თუ არტისტული საზოგადოების სახლში, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება, სახელწოდებით: „საქართველოს ეკონომიკური ისტორია უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე“. როგორც გაზეთი „ისარი“ გვაუწყებს, აღნიშნულმა ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და ბევრიც გაბრუნდა უადგილობის გამო. ამავე გაზეთში იგივე საკითხს კომენტარს უკეთებდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე.საინტერესოა,რომ ივანე ჯავახიშვილის ამ ლექციას დასწრებია ილია ჭავჭავაძე. ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს პეტერბურგში 1907 წლის ზაფხულში.ივანე ჯავახიშვილის მოგონებით,ილიას,როცა იგი აქ ჩამოსულა სახელმწიფო საბჭოს არჩევითი წევრის ამპლუაში, ერთ-ერთი შეხვედრისას მისთვის უთქვამს: გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი კოოპერაციაზე და საამისოდ მუშაობას უკვე შევუდექი. მაინტერესებს,იყო თუ არა ამის მსგავსი რამ ჩვენს წარსულშიო. როდესაც ივანე ჯავახიშვილს უთქვამს,რომ საამისო ისტორიული ფაქტები საკმაოდ მოიპოვებოდაო, ილიას ასეთი წინადადება შეუთავაზებია: იკისრეთ თქვენ ამ საერთო წიგნისათვის ისტორიული ნაწილის დაწერა,ხოლო თანამედროვე ვითარებაზე მე დავწერო. ამ შემოთავაზებას ივანე ჯავახიშვილი დასთანხმებია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის წევრებს ივანე ჯავახიშვილი,როგორც ამ წრის ხელმძღვანელი, დავალებას აძლევდა თითოეული მათგანის მშობლიური კუთხის მასალების მიხედვით ასეთი საკითხიც დაემუშავებინათ, როგორია გლეხთა შორის შრომაში ურთიერთდახმარების ფორმები? სასურველი იყო დაწვრილებითი ცნობები. გაჩნდა შესაძლებლობა ერთი კონკრეტული საკითხის თაობაზე ორ მოღვაწეს - ერთს ისტორიის ასპარეზიდან უკვე მიმავალს, ხოლო მეორეს - მომავალს ერთად ემუშავათ. საერთოდაც, რა ნაკლოვანებასაც მშვენივრად აცნობიერებდა ილია - საქართველოს ისტორიის ახლებურად, თანამედროვე მეცნიერებისა და აზროვნების დნეზე გაუმართაობას,იმას უკვე თანდათანობით ავსებდა ივანე ჯავახიშვილი.

ილიასა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა უფრო მჭიდრო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ დიდი ქართველის სიცოცხლის ხელყოფამ გამორიცხა ამის შესაძლებლობა. ამიერიდან, ჩვენს ხელთაა სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ივანე ჯავახიშვილის, ილიას ყველაზე გამოჩენილი სულიერი მემკვიდრის მცდელობას, უკვდავყოს დიდი წინაპრის ხსოვნა. ილიას დასაფლავებისთანავე,1907 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა და თბილისის წარმომადგენლებმა მოიწვიეს კრება,რომელზეც დაადგინეს შეეგროვებინათ ფული ილიას სახელის უკვდავსაყოფად, კერძოდ, მისი ძეგლის დადგმა თბილისის მთავარ მოედანზე. ამ საქმის მოგვარება ითავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელმაც სპეციალური კომისია შექმნა,რომლის ერთ-ერთ წევრად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილიც.1910 წელს პარიზიდან ჩამოიტანეს იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკება, ივანე ჯავახიშვილმა მოიწონა თვით მონუმენტი, მაგრამ წინააღმდეგი იყო მისი არქიტექტურული გადაწყვეტისა. ჯავახიშვილი აღნიშნავდა პ.მამრაძის აგებული ნიშის შეუფერებლობას ქართულ ხუროთმოძღვრებასთან. ამგვარი ნაგებობის აშენება სრულიად მცდარი და დასახული მიზნისათვის არადამაკმაყოფილებელი იქნებოდა. შენიშვნა კომისიამ გაითვალისწინა,რამაც გარკვეული დროით გადაწია ილიას ძეგლის დადგმა.1913 წლის პირველ აპრილს კომისიამ საბოლოოდ მოიწონა ძეგლი, რომელიც მომდევნო თვის ხუთ რიცხვში გაიხსნა-„მწუხარე საქართველო“. კომისიის აზრით, მომავალში უნდა შესრულებულიყო უფრო უკეთესი ქანდაკება და დადგმულიყო უფრო შესაფერის ადგილას.

ივანე ჯავახიშვილი კრიტიკულად იყო განწყობილი გიგო ყიფშიძის მიერ დაწერილი ილიას ბიოგრაფიისადმი; იგი წერდა:„გ.ყიფშიძის დაწერილს ბიოგრაფიის შესახებ მე მაშინაც მოგახსენეთ, რომ ილიას დიდებულს ღვაწლს არ შეეფერება და მის სულიერს განვითარებას არ გვისურათებს; თუ ეხლაც იმნაირივე დარჩა, რასაკვირველია, მეც სუსტად

ჩავთვლიდი“. მან მშვენივრად იცოდა, თუ ვის ხელეწიფებოდა ყველაზე უკეთ აღნიშნული ამოცანის აღსრულება: „საუბედუროდ ის, ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს!. ესეც ჩვენი ბედი!...„

1915 წელს დაიბეჭდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული, სადაც გიორგი ჭუბაბრიას წერილში განხილულია მოქალაქეობრივი ჰანგები ილია ჭავჭავაძის ნაშრომებში. კრებულის წინასიტყვაობაში რედაქტორი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა,რომ ეს წერილი მიძღვნილია „იმ მოღვაწის შემოქმედებისადმი - ილია ჭავჭავაძისადმი, რომლის ღვაწლი ახალი საქართველოს წინაშე განუზომელია“.

ივანე ჯავახიშვილი დიდად განიცდიდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ილიას მიმართ: „თუ თავდაპირველად ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან

ივანე ჯავახიშვილის პირადი და იდეური ურთიერთობანი ილია ჭავჭავაძესთან

←

მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარჰყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა". ასე გრძელდებოდა, სანამ 1936 წლის „პრავდის" 4 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით სათავე არ დაედო დიდ შემობრუნებას ილიას გაგებისა და პროპაგანდის საქმეში. ივანე ჯავახიშვილი ახლა უკვე კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა: „საბედნიეროდ, ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ლია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია(„პრავდა" 4.09.1936). ცხადია იგულისხმება სტალინის გარკვეული დამსახურება, რომლის წყალობითაც, სხვათაშორის, გადარჩა თვითონ ივანე ჯავახიშვილიც.

1937 წელს საბჭოთა კავშირში ფართოდ აღინიშნა ილიას დაბადების ასი წლის იუბილე. ამ მოვლენას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილიც,რომელმაც საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". მოხსენების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ წერილში უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „გუშინწინ მოვიხადე ილია ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე ვალი და აქაური ფილიალის სხდომაზე წავიკითხე მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", რომელზედაც ამ უკანასკნელ დროში ვმუშაობდი, რომელშიც აღნიშნული მაქვს ის დიდი ღვაწლი, მას რომ ამ დარგში მიუძღვის. მომხსენებელი არ იშურებდა ეპითეტებს ილიას მიმართ, მას მოიხსენიებდა როგორც „ჩვენს დაუვიწყარ მოამაგეს", „ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს", „ჩვენს დიდებულ მგოსანსა და პუბლიცისტს". მოხსენებაში ცალ-ცალკეა განხილული ილიას ზოგად-ისტორიული კონცეფცია და მეთოდოლოგიური შეხედულებანი. აღნიშნულია ილიას რევოლუციური მიდგომა საქართველოს ისტორიული პროცესის ახლებური გააზრებისადმი. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო, მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ, მოვლენათა შეფასებაც. მისი რწმენით,მთავარი ყურადღება შინაგანს-სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა".

ივანე ჯავახიშვილი ეხებოდა ილიასეულ მოსაზრებას ძველ საქართველოში მიწისმფლობელობის თავისებური წესის არსებობის თაობაზე, რისი წყალობითაც ჩვენი ქვეყანა, ილიას აზრით, უამრავ შემოსევას უძლებდა. ამიტომ მასში მომხდარი არასასურველი ცვლილებანი საზოგადოების დაძაბუნებას იწვევდა.საკითხის ამგვარი გააზრება მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია. ასევე ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილიც: „საქმე ის კი არ არის, სწორია თუ არა თვით ილია ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წელს აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა". მოხსენებაში ცალკე იყო განმარტებული ილიას დამოკიდებულება ქართველი ისტორიული მოღვაწეებისადმი. ივანე ჯავახიშვილი შეეხო შესასწავლი პიროვნების მეთოდოლოგიურ პოზიციას. კერძოდ, ილიას მიერ ისტორიული კრიტიკისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მნიშვნელობის აღიარებას. ილია ჭავჭავაძეს ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიული მეცნიერების მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივანე ჯაბადარის ნაშრომებმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია". რაკი ამ ორი აღნიშნული მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი იმ პერიოდის საქართველოში არავინ იყო. ილიამ განმარტა მათი არსი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა".

ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს-ის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქმნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არცერთ ქართველს არა აქვს".

ასეთი იყო ივანე ჯავახიშვილის, პირადი და იდეური ურთიერთობანი, ილიასთან. ასე ფიქრობდა იგი თავისი დიდი ისტორიული წინამორბედის შესახებ.

თინათინ ბიკაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ინგა გრიგოლიას „ჩიქორთულობანი"

ნოდარ კობერიძე

ბოლო სატელევიზიო გამოსვლაში ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ „გააჟღერა" და „გააჟღერა" სიტყვანი ქართულნი, თავი ლამის კონსერვატორიაში თუ არა, ფილარმონიაში მეგონა. არადა დღემდე ვთვლიდი? რომ სიტყვა ითქმება და იგი სიტყვა „ჟღერდება" მუსიკალურ ნაწარმოებში სიმღერის სახით, მაგრამ.....

მარტო ინგა გრიგოლია რომ იყოს ასეთი „ნოვატორი" რა გვიჭირდა, ლამის მთელი ჟურნალისტთა კორპუსი თავიანთი უვიც „პოლიტიკოს" რესპონდენტებთან ერთად „აჟღერებენ" და „აჟღერებენ" სათქმელ ქართულ სიტყვას და ამას ისეთი მონდომებით აკეთებენ, რომ მათში ეჭვის შეტანა...

გვეყო სარკაზმი და დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ ქართული ჟურნალისტიკის მსახურნო: სიტყვა- ითქმება და იგი ჟღერადობას იძენს მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალურ კონტექსტში! და კიდევ მოეშვით ქართული ენის დამახინჯებას და დანაგვიანებას ათასგვარი ბარბარიზმებითა თუ სხვა „იზმებით", ჩაიხედეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და აღარ ჩაიგდებთ თავს უხერხულ მდგომარეობაში-დერეფანში (და არა „კორიდორში") გავლისას!

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოში მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდა

საკონსტიტუციო სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. გივი შანიძის საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას ითხოვდა, დააკმაყოფილა.

"2017 წლის 30 ნოემბერს 15:00 საათზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამოცხადდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (კონსტიტუციური სარჩელი №732)

დღეს, 30 ნოემბერს 15:00 საათზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამოცხადდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (კონსტიტუციური სარჩელი №732).

მოსარჩელე ითხოვდა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

საქმე განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ.

დავის საგანი: საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება" იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის",- ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში.

წყარო: http://www.ipress.ge/new

„ჯამბაზი" მავთულზე... კომუნისტური „დროშით"

კორესპონდენტ ქეთევან მელიქიძის ინტერვიუ ჯანსუღ ჩარკვიანთან, რომელიც გაზეთ „შანსის" მიმდინარე წლის 7 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, სიცრუესა და სიყალბეზეა აგებული და წარმოადგენს ფარისეველთა დიალოგს.

ნათქვამია: ქურდს ყური უგდე და თვითონ წამოცდება ქურდი ვარო.

ბედნიერი შემთხვევა: ჯანსუღ ჩარკვიანსაც წამოსცდა, ერთხელ თავის სიცოცხლეში, ორად-ორი მართალი სტრიქონი, რომელიც არავისგან არ გადაუწერია:

„მავთულზე ვდგავარ როგორც ჯამბაზი და მეშინია ძირს ჩამოვარდნის".

ცირკის ჯამბაზი დიდებისა და პატარების სიხარულია, იგი ერთნაირად ართობს ყველას. ჯანსულ ჩარკვიანი კი, ნურას უკაცრავად, ოდითგან „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ართობდა მხოლოდ. მათთვის ჯამბაზობდა, მათ გამო იდგა მავთულზე და არც არასოდეს ეშინოდა ძეხორციელისა, რადგან მის ქვემოთ იდგა მთელი პარტიული ელიტა, რომელიც მავთულზე მდგარი ჯამბაზისათვის ქვეშ ზამბარებიან ლეიბებს ფენდა, რათა შემთხვევით, ძირს ჩამოვარდნილ ჯამბაზს არაფერი დაშავებოდა.

ყოფილა შემთხვევა, როცა მისი ჯამბაზობით გაბეზრებულებს, ჯანსუღ ჩარკვიანის ჩამოგდება მოუთხოვიათ გარკვეული სიმაღლიდან, რადგან სულ ერთ ადგილზე, ერთნაირი ჯამბაზობა მოსწყენია ხალხს. ჯ. ჩარკვიანი ჩამომხტარა მავთულიდან, ჯამბაზის ჯოხიც გადაუგდია, ვითომ აღარც ეგ ჯოხი მჭირდება, არც ეგ მავთული და არც ეგ ადგილიო, მაგრამ დაცემულა თუ არა პარტიული ელიტის მიერ მისთვის საგანგებოდ დაგებულ სასწაულმოქმედ ლეიბზე, მას ისევ ზევით, უფრო ზევით აუტყორცნია უშიშრად, რადგან იქ უკვე წინასწარ იყო გამზადებული ახალი მავთული და ახალი ჯოხი, რათა უფრო კარგად ეჯამბაზა, უფრო დიდ სიმაღლეზე.

ჯამბაზობდა და ჯამბაზობდა ჯანსუღ ჩარკვიანი. მიამიტებს და საქმეში ჩაუხედავებს ეგონათ, საწყალი გადარეულა და ვერა ხვდება თავს როგორ იმცირებსო, მაგრამ რა იცოდნენ, რომ „ჯამბაზის" ყოველ ილეთს მანქანა, ბინა, საზღვარგარეთის საგზურები, საუკეთესოდ მოწყობილი კაბინეტები, რბილი სავარძლები და სხვა უამრავი სიკეთე მოსდევდა.

ყოველგვარი მიწიერი სიკეთით სავსე ჯანსუღ ჩარკვიანი, თუმცა თავის საქმეებს გვარიანად აგვარებდა, მაინც მუდამ გაღიზიანებული იყო და „ზევით მდგომთ" თუ ართობდა, სიცოცხლეს უმწარებდა უკლებლივ ყველა თაობის ნიჭიერსა და ტალანტს, რომლებიც რატომღაც „ქვევით მდგომებად" ჰყავდა წარმოდგენილი.

ჯანსუღ ჩარკვიანი ყოველთვის გამწარებული იყო მათ მიმართ, თითქოს ისინი იყვნენ დამნაშავენი, რომ ღმერთმა მათ ნიჭი მისცა, ხოლო, რა დასამალია და, იგი ამ მიმართულებით, ღმერთმა გვარიანად გაანაწყენა.

თუმცა, არ ვიქნებით ობიექტური, თუ ვიტყვით, რომ ღმერთმა მთლად ხელი ჰკრა და არავითარი ნიჭი არ გაიმეტა მისთვის.

მლიქვნელობის ნიჭი! – აი, რითაც, ზომაზე მეტი სიუხვით დააჯილდოვა მამაზეციერმა. ეს არის ჯანსუღ ჩარკვიანის უცვეთი იარაღი, რასაც იგი თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვების დევნისათვის იყენებდა.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ყოველივე იმით, რასაც ახლა ვწერთ, ახალს არაფერს ვეუბნებით მკითხველს.

მერე რა მოხდა?!

არც ჯანსუღ ჩარკვიანს უთქვამს და დაუწერია ახალი რამე თავის სიცოცხლეში, მაგრამ გაუთავებლად ლაპარაკობს, გრამაფონისთვის დამახასიათებელი სიუხვით წერს და სულაც არ დაგიდევს ვინმე უსმენს თუ არა მის ნათქვამს, ვინმე კითხულობს თუ არა მის ნაწერს, თუ კითხულობს, რა შეფასებას აძლევს მას.

სხვისი აზრი არ აინტერესებს. იცის და იმიტომ არ აინტერესებს. სამაგიეროდ, მან თავი მოუყარა ხალხს, რომელთაც უბინაობა, უმანქანობა, უმუშევრობა, უფულობა და ათასგვარი მოუგვარებელი პრობლემა აწუხებდათ, დაურიგა მათ ბინები, მანქანები, გამოუცა წიგნები, მისცა სამსახური, აშოვნინა ფული და გაიხადა პირად კრიტიკოსებად, დაქირავებულ მეხოტბეებად.

თქვენ იტყვით – კი მაგრამ, ერთ კაცს ვინ მისცა ამდენი მანქანა, ამდენი ბინა, სამსახური... როგორ ურიგებდა იგი, ყოველივე ამას, მისთვის სასურველ ადამიანებსო.

ეს ყველაფერი საქართველოსი იყო, იმ საქართველოსი, რომელიც თავიანთი ამბიციების შესასრულებლად, ჯანსუღ ჩარკვიანმა და მისთანებმა გამოხრეს, გააკოტრეს, გააღატაკეს, დაავსეს კომუნისტური პარტიის მეშვოებით და მერე პარტიული ბილეთები გადაყარეს და სრულიად სხვაგვარი თამაში დაიწყეს.

ახლა „ზევით" ისინი აღარ არიან, ვინც მწერლობაში გამწესებულ პარტიულ ფუნქციონერს ჯ. ჩარკვიანს, ყველა სურვილს უსრულებდა.

ზოგიერთ რედაქციაში, აღარც იმგვარი რედაქტორები არიან, რომლებიც ჯანსუღ ჩარკვიანის სახოტბო წერილებით ავსებდნენ გაზეთს და ბინძურად ესხმოდნენ თავს მათ, რომლებსაც უჭირდათ ჯანსუღ ჩარკვიანის გრაფომანული ნაცოდვილარისათვის პოეზია ეწოდებიანთ.

ამ ბოლო დროს, თითქმის მიწყდა ყალბი ყაყანი ჯანსუღ ჩარკვიანის ირგვლივ, თითქოს სადღაც მართალმა სიტყვამაც გაჟონა, მაგრამ მის მიერ მაშინ დაქირავებული, ხელზე მიჩვეული მეხოტბენი კვლავ მის სამსახურში არიან, ადვილად ვერ შელევიან ლიტერატურულ საქმოსანს.

იქნებ არც ტყუიან. მათ იციან, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი ის „კატაა", რომელიც თერთმეტსართულიანი სახლის სახურავიდანაც რომ გადმოაგდო, ზურგით მაინც არ დაეცემა, გმირთა მოედანზე „გმირულად" დადგება ფეხზე.

მას ისიც ეყოფა, რომ პოეზიაში მისდღემში ზურგზე დაცემულია და თვით მისმა „მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ", რომელმაც ყველაფერი მისცა, ნიჭის მიცემა ვერასგზით ვერ შესძლო:

„თქვენ ვერ მოიგებთ იმის გულს, რადგან არ შეგიძლიათ მიცემა ნიჭის".

ამ ჭეშმარიტებას იმათ შევახსენებთ, ვინც კვლავ ცდილობს ჯანსუღ ჩარკვიანის გულის მოგებას.

ჰაი, ჰაი რომ ეს ისეთივე ძნელი და მიუღწეველი რამ გახლავთ, როგორც ჯანსუღ ჩარკვიანისათვის ჭეშმარიტი და ნაღდი ლექსი.

მცდელობა კი არის.

ერთ–ერთ ამგვარ მცდელობად მიგვაჩნია მიმდინარე წლის 7 აგვისტოს გაზეთ „შანსში" გამოქვეყნებული ინტერვიუ ჯანსუღ ჩარკვიანთან, რომელსაც უძღვება კორესპონდენტი ქეთევან მელიქიძე, მას ინტერვიუსათვის შეურჩევია მეტად მორგებული სათაური: „აიწონა–დაიწონა".

ვინც იმ სათაურს ნახავს, შეიძლება იფიქროს – ჯამბაზი მავთულიდან ჩამოსულა, ან უვნებლად ჩამოვარდნილა და გასართობად ბავშვური თამაში „აიწონა–დაიწონა" დაუწყიაო, მაგრამ წაიკითხავთ და დარწმუნდებით, – ჯამბაზი ისევ მავთულზეა, ისევ ჯამბაზობს. ზოგიერთებს ეგონათ, ჩამოვარდაო, მაგრამ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, მას ისევ კომუნისტური „დროშა" უპყრია ხელში, თუმცა ისევ „ეშინია ძირს ჩამოვარდნის", მაგრამ ჯერ არ ჩამოვარდნილა.

შანსიანები ხელს აშველებენ.

ხელის შეშველების მცდელობაა ხსენებული ინტერვიუც, რომელიც არასწორ ფაქტებს შეიცავს, და, აქედან გამომდინარე, დასკვნებიც მცდარია, ნაძალადევობა და სიყალბე გასდევს ინტერვიუს, პირველიდან ბოლო სტრიქონამდე.

იქნებ ამაში ვერც დავადანაშაულოთ ქალბატონი ქეთევანი, როდესაც საქმე გაქვს სიყალბესთან, ძალიან დიდი ოსტატიც რომ იყო, ვერ იქნები გულწრფელი.

ინტერვიუ იწყება ტყუილით:

„ახლახან პრესიდან შევიტყვეთ, ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი გამომცემლობის დირექტორის თანამდებობიდან გაუშვესო".

პრესას ჩვენც ვადევნებთ თვალ–ყურს, მათ შორის „შანსის" ხელმომწერები და მკითხველებიც გახლავართ და არსად, არც თვით „შანსში" არ წაგვიკითხავს მსგავსი რამ. სხვათაშორის, არც ნიკოლოზ ჯაშის გამომცემლობა „ხელოვნება" დირექტორის თანამდებობის გაშვების შესახებ წაგვიკითხავს პრესაში რაიმე.

დიახ, გულდასმით გადავათვალიერეთ ქართული და რუსული გაზეთები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში გამოდის და არსად მსგავსი რამ არ შეგვხვედრია.

იმპერიის პრესა და „ვაშინგტონ პოსტი" კი, ვფიქრობთ, „ჯანსუღ ჩარკვიანის დირექტორობის თანამდებობიდან" გაშვებით არ დაინტერესდებოდნენ.

რას ვიზამთ, ტყუილი, სიყალბე, ფარისევლობა, ოდითგანვე თან სდევს არა მხოლოდ იმას, რასაც სწერს ჯანსუღ ჩარკვიანი, არამედ იმასაც, რასაც სწერენ მასზე, რამაც გამოიწვია ის, რომ არც ჯანსუღ ჩარკვიანის სწამდა და სჯეროდა მკითხველს და არც მის მიერ დაქირავებული მეხოტბეებისა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, არ ვიქნებით სწორი თუ ვიტყვით, რომ საერთოდ არავინ უსმენდა ჯ. ჩარკვიანს და მის მეხოტბეებს.

რა დასამალია და „ზევით" უსმენდნენ. აწყობდათ და უსმენდნენ. „ქვევით" თუ არ მოსწონდათ და არ თვლიდნენ პოეტად, ეს გულში კი სწყინდა ჯანსუღ ჩარკვიანს, მაგრამ არ იმჩნევდა. თუ ჭეშმარიტი პოეტი საკუთარ მაგიდასთან, საკუთარ თავს ებრძვის, ქართულ სიტყვასთან იბრძვის და მისი „ბრძოლის ველი" სუფთა ქაღალდია მხოლოდ. ჯანსუღ ჩარკვიანი მუდამ „ზევით" იბრძოდა, მუდამ „ზევით" იყო მისი „ბრძოლის ველი", რადგან ისევე, როგორც „ვოლგებს", პოეტურ რეგალიებსაც პარტია და მისი „მებრძოლი შტაბი" – ცენტრალური კომიტეტი არიგებდა.

ზევიდან ეძლეოდათ მითითებები რედაქტორებსაც, ვისზე რა და როგორ უნდა ეწერათ.

როცა ვლაპარაკობთ პარტიის „ნებიერზე", ჯანსუღ ჩარკვიანზე და იმასაც დავძენთ, რომ „ქვევით" მას მაინცდამაინც დალხინებული სიცოცხლე არ ჰქონდა, რადგან არსებობდნენ ჭეშმარიტი და უშიშარი მწერლები, რომლებიც ყოველთვის პირში ახლიდნენ მწარე სიმართლეს, ამით სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ იგი „ქვევით" მთლად დედიდშობილა და ღმერთის ანაბარა იყო დარჩენილი თავისი მოწინააღმდეგეების პირისპირ.

როგორც უკვე ვთქვით, მან შექმნა დაქირავებულ „კრიტიკოსთა" მთელი არმია.

თავისი „მშობლიური კომუნისტური პარტიის" მიერ, ჯერ „პოეტად", ხოლო შემდეგ სხვადასხვა ხელმძღვანელ, განსაკუთრებით კი მწერალთა კავშირის მდივნის პოსტზე დანიშვნისას, ჯანსუღ ჩარკვიანი, თავისი მოხერხებულობის წყალობით, საქმეს ისე აწყობდა, რომ ბინების, მანქანების თუ სხვა სიკეთის განაწილება, მწერალთა კავშირის წევრად მიღება და წიგნის გამოცემა მას ეხებოდა. კარგი ბიჭი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და ან ის საკითხი არ გადაეწყვიტა ისე, როგორც ჯანსუღ ჩარკვიანს სურდა, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანს არ ეხებოდა.

თქვენს მტერს არ ვუსურვებ, მათ რომ დღე დაადგებოდა, გადაეკიდებოდა და...

„რომელი სუკის გადაკიდება არ ჯობია ჯანსუღ ჩარკვიანის გადაკიდებასო", აღმოხდა ამას წინათ, პრესის ფურცლებზე, სულ ცოტა ხნის წინ მის მეხოტბესა და თანამზრახველს.

ამ სიტყვებში იყო სიმართლე, მაგრამ იმავე კაცის ადრინდელ ნაწერებში ისეთივე არარსებული ჩარკვიანის პორტრეტის დახატვის ცდას შენიშნავდით, როგორსაც ინტერვიუში, რომლის შესახებ ახლა გვაქვს საუბარი.

ეს ინტერვიუ კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმდენ ტყუილს შეიცავს, რამდენი წინადადებაც არის მასში:

„ვიღაცამ თქვა, კი არ გაუშვეს, ჟურნალ „დროშის" რედაქტორად გადაიყვანესო. ჭეშმარიტების დასადგენად თავად ბატონ ჯანსუღს ვეწვიეთ".

ეს ხომ ფარსი და ფამილარობაა. ხერხია იმისათვის გამოგონილი, რომ კორესპონდენტმა ჯანსუღ ჩარკვიანთან ინტერვიუს ასაღებად მისვლა გაამართლოს. თორემ, როგორ დავიჯერო, რომ არც „შანსის" კორესპონდენტი და არც მისი შანსიანი რედაქტორი „შანსის" გარდა, არც ერთ გაზეთს არ კითხულობენ.

ვიღაც–ვიღაცეების თქმა რაში სჭირდებოდა, ან განა მათი „ბატონი ჯანსუღის" შეწუხება ღირდა იმ „ჭეშმარიტების დასადგენად", გადაიყვანეს თუ არა იგი „დროშის" რედაქტორად?

აი, „ახალგაზრდა ივერიელის" მიმდინარე წლის 11 ივლისის ნომერი, რომელშიც თვალ-შისაცემ ადგილზე,

„ჯამბაზი" მავთულზე... კომუნისტური „დროშით"

პირველ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ აკაკი ასათიანი ბრძანებულება ჯანსუღ ჩარკვიანის ჟურნალ „დროშის" რედაქტორად დანიშვნის შესახებ.

განა „ვიღაც–ვიღაცეების" ნათქვამთან ერთად, ეს დოკუმენტიც საეჭვოდ მოეჩვენათ „შანსის" თანამშრომლებს? მე კი უფრო სხვა რამემ დამაეჭვა:

ნუთუ კვლავ უნდა გაგრძელდეს ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე ჯანსუღ ჩარკვიანის პიროვნების უსაფუძვლო განდიდების ცდა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ წამოიწყო?

ხომ დაინიშნენ, ამ ბოლო დროს, სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთების რედაქტორებად: ნარგიზა მგელაძე, იორამ ქემერტელიძე, ნანა ჩიგოგიძე, ია მუხრანელი, რატომ არ დაბეჭდა იგივე „ახალგაზრდა ივერიელმა" უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ აკაკი ასათიანის ბრძანებულებები.

„ახალგაზრდა ივერიელისგან" ახალგაზრდული ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარის" მთავარი რედაქტორის იორამ ქემერტელიძის დანიშვნის ამბავის გამოქვეყნება, უფრო უპრიანი არ იქნებოდა?!

რა საკვირველია, ყველა მათგანზე დაიწერებოდა ბრძანება ან უმაღლესი საბჭოს, ან მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ხელმოწერით.

რაღა მაინცდამაინც ჯანსუღ ჩარკვიანის „დროშის" რედაქტორად დანიშვნის ბრძანება გამოაქვეყნა ახალგაზრდულმა გაზეთმა მაშინ, როცა ამ ბრძანებას, ჯერ კიდევ, მელანი არ შეშრობოდა?

ნუთუ იგი ფიქრობდა, რომ ამით უშველიდა ინფორმაციის დეფიციტს?

არა, ეს არ უფიქრიათ შანსიანებს. მათ სურდათ ამით ჯანსუღ ჩარკვიანისათვის ეშველათ.

ეს იმის ბრალია, რომ როგორც „შანსის", ისე „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორები შანსიანი ბიჭები არიან და შანსი არ გაუშვას ხელიდან შანსიანი ჯანსუღ ჩარკვიანის საამებლად.

ბატონო ჯანსუღ – გაგანთავისუფლეს (უნდა იყოს „გაგათავისუფლეს„) „სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკაშვირებით? – ეკითხება კორესპონდენტი.

ვიდრე ჯანსუღ ჩარკვიანის ტყუილს და დემაგოგიას მოისმენდეს მკითხველი, ჩვენ გვსურს ვუთხრათ მას, რომ წაიკითხოს გაზეთ „ქომაგში" დაბეჭდილი გ. პეტრიაშვილის ინტერვიუ. გამომცემლობის ახალი დირექტორი ამბობს: საგამომცემლო გეგმებში სრული დომხალიაო.

გამომცემლობაში თუ საგამომრიგში, გეგმები არ არის წესრიგში, ე. ი. დირექტორი არ ვარგებულა.

მიზეზიც აი, ეს არის და სხვაგან ნუ ვეძებთ, სხვა რამეს ნუ ვიმიზეზებთ.

გარდა ამისა, თქვე მამაცხონებულებო, რა განგაში ატეხეთ.

რატომ იმაზე არაფერს ლაპარაკობთ, რომ ჯანსუღ ჩარკვიანის დონის პოეტისათვის ისიც ძალზე ზედმეტია, რაც მიართვეს, რომ იმ პოეტებს, ვისგანაც ჯანსუღ ჩარკვიანი იწერს, ეგ ადგილიც სანატრელად აქვთ გამხდარი.

განა რბილ–რბილ სავარძლიანი ადგილები მამამისმა დაუტოვა, ან ცოლს მოჰყვა მზითევში?

თუმცა, მზითევზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, ჯანსუღ ჩარკვიანს მზითევი თვითონ უნდა წაეღო, რადგან მას ცოლი კი არ მოუყვანია, თვითონ მივიდა ცოლთან ქალაქის ცენტრში მდიდრულად გაწყობილ უზარმაზარ ბინაში.

აქედან დაიწყო ჯანსუღ ჩარკვიანის „ბრძოლა" კომუნისტების „წინააღმდეგ".

მან ჯერ შეავიწროვა, ხოლო შემდეგ საკუთარ სახლში არ შეუშვა თავისი კომუნისტი სიმამრი.

ამან ბრწყინვალე ბინა შესძინა ჯანსუღ ჩარკვიანს, მაგრამ თავისებური უარყოფითი შედეგიც მოჰყვა ამ „მონაპოვარს".

მზამზარეულ ცხოვრებას შეჩვეულმა შემდეგ პოეტებს დაუწყო ლექსების წართმევა და თან ცდილობდა მწერალთა კავშირში არ შეეშვა ისინი. უნდა ითქვას, რომ პოეტებს მისი სიმამრივით არ დაუთმიათ ყველაფერი და ცოტ–ცოტა უსიამოვნებები შეახვედრეს, რის შემდეგ ჯანსუღ ჩარკვიანი ვეღარ იყო ხოლმე კარგ განწყობილებაზე.

ეტყობა, მაინცდამაინც არც მაშინ იყო ჯანსუღ ჩარკვიანი კარგ გუნებაზე, როდესაც „შანსის" კორესპოდენტი ეწვია მას, მაგრამ პრესის წარმომადგენლისათვის ის კი არ უთქვამს – „საკუთარ" ლექსებს ვერ ვამუშავებ და ამხელა გამომცემლობის კოლექტივს როგორ უნდა ემუშავა ჩემი ხელმძღვანელობით, წამომსვლელი ვიყავ და სამართლიანადაც გამომისტუმრესო, თავისი ნაცადი ხერხებისათვის – დემაგოგიისათვის მიუმართავს და ისეთი ტყუილი მოუხსენებია, დაბეზღების ტოლფასი რომ არის და ამის იმასთან წაკიდებას ისახავს მიზნად.

„დეპარტამენტში დამიძახეს და მითხრეს", – ცრუობს ჯანსუღ ჩარკვიანი, – ნუ მკითხავ საიდან და ვისგან მოდის, მითხრეს – ჯანსუღ ჩარკვიანი გამომცემლობიდან უნდა წავიდესო".

ვირეშმაკობს და ვითომ არ შიფრავს ჯანსუღ ჩარკვიანი თავის სათქმელს, მაგრამ ვინ ვერ მიხვდება თეთრი ძაფით შეკერილ შავ უნიჭო ეშმაკობას.

კი არ დაუძახეს, გამოიძახა, კი არ უთხრეს, უთხრა. ხოლო თუ „დაუძახეს" და „უთხრეს", „ნუ მკითხავო" კი არა ნუ გვკითხავო" ეტყოდნენ, მაგრამ მსგავსი რამ არავისაც არ უთქვამს.

რადგან ჯანსუღ ჩარკვიანის იაფფასიან და უნიჭო მინიშნებებში ვინ იგულისხმება ხოლმე. ყოველთვის კარგად ვხვდებით, არც ამჯერად უღალატია ჩვენთვის გუმანს.

აი დეპარტამენტში ვართ, მისი დირექტორის ბატონ რევაზ ღონტის კაბინეტში.

ჯანსუღ ჩარკვიანი პირადად მე გამოვიძახე. ვერ მუშაობდა, გამომცემლობისათვის თითქმის არც ეცალა – გვიხსნის ბატონი რეზო და განაგრძობს, – გადმოსვლის დღიდან გული ვერ დაუდო საქმეს. მე ველაპარაკე ჯანსუღ ჩარკვიანს მხოლოდ ჩემი სახელით, რისი მორალური და იურიდიული უფლება სავსებით მქონდა.

აი ნახეთ, – გვითხრა ბატონმა რევაზმა და წინ დაგვიდო გაზეთ „ქომაგის" მიმდინარე წლის 8 ივლისის ნომერი, სადაც დაბეჭდილია ინტერვიუ გამომცემლობა „საქართველოს" ახალანდელ დირექტორ გურამ პეტრიაშვილთან. აი, რას სწერს იგი: „რა დასამალია და, ამჟამად ჩვენთან საგამომცემლო საქმიანობაში დიდი დომხალია".

შემდეგ წუხს იმაზეც, რომ მაკულატურა გამოდის.

საგამომცემლო საქმიანობაში დომხალია. გეგმის ხელახალი შედგენა მოუხდა გამომცემლობას, იმდენი უსარგებლო წიგნი იყო შეტანილი და იმდენი საჭირო – გამოტოვებული.

გამოდის მაკულატურა.

არ არის მოწესრიგებული ბინის, ავაჯის თუ სხვა ფასეულობათა განაწილების საქმე.

ქართულ გამომცემლობაში მუშაობს ადამიანი, რომელმაც ქართული არ იცის და ამას მშვიდად უყურებდა გამომცემლობის დირექტორი.

ნუთუ ეს არ არის საკმარისი დირექტორის მოსახსნელად?! ამდენი ობიექტური მიზეზის შედეგად შეიძლება დირექტორიც მოხსნა და სხვაც ზედ მიაყოლო.

ამის შემდეგ „შანსს" განა აქვს მორალური უფლება მკითხველს ჩასჩიჩინებდეს: მოხსნის „მიზეზი კი, როგორც გაირკვა არ არსებობდა-„ო?

სად გაირკვა? ვინ გაარკვია? როგორ გაარკვია?!

ყველაფერი რომ გამოესწორებინა ჯანსუღ ჩარკვიანს, მაკულატურის გამოცემას ხომ მაინც ვერ შეაჩერებდა! ხომ არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ „ყველა წიგნი, რომელსაც გარეკანზე აწერია ჯანსუღ ჩარკვიანი, არის მაკულატურა. თუ აქა–იქ ძარღვიანი თქმები, დასამახსოვრებელი სახეები და მეტაფორები შეგხვდათ, უნდა იცოდეთ, რომ სხვისია, მოპარულია, ჯანსუღ ჩარკვიანის „ლექსებშიაც" უცხო სხეულივით რომ ჩანს და აშკარად ყვირის: – მე ამ კაცის გრძნობისა და განცდის ნაყოფი არა ვარ, სხვის გულში ვარ ნაშობი; სხვა არის ჩემი პირველმთქმელიო.

ინტერვიუში არის ასეთი მინორული სტრიქონები: „უცებ, როგორც უკვე წასულ კაცს ისე დამიწყო – ლაპარაკი, კი, მაგრამ ამხელა ოჯახს რას უზამ. უმუშევარი როგორ გაძლებო, შეწუხდა, მაგრამ სამაგიერო ვერაფერი შემომთავაზა, არ ჰქონდა ალბათ ამისი უფლება და მისთვის".

არ შეიძლება არ აღგაშფოთოს ამ მზაკვრული დემაგოგიის ზღვარგადასულმა ცბიერებამ, რაც იმას ისახავს მიზნად, რომ თუ დიდი გამომცემლობის დირექტორი არ იქნება, „ვოლგა", მთავრობის ტელეფონი, მანქანა და რბილი სავარძელი გარანტირებული ჰქონდეს.

ისახავს მიზნად და... აღწევს კიდეც, ხან მლიქვნელობით და ლაქიაობით, ვისთანაც ეს არ გაუვა, არც დემაგოგიასა და შანტაჟშია ახალბედა და გამოუცდელი.

ერთადერთი, რასაც ჯანსუღ ჩარკვიანმა ვერ მიაღწია, თავისი სიცოცხლე ორჯერ რომ გაიმეოროს, ეს არის, თუნდაც ერთი კარგი ლექსის დაწერა, რომელშიც სხვისგან მოპარული მეტაფორებისა და თქმების გარდა, საკუთარი კარგი სტრიქონებიც გამოერევა.

ნუთუ ამ „სასწაულების ეპოქაში" არ არის მოსალოდნელი ამნაირი სასწაული?

ჯ. ჩარკვიანი ძალიან დიდ ადგილს უთმობს ინტერვიუში, „შეწუხებული" დეპარტამენტის დირექტორის რევაზ ღლონტის განცდებს:

არ ვიცით მართლა „შეწუხდა" თუ არა ბატონი რევაზ ღლონტი, მაგრამ ჩვენ ნამდვილად შევწუხდით, ერთ წინადადებაში, ამდენი „შეწუხდა",„შეწუხდათი", რაც თავისთავად, იმაზეც მეტყველებს ჰქონდათ თუ არა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს მორალური უფლება გამომცემლობის დირექტორობიდან „გაეშვათ" ამნაირი „მოქართულე".

ამ „შეწუხდა", „შეწუხდას" აქვს ფარული ქვეტექსტი: – როგორ შეკადრეს, როგორ გაუბედეს ჯანსუღ ჩარკვიანს დირექტორობიდან გადადექიო.

რა სავალდებულოა, რომ პარტიული ფუნქციონერი, მწერლობაში კომკავშირის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვიზით მოსული, სულ თანამდებობებზე, თანაც მწერლისათვის განკუთვნილ თანამდებობაზე იყოს?!

მეორეც: – ამით ჯანსუღ ჩარკვიანი იმას ხომ არ ამტკიცებს, თავისდა საზიანოდ, რომ ის მწერალი არ არის?! უფრო სწორად, რომ ის მწერალი მხოლოდ მანამდეა, სანამ თანამდებობაზეა, სანამ ჭეშმარიტი მწერლების ბედი მისი გადასაწყვეტია, სანამ თავისი თანამდებობით შეუძლია კარის კრიტიკოსთა მოსყიდვა.

თუ ეს ასე არ არის, მის დღემში არ უმუშავიათ კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს... ჯანსუღ ჩარკვიანზე ნაკლები მწერლები იყვნენ?!

ღმერთო, შემინდე ეს ცოდვა, ერისათვის დაფერფლილი ამ ლიტერატურული წმინდანების გვერდით რომ ვახსენებ მწერლობაში გამწესებული იმ კომუნისტი ფუნქციონერის სახელს, რომლის ძირითად საქმიანობას შეადგენს სხვისი ნაზრევ–ნაფიქრალის მოპარვა და შემდეგ იმ ადამიანის სასტიკი დევნა, რომლისაგანაც იპარავს, მაგრამ ეს შედარებისათვის დამჭირდა და კიდევ იმისათვის, რომ მკითხველისათვის მეთქვა:

არა ბატონებო, ეს სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ჭეშმარიტი მწერლები იყვნენ და ჭეშმარიტი მწერალი კი მხოლოდ მაშინ არის ლაღი, თავისუფალი და, თუ გნებავთ, ჭეშმარიტი მწერალი, ამ სიტყვის სრული მნიშვენლობით, როცა ის არ არის „თანამდებობრივი ბორკილებით" შებორკილი. რაც შეეხება ჯანსუღ ჩარკვიანს, ის მანამდეა პოეტი, ვიდრე თანამდებობა გააჩნია. თანამდებობის გარეშე კი, კარგად გრძნობს თვით ჯანსუღ ჩარკვიანიც და მკითხველიც, რომ ის მხოლოდ ლიტერატურული ჭორია და მეტი არაფერი. მოუგონეს, დააბრალეს და მიატმასნეს ჯანსუღ ჩარკვიანს საზოგადო არსებითი სახელი „პოეტი".

აი, რატომ იკლავს ჯანსუღ ჩარკვიანი თავს, რაში მდგომარეობს არსი იმ ინტრიგების ძაფისა, რომელსაც ხლართავს იგი ხელისუფლების ჩიხში მოსაქცევად, თავის მიერ ადრე დაარსებული მაფიის მეშვეობით. სურს აიძულოს ის, ვინც ჯერ არს, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუნარჩუნოს მას სარფიანი ადგილი, რათა მის გვარსა და სახელს, სიცოცხლეში მაინც თან ახლავს სიტყვა „პოეტი", თორემ ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ მიეცემა დავიწყებას, როგორც ხსენება მისი წინაპრისა და სულიერი მამის შაჰრუხ ჩარკვიანისა, რომელიც ჯანსუღ ჩარკვიანის მსგავსად, სიცოცხლეში, პოეტად ისხენიებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ მას რომ პოეტად არვინ მოიხსენიებს და კაცს თავზე თოფით რომ დაადგე, მის ლექსებს ვერ წააკითხებს, ჯანსუღ ჩარკვიანმა ეს ძალიან კარგად იცის.

ჯანსუღ ჩარკვიანმა ისიც მშვენივრად უწყის, რომ ვისაც პოეზიის ანბანი ესმის, მისი „პოეტობა" დღესაც სასაცილოდ ეჩვენება.

გვიან ღამით, როცა „პოეტი" მარტო რჩება საკუთარ თავთან ჩუმად, ისე რომ არავინ გაიგოს, რამეთუ იცის, მის მიერ ხოტბაშესხმულ საბჭოთა ქვეყანაში კედლებსაც კი ყური აქვთ, დგება სარკის წინ და ასე მიმართავს ხოლმე იმ გამოსახულებას. რომელიც მას სარკიდან უმზერს:

„პოეტო ჯანსუღ ჩარკვიანო, წყეულიმც იყოს უკუნისიდან უკუნისამდე, ვინც შენ პოეტობა დაგაბრალა, ხალხის ყბაში ჩაგაგდო და ქვეყნის ტაკიმასხარად გაქცია".

აკი გითხარით – მთელი საიდუმ-

ლოება იმაშია, რომ თუ არ იქნება: ჯანსუღ ჩარკვიანი – რედაქტორი, ჯანსუღ ჩარკვიანი – დირექტორი, ჯანსუღ ჩარკვიანი – მწერალთა კავშირის მდივანი, აღარ იარსებებს: ჯანსუღ ჩარკვიანი – პოეტი.

როცა ჯანსუღ ჩარკვიანი გვამცნობს, რომ ძალიან შეწუხდა ბატონ რევაზ ღლონტი და უთხრა – ამხელა ოჯახს რას უზამს, უმუშევარი როგორ გაძლებო, იქნებ ღირდა, გაეხსენებინა თვითონ როგორ ზრუნავდა იმ „უმუშევარ“ მწერლებზე (ეს ტერმინი ჯ. ჩარკვიანისაა და იმიტომ ვსვამთ ბრჭყალებში), მცირეწლოვანი შვილები რომ ჰყავდათ გასაზრდელი და ის, მთელი თავისი მაფიით მზაკვრულად ჩასაფრებული, ხელს უშლიდა: წიგნის გამოცემაში, მწერალთა კავშირში მიღებაში, სამსახურში მოწყობაში და თვით ლექსის დაბეჭდვაშიც კი.

მწერალი, თუ ის მართლაც მწერალია, არ შეიძლება იყოს უმუშევარი, რადგან თვით ყველაზე გაჭირვებულ ადამიანსაც კი მოეპოვება სახლში მაგიდა და სკამი.

აი, მწერლის სამუშაო.

აი, ჭეშმარიტი მწერლის სამუშაო ადგილი.

მისმა „მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ“ 27 წლის ასაკში რომ ჩააბრძანა შავ „ვოლგაში“ და იმის შემდეგ კაცისშვილს ვერ გადმოუყვანია იქიდან, ისეა მანქანას ჩაფრენილი „საქართველოსათვის გულდამწვარი“ პოეტი, რა სინდისით მტრობდა პოეტს, რომლისაგანაც სამკვდრო–სასიცოცხლოდ იყო დავალებული, რადგან ის, როგორც „პოეტი“, მისით არსებობდა, მის სტრიქონებს და ლექსებს ითვისებდა. გარდა ამისა, საქართველოს მასზე უფრო ჯანსაღ თაობას უზრდიდა?

ყოველივე ეს მხოლოდ ინტერვიუს თეორიულ, თუნდ მორალურ მხარეს ეხება.

ახლა მე მინდა ვკითხო „შანსის“ რედაქციას: – რატომ ატყუებთ მკითხველს? იცის თუ არა მან, რომ არა თუ „ამხელა ოჯახი“, არამედ ჯანსუღ ჩარკვიანს, ცასა და დედამინას შორის, არავინ არ ჰყავს შესანახი და საპატრონო თვითონ ჯანსუღ ჩარკვიანის მეტი?

ჯანსუღ ჩარკვიანის მეუღლე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია და მუშაობს. ქალიშვილიც უმაღლესდამთავრებულია და იმ დროს დაამთავრა მისმა ქალიშვილმა უმაღლესი, მამამისს მისთვის სამსახურის შოვნა რომ არ გაუჭირდებოდა, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ.

მაშ, ვინღა დარჩა შესანახი? ვაჟიშვილი?!

კი მაგრამ ვაჟიშვილს რაღა უნდა სჭირდეს შესანახი?

უნივერსიტეტი დაამთავრა თუ არა, იმ წუთში კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მიაბრძანა მამისმა, იქიდან კომკავშირის მთაწმინდის რაიკომის მეორე მდივნად გადმოიყვანა, ახლა ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის მოადგილეა და რამეს აკეთებს იქ, ან რაიმეს გაკეთება შეუძლია თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

იქნებ ბინა უჭირს?

ვინც ჯანსუღ ჩარკვიანის ბინაშია ნამყოფი იცის, რომ ისეთი ბინა აქვს, ცხენი გაჭენდება, იქ სამი ოჯახი თავისუფლად იცხოვრებს, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანს ისღა აკლდა, რომ საკუთარი შვილისათვის ბინა ვერ მიეღო.

მან მწერალთა კავშირიდან ჯერ სამოთახიანი ბინა მიიღო ვაჟიშვილისათვის ქალაქის ცენტრში, ხოლო შემდეგ ამითაც არ დაკმაყოფილდა და იმ არასტანდარტული პროექტით აშენებულ ბინაში გადაიყვანა, სადაც რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, წამყვანი ჟურნალ–გაზეთების რედაქტორები და რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები ცხოვრობენ.

–რით დაიმსახურა, ყოველივე ეს ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟიშვილმა?

ამ კითხვაზე ჯერ არც არავის გაუცია პასუხი და ვერც ვერავინ გასცემს.

ვერც ამ კითხვის დასმას გაბედავს ყველა მაშინ, როცა იმ არასტანდარტულ ბინაში შესასახლებელთა სია დგებოდა. და მაინც, წაიღო მისმა წუწუნმა გული.

ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილოა, ყოველთვის ვიღაცას რაღაცას ემდურის, ყოველთვის ვიღაცისგან რაღაცას მოითხოვს, ვიღაცას რაღაცას ამადლის.

ახლა მთავრობისა და ხალხის გასაგონად ამბობს: – ამხელა ოჯახი მაწევს კისერზეო, გეგონებათ, ვინც დირექტორი ან რედაქტორი არ არის მას არ ჰყავდეს ცოლ–შვილი შესანახი, ან ყველა მათგანის ცოლ–შვილს ჯანსუღ ჩარკვიანი ინახავდეს.

პარტიამ და საბჭოთა იმპერიამ ქვეყანა დაღუპაო. როცა ამბობენ, მე არა მჯერა.

აი, მაგალითად, ჯანსუღ ჩარკვიანი ააშენა, მარტო ის კი არა შვილებიც დაუსახლა. დაუსახლა და მერე როგორ!...

ჯანსუღ ჩარკვიანი წუხს, „რომ დირექტორის მოხსნა–დანიშვნის საკითხი ბრძანებებით ხდება“ და არჩევის მომხრეა.

მაშინ, როცა მიუხედავად დიდი ცდისა, ნუგზარ ფოფხაძემ ვერ შესძლო თავს მოეხვია ქართველი მწერლებისათვის, თავისი პირადი მეგობრის ჯანსუღ ჩარკვიანის კანდიდატურა და, რაკი კენჭისყრა იყო, თავმჯდომარედ მუხრან მაჭავარიანი აირჩიეს, ხალხში ხმა გავარდა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანს გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორობა სურსო.

იმ დროს გამომცემლობის მუშაკები მოითხოვდნენ დირექტორის არჩევას და კანდიდატებიც ჰყავდათ. ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა ინტელიგენციაც, მაგრამ ჯერ გამომცემლობის ძველი დირექტორი გურამ ფანჯიკიძე ისევ კაბინეტში იჯდა, რომ სასწრაფოდ „გამოცხვა“ ბრძანება ჯ. ჩარკვიანის დირექტორად დანიშვნის შესახებ.

საინტერესოა, რატომ მაშინ არ ისურვა ჩარკვიანმა კრებისა და არჩევნების სცენის გათამაშება?

იმიტომ, რომ ყველაზე დაოსტატებულ რეჟისორსაც კი სპექტაკლის დასადგმელად სჭირდება დრო და სცენარი.

ვინაიდან მაშინ ჯ. ჩარკვიანს არც საამისოდ დრო ჰქონდა და არც სცენარი, ცხადია, ვერც საკადრის სპექტაკლს ვერ დადგამდა მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში დიდი გამოცდილება ჰქონდა და საკმაოდ იყო დაოსტატებული.

„უზნეობა იქნება ჩემი მხრივ, მივიდე ადგილზე, სადაც კაცი მუშაობს“, – უთქვამს ჯანსუღ ჩარკვიანს, როცა მისთვის „დროშის“ რედაქტორის ადგილი შეუთავაზებიათ.

დავიჯეროთ??

დავიჯერებდით, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდი რომ გვახსენდება ჯანსუღ ჩარკვიანის მოღვაწეობიდან, იმას რაღა ვუყოთ?

იოსებ ნონეშვილი გადაჰყავდათ „ლიტერატურული გაზეთის“ (ახლანდელი „ლიტერატურული საქართველოს„) რედაქტორად.

როდესაც ჰკითხეს ნონეშვილს თქვენს ადგილზე ვინ გინდათო, მან ასე უპასუხა:

ჩემი მოადგილეა მაყვალა მრევლიშვილი უფრო უკეთესი საბავშვო პოეტი დღეს ბევრ ხალხს არა ჰყავს. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაყვალა მრევლიშვილს ვინ შეეცილებაო.

გაზეთი „ცისარტყელა“, 1991 წელი, N1-N2 გვ. 13. (რედაქტორი ბერდია ბერიაშვილი)

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქტორისაგან: პოეტისა და პუბლიცისტის ბატონ ბერდია ბერიაშვილის ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ეს პოლემიკა, გაზეთ „ცისარტყელას“ ორ ნომერში დაიბეჭდა გაგრძელებებით, გაზეთის მესამე ნომერმა, სტატიის დასასრულით, ვეღარ იხილა დღის სინათლე, რადგან ბერიაშვილის მოკვლის შემდგომ, მკვლელები სტამბაშიც მიიჭრნენ და გაანადგურეს დაბეჭდილი გაზეთის სრული ტირაჟი და დედნებიც (ლ.ც.).

მთაწმინდაზე უნდა დაივანოს სერგეი მესხის ძვლებმა...

·მთაწმინდის პანთეონის თემა რომ არ მინავლდეს, ამისათვის ასეთი საკითხი მინდა წამოვწიო:

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის სერგეი მესხის შესახებ.

სერგეი მესხი სამოციანელთა ავანგარდში იყო იყო!

სერგეი მესხმა წმინდა ილია მართა მხარიმხარ ზიდა ქართული ჟურნალისტიკის ჭაპანი!

სერგეი მესხის ღვაწლი დღემდის დაუფასებელ-შეუფასებელია! მისი საფლავი თავის მშობლიურ სოფელშია ყურადღებას მოკლებული!

სახლი, სადაც დაიბადა აღარ არსებობს...

მე არ შევუდგები აქ იმის შეხსენებას, თუ ვინ იყო სერგეი მესხი საქართველოსთვის და არა მარტო იგი, არამედ მთელი მისი ოჯახი!

სერგეი მესხის პიროვნების სარკეა დიდი აკაკის ლექსი, რომელიც დღესამომდეა სერგეის საფლავის ქვაზე ამოტვიფრული:

სამაგალითო მოღვაწევ,
ერთგულო შვილო ქართვლისა,
რწმუნება გქონდა მომავლის,
გიყვარდა ძებნა მართლისა.
მაგრამ უდროვოთ გაგვიქრი
ერთი ძმა პირველთაგანი...
საფლავში ჩაგყვა ნატვრის თვლად
ხსნის იმედისა საგანი!
აქ კი დაგვიგდე ანდერძად,
კვალში რომ ჩავყვეთ იმ თქმულსა...
ამინ! მსხვერპლი ვართ იმ აღთქმის,
კიდობნად მივცემთ ჩვენს გულსა!

ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანაზედ ისეთი ოჯახი, რომელმაც სამშობლოს 13 დამაშვრალი მამულიშვილი აჩუქა:

გიორგი — (1841)
პელაგია — (1842)
სერგეი — (1845)
ივანე — (1849)
ანა — (1851)
მიხეილი — (1853)
ნესტორ — (1856)
იაკობ (კოტე) — (1857)
დავით — (1860)
ეფემია — (1862)
მარიამ — (1864)
კონსტანტინე — (1867)
ნინო — (1869)

1883 წლის ივლისში ქართველმა საზოგადოებამ ღრმა გულისტკივილით შეიტყო, რომ აბასთუმანში გარდაიცვალა სერგეი მესხი.

ს. მესხის ცხედარი 23 ივლისს აბასთუმნიდან ქუთაისში წაასვენეს, საიდანაც გადაასვენეს სოფელ რიონში და დაკრძალეს იქვე 25 ივლისს. სერგეი მესხის მეგობარმა აკაკიმ ასე დაიტირა იგი:

„ჩვენს პატარა წრეს, უმისოდაც ამ მცირე რაზმსა,
დააკლდა მუშა!... შეეწირა სამშობლოს მსხვერპლად“.

სამწუხარო რეალობაა, რომ მთაწნინდის პანთეონი უცილობლად საჭიროებს „გამოხელვას„!

სერგეი მესხის წმინდა ნეშტის ადგილი მთაწმინდაზეა!

ამისათვის საჭიროა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი!

პოეტ ლადო ასათიანის ძვლებმაც მთაწმინდაზე უნდა დაივანოს!

ალექსანდრე სანდუხაძე

როგორ დახვრიტეს ნიკოლოზ მეორე

ისტორიას ახსოვს მონარქი მმართველები, რომლებმაც თავიანთი სიცოხლე გილიოტინაზე ან ეშაპოტზე დაასრულეს. ძირითადად, მეფის სიკვდილის დასჯას წინ უძღვის ხალხთა მღელვარება, რევოლუციები, არსებული რეჟიმით უკმაყოფილება. ამგვარ ფაქტს ვხვდებით ინგლისის ისტორიაში, როდესაც ე.წ. „ნარჩენმა პარლამენტმა“ გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა ჩარლზ პირველი სტიუარტი 1649 წლის 30 იანვარს. ამ ფაქტს წინ უძღოდა ინტერეგნუმი, ხოლო, მომხდარის შემდეგ, კი ოლივერ კრომველის პროტექტორატის დამყარება. ასევე დაუნდობლად მოექცნენ ევროპის ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყნის მმართველ ლუი XVI-ს საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ. მას 1793 წლის 21 იანვარს გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს. ამ შემთხვევაში ჯერ დირექტიამ აიღო ქვეყნის სადავეები ხელში, შემდეგ კონსულებმა, ბოლოს კი ნაპოლეონ ბონაპარტეს ერთპიროვნული მართველობა მივიღეთ. ასევე იყო რუსეთშიც, რევოლუციამ გამოიწვია მონარქიული სისტემის რღვევა, რაც საბოლოოდ სამეფო ოჯახის სიკვდილით დასჯით დასრულდა. ჩვენს ყურადღებას ამ უკანასკნელზე შევაჩერებთ და ვეცდებით, გაზეთ „შრომაში“ (1918წ) აღმოჩენილი დოკუმენტები მკითხველს წარვუდგინოთ.

18 ივლისს ც. ა. კ- ს სხდომაზე საბჭოს თავჯდომარე სვერდლოვმა მოახსენა სხდომას ურალის საოლქო საბჭოსგან მიღებული ცნობები ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის დახვრეტის შესახებ.

ამ ისტორიულ ცნობას დაესწრნენ პრეზიდიუმის წევრნი: ოვანესოვი, სოსნოვსკი, ტეოდოროვიჩი, ვლადიმირსკი, მაქსიმოვი, სმიდოვიჩი, როზენგოლცი, მიტროფანოვი და როზინი. დაწვრილებითი ცნობები კი ასეთია: უკანასკნელ ხანებში წითელ ურალის საატახტო ქალაქ ეკატერინბურგს დიდი საფრთხე მოელოდა ჩეხო-სლოვაკთა ბრბოების მოახლოებით. იმავე დროს აღმოაჩინეს ახალი კონტრ-რევოლუციონური შეთქმულება, რომელსაც მიზნად დაესახა, ე.წ. „მირონცხებული ჯალათის“ საბჭოს ხელიდან განთავისუფლება. ამის გამო ურალის საალქო საბჭომ დაადგინა: დახვრიტოს ნიკოლოზ რომანოვი, რაც სისრულეში მოიყვანა 16 ივლისს. ნიკოლოზის მეუღლე და შვილი საიმედო ადგილას გადაიყვანეს. შეთქმულების საბუთები განსაკუთრებული კურიერის ხელით გამოგზავნეს მოსკოვს.

ამ მოხსენების შემდეგ სვერდლოვი მოაგონებს სხდომას რომანოვის ტობოლსკიდან ეკატერინბურგში გადმოყვანის ისტორიას, როდესაც აღმოჩენილ იქნა თეთრ გვარდიელთა ორგანიზაცია რომანოვის გატაცების შესახებ. უკანასკნელ ხანებში ფიქრობდნენ ყოფილი მეფის გასამართლებას ყველა იმ დანაშაულებათა გამო, რომელიც ხალხის წინაშე მიუძღვოდა მას, თუმცა კვლავ გამოჩნდა ისეთი გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუშალეს შეწყალების გადაწყვეტილებას.

ც. ა. კ-ის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ურალის საოლქო საბჭოს საბუთები, გადაწყვიტა ნიკოლოზ რომანოვის დახვრეტა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტემა, რომელმაც სრულიად კანონიერად ჩათვალა ურალის საოლქო საბჭოს მოქმედება.

შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს სხდომას, რომ ც. ა. კ-ს ხელშია ღირსშესანიშნავი საბუთები, ნიკოლოზ რომანოვის ხელნაწერი დღიურები უკანასკნელ ხანამდე, აგრეთვე, მისი მეუღლის და შვილების დღიურები, რომანოვის მიწერ-მოწერა, სხვათაშორის გრ. რასპუტინის წერილებიც.

გაზ. „პრავდას“ ვერსია ნიკოლოზის დახვრეტის შესახებ

გაზეთი „პრავდას“ ვერსია რაღაც მხრივ განსხვავდება გაზ. „L Anz“-ში მოყვანილ დაწვრილებით ცნობებისგან. საბჭოს ოფიციალური სიტყვით ეკატერინბურგის საბჭომ ჯერ კიდევ ივნისში აცნობა ცენტრალურ კომიტეტს ნიკოლოზ მეორის დახვერეტის განზრახვის შესახებ და განაჩენის დადასტურებას ითხოვდა. ლევ ტროცკიმ უარით უპასუხა ეკატერინბურგის საბჭოს. ნიკოლოზი ეკატერინბურგის ახლოს გადაიყვანეს, მაგრამ როდესაც ორი კვირის შემდეგ ვიღაცამ მოინდომა მისი მოკვლა, ის ხელახლა გადაიყვანეს ეკატერინბურგში. ეკატერინბურგის საბჭომ იმ პერიოდში მიაკვლია კონტრ-რევოლუციონერთა ახალ შეთქმულებას და ამის შემდეგ ხელმეორედ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ კომიტეტში ნიკოლოზ II- ის დახვრეტის შესახებ. ამ შემთხვევაში სულ უპასუხოდ დატოვა შუამდგომლობა ცენტრალურმა კომიტეტმა. მიუხედავად ამისა 16 ივლისს მაინც დახვრიტეს ნიკოლოზი II. იგი საპრყობილიდან ქალაქგარეთ წაიყვანა 2-მა წითელმა გვარდიელმა, სადაც 10 წითელი გვარდიელი კიდევ ელოდათ. ეკატერინბურგის კომიტეტის თავმჯდომარემ გამოუცხადა ნიკოლოზ მეორეს განაჩენი. ნიკოლოზს მეუღლესთან გამოთხოვება და რამდენიმე წერილის დაწერა უთხოვია, რაზეც უარით უპასუხიათ. ცნობების თანახმად, ნიკოლოზს კარგად ეჭირა თავი. მისი გვამი სადღაც წაუღიათ ავტომობილით.

უკანასკნელი წერილი ნიკოლოზ რომანოვისა

„N treie Prease“-ს სტოკჰომლიდან აცნობებენ ნიკოლოზ რომანოვის წერილს ერთ მის ნაცნობ გენერალთან, სიკვდილის წინა დღეებში მიწერილს. „ჩვენი მდგომარეობით კმაყოფილნი ვართ, - სწერს ნ. რომანოვი - მხოლოდ რუსულ წიგნებს ვღებულობთ და ისიც მკაცრი ცენზურის შემდეგ. ეკატერინბურგიდან გამგზავრების დროს მეამბოხეთ ძალადობა უნდოდა ეხმარათ. ძლიერ ავად გახდა ალექსი შიშით. ცოცხლები მხოლოდ იმიტომ გადავრჩით, რომ გონება არ დაგვიკარგავს და იმიტომ, რომ იქვე დაგვესწრო სახალხო კომისარი იაკოვლევი, რომელიც ენერგიულად გვიცავდა. იგივე კომისარი განაგებდა ჩვენს დარაჯებს“.

ავტორი: გიგი გივიშვილი,
თსუ-ს მეოთხე კურსის სტუდენტი

✠ სულთათანა ✠

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წარმომადგენელს, ქალბატონ თამარ ლომთაძეს ვუსამძიმრებთ დედის, ასევე ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, ღვაწლმოსილი ქალბატონის

ნელი ლომთაძის

გარდაცვალებას. მსუბუქი იყოს ახალშესვენებული მონა-მხევლისთვის საბურთალოს პანთეონის მიწა და მართალთა შორის განისვენოს ცათა მარადიულ სასუფეველში მისმა სულმა, ამინ!

ჯანმრთელობის გვერდი

ტვინის სისხლძარღვების გაწმენდის 5 უნიკალური მეთოდი, რომელთა შესახებაც რატომღაც ექიმები დუმან



თავის ტვინის სისხლძარღვების გაწმენდა ძალიან მნიშვნელოვანი პროცედურაა, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს უამრავი ორგანოს მუშაობას და დაგეხმარებათ, გათავისუფლდეთ დაწყებული კისრის ოსტეოქონდროზით, დამთავრებული ათეროსკლეროზისგან.

სისხლძარღვების რეგულარულად გაწმენდის შემთხვევაში, მოგეხსნებათ სიმძიმე თავში, გაგივლით თავის ტკივილები, გაგინათდებათ გონება, გაგიუმჯობესდებათ განწყობა.

გთავაზობთ 5 ეფექტურ და ნაცად რეცეპტს, რომელიც თავის ტვინის სიხლძარღვებს გაწმენდს.

პირველი: თაფლი და ნიგოზი

დააქუცმაცეთ 10 ცალი ნიგვზის ლებანი და კარგად აურიეთ ერთ სუფრის კოვზ ნატურალურ, ცაცხვის თაფლში. დაუმატეთ მწიკვი დარიჩინი და ჯანჯაფილი. აურიეთ, მოათავსეთ ერთი დღე მაცივარში და შემდეგ დაიწყეთ მიღება: თითო სუფრის კოვზი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

მეორე: ხახვის წვენი და თაფლი

გამოწურეთ ხახვისგან 1/3 ჭიქა წვენი და შეურიეთ ერთ ჭიქა ნატურალურ თაფლს. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი ელექსირი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაზავი არა მხოლოდ ეფექტურად გაწმენდს სისხლძარღვებს, არამედ გაგიმყარებთ იმუნიტეტს.

მესამე: ბუნებრივი წვენები

ყოველდღიურად სადილსა და ვახშამდე სვით ნახევარი ჭიქა ბროწეულის წვენი (ანაცვლეთ ვაშლისა და სტაფილოს წვენი) – თუკი მაღაზიაში შეიძენთ წვენს, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იყოს მაქსიმალურად ნატურალური. ყველაზე უკეთესი კი

საკუთარი ხელით გამოწურული იქნება.

მეხუთე: სასარგებლო პროდუქტები

ორგანიზმის საერთო გაკაჟებისთვის და სისხლძარღვების გასაწმენდად საჭიროა, ყოველდღიურად, საუზმემდე მიირთვათ თითო ცალი მანდარინი, ერთი მუჭა ქიშმიში და რამდენიმე ცალი ნიგოზი. 15-20 წუთში დალიოთ ერთი ჭიქა წყალი, რომელშიც გარეული იქნება ერთი ჩაის კოვზი თაფლი და ლიმონის წვენი. ხოლო 10-15 წუთში შეგიძლიათ მიირთვათ საუზმე.

წყარო: http://www.marao.ge/sakithkhavi/siakhle/10965-tvinis-siskhldzarghvebis-gatsmendis-5-unikaluri-methodi-romeltha-shesakhebac-ratomghac-eqimebi-duman.html

მე მრცხვენოდა ჩემი ხელების გამოჩენის, სანამ არ გავიგე ამ კრემის შესახებ

მტკივნეული მოვლენაა ხელებზე ასაკობრივი ლაქების გაჩენა, გთავაზობთ საშუალებას, რომელიც ამ პრობლემას დაგავიწყებთ.

1 სუფრის კოვზი თაფლი

1 სუფრის კოვზი იოგურტი

1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი

შეურიეთ ერთმანეთს ინგრედიენტები. მიღებული ერთგვაროვანი მასის მიქსტურა წაისვით ხელებზე, გაიჩერეთ 15 წუთი, შემდეგ კი ფრთხილად აიცილეთ შექმნილი ფენა. გირჩევთ, ეს პროცედურა ღამით ჩაიტაროთ, რადგან ნიღბის მოცილების შემდეგ კანი ოდნავ შეწითლდება. ამ საშუალების გამოყენება შეიძლება კვირაში მასქიმუმ ორჯერ. შედეგით გაოცებული დარჩებით.

წყარო: http://fpaparazzi.com/index.php?newsid=13911

ეს რეცეპტი გაგიახალგაზრდავებთ ხელის კანს

ხელის კანს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება,ვინაიდან ის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მართალს ამბობენ,რომ ქალის ხელის მიხედვით შეიძლება მისი ასაკის გაგება. ხელს რომ ახალგაზრდობა დაუბრუნოთ - არც ისე რთულია. ჩვენ გასწავლით.

ხელის კანი დაფარულია თხელი,ცხიმოვანი ფენით. შესაბამისად - კოლაგენის და ელასტინის ქსოვილი იწყებს დაშლას,რაც თვალსაჩინოს ხდის დაბერების პროცესს.

ქიმიური ნივთიერების მუდმივი მოქმედებისგან ხელის კანი უხეშდება და განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს.

ექსპერტები ირწმუნებიან,რომ კვერცხის ცილა აღადგენს ხელის ელასტიკურობას. ეს ძალიან მარტივია - აიღეთ კვერცხის ცილა და შეურიეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი. მიღებული მასა დაიტანეთ ხელებზე და დაიტოვეთ,სანამ გაშრება. შემდეგ ჩამოიბანეთ ხელები თბილი წყლით და წაისვით ქოქოსის ზეთი. მაშინვე იგრძნობთ შედეგს!

კარტოფილი

კარტოფილს შეუძლია კვლავ მიანიჭოს სინაზე თქვენს ხელებს. მოხარშეთ რამდენიმე საშუალო ზომის კარტოფილი და დაამყნეთ ჩანგლის დახმარებით. დაუმატეთ 2 ს/კ ზეთი,თაფლი და რძე. მოათავსეთ მაცივარში. დაიტანეთ 2-3 ჯერ კვირაში. გაიჩერეთ ხელზე 15 წუთით და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ლიმონი და შაქარი

გაწურეთ ლიმონი. დაამატეთ წვენს იგივე რაოდენობის შაქარი და შეიზილეთ მიღებული მასა ხელებში. ეს აუმჯობესებს მიკროცირკულირებას. ჩამოიბანეთ თბილი და შემდეგ ცივი წყლით.

ვაზელინი

დაიტანეთ მცირე ოდენობის ვაზელინი ხელებზე წრიული მოძრაობით. გაიკეთეთ ბამბა ქაღალდის ხელთათმანები და დაიტოვეთ მთელი ღამით.

ნუ გამოიყენებთ ძალიან ცხელ წყალს,მის ნაცვლად უპირატესობა თბილ და ცივ წყალს მიანიჭეთ.

ნუშის ზეთი

დაიტანეთ ნუშის ზეთი ხელებზე,შემდეგ მოათავსეთ ხელები ცივ წყალში 5 წუთით. დაიტანეთ სქელი კონსისტენციის საცხი,გაიკეთეთ ბამბის ქაღალდის ხელთათმანები და გაიჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში. დილიტთ თქვენი ხელები სრულებით დატენიანებული იქნება.

დაიცავით ხელები სიცივისგან

ყოველთვის ატარეთ ხელთათმანები,როცა ცივა,რადგან ხელები ყველაზე მგრძნობიარე სიცივეშია.

წყარო:http://oxotv.com/index.php?newsid=2783

რელიგია

რატომ არის მართმადიდებლობა ჭეშმარიტი რელიგია

ალექსი ოსიპოვი

ამჟამად ყველანი ისეთ ცხოვრებისეულ ვითარებაში ვიმყოფებით, როცა უკვე არანაირი ზღუდით არ შეგვიძლია გავემიჯნოთ გარემომცველ სამყაროს, სადაც რელიგიური მრავალმხრივობა სუფევს. ირგვლივ ურიცხვი მქადაგებელი გაჩნდა და ყველა მათგანი საკუთარ იდეებს, ცხოვრებისეულ ნორმებს, რელიგიურ შეხედულებებს გვთავაზობს. ამ მხრივ წინა თაობებს თანამედროვეობის შესაშური ნამდვილად არაფერი აქვთ. განვლილი უახლოესი ეპოქის პრობლემა რელიგიისა და ათეიზმის, ანუ მათი ურთიერთმიმართების საკითხი იყო.

დღევანდელობა ბევრად უფრო დიდი და უარესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ღმერთის არსებობა-არარსებობის გარკვევა მხოლოდ პირველი საფეხურია. ვთქვათ, ადამიანი დარწმუნდა ღვთის არსებობაში. რა უნდა ქნას შემდგომ? სარწმუნოება ბევრია, რომელი მათგანი აირჩიოს? ქრისტიანი გახდეს თუ მუსულმანი? იქნებ, ბუდისტი? მაშინ კრიშნაიზმმა რა დააშავა? ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. ახლა იმდენი რელიგია არსებობს... ვთქვათ, ადამიანმა გააღწია ამ მრავალრელიგიური ჯუნგლებიდან და ქრისტიანი გახდა. დარწმუნდა, რომ ქრისტიანობა - საუკეთესო და სწორი რელიგიაა. მაგრამ შემდეგ როგორ განაგრძოს? რომელი ქრისტიანობა აირჩიოს? ისიც ხომ მრავალსახოვანია. მართლმადიდებლებს შეუერთდეს, კათოლიკებს, ორმოცდაათიანელებს, ლუთერანებს... (ჩამოთვლას ამჯერადაც არა აქვს აზრი). აი, რა ვითარებაში აღმოჩნდა თანამედროვე ახალგაზრდობა. ამასთან, ახალი და ძველი რელიგიების და არამართლმადიდებლური კონფესიების წარმომადგენლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პროპაგანდის ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ, ვიდრე ჩვენ, მართლმადიდებლებს...

ამდენად, თანამედროვე ადამიანის უპირველესი პრობლემა არის სარწმუნოებათა, რელიგიათა და მსოფლმხედველობათა სიმრავლე.

მოდით, ამ სიმრავლეში გასარკვევად, ისე განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, თითქოს, შევდიოდეთ იმ ოთახებში, რომლებიც თანმიმდევრობით იღება ჭეშმარიტების მაძიებელი უამრავი ჩვენი თანამედროვის წინაშე. ვეცდები, ძალიან ზოგად, მაგრამ პრინციპულ შტრიხებში დაგანახოთ, თუ რატომ არის ადამიანი ვალდებული (მას არა მარტო შეუძლია, არამედ, მართლაც, ვალდებულია) შეგნებულად გახდეს მართლმადიდებელი ქრისტიანი.

დავიწყოთ პირველი პრობლემით: „რელიგია და ათეიზმი“.

სხვადასხვა კონფერენციებზე,სადაც განათლებულ, განსწავლულ ადამიანებს ვხვდებით, ხშირად გვეკითხებიან ერთსა და იმავეს: ვინ არის ღმერთი? არსებობს თუ არა ის? ან რა საჭიროა იგი? თუ ღმერთი არსებობს, რატომ პირდაპირ არ აცხადებს საკუთარი თავის შესახებ?..

რა პასუხი გავცეთ მათ?

ეს საკითხი, ჩემის აზრით, შეიძლება გადაწყდეს თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების მეშვეობით, რომელსაც ეგზისტენციალიზმი ეწოდება. რაში მდგომარეობს ადამიანური ცხოვრების საზრისი, მისი ძირითადი შინაარსი? რა თქმა უნდა, სიცოცხლეში, სხვაგვარად როგორ იქნება? რა აზრი შემიძლია განვიცადო, როცა მძინავს? ცხოვრების აზრი, საკუთარი არსებობისა და მოღვაწეობის ნაყოფთა შეცნობა, „გემოს გაგება“ შეიძლება იყოს მხოლოდ. ადამიანი არ ფიქრობს, რომ სიცოცხლის აზრი, შესაძლოა, სიკვდილი იყოს. სწორედ აქ გადის გადაულახავი ზღვარი რელიგიასა და ათეიზმს შორის. ქრისტიანობა ამტკიცებს, რომ ამქვეყნიური ყოფა მხოლოდ საწყისი, საწინდარი საშუალებაა მარადისობაში გადასასვლელად. იგი უხსნის ადამიანს, თუ რისი გაკეთება მართებს საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად. როგორი უნდა იყოს, რომ იქ მოხვდეს. ათეიზმი ამტკიცებს, რომ არ არსებობს არც ღმერთ, არც სული, არც მარადისობა, ამიტომ, გწამდეს, ადამიანო, რომ შენ მოგელის საუკუნო სიკვდილი! შიშის ზარი გვეცემა, საშინელი უიმედობა და სასოწარკვეთილება გვიპყრობს, ტანში ჟრუანტელი გვივლის ამ საზარელი სიტყვების გაგონებაზე: ადამიანო, შენ საუკუნო სიკვდილი გელის! აღარაფერს ვამბობთ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც ამ შეხედულების დასასაბუთებლად მოჰყავთ. იგი ისედაც აძრწუნებს ადამიანის სულს.

როცა ადამიანს ტყეში გზა დაებნევა, აქეთ-იქით აწყდება და შინისკენ მიმავალ ბილიკებს ეძებს, ამ დროს თუ ვინმეს გადაეყარა და ჰკითხა: „აქედან როგორ გავაღწიო?“ ეს უკანასკნელი კი პასუხობს: „აქედან ვერ გააღწევ, ამიტომ ეცადე, აქვე მოეწყო, როგორც მოახერხებო“, საეჭვოა, რომ გზააბნეულმა მას დაუჯეროს. იგი აუცილებლად განაგრძობს ძიებას. თუ ისეთი ვინმე შეხვდება, რომელიც ეტყვის: „კი, გასასვლელი არის. ახლავე გეტყვი, როგორ გაიგნო გზა“, - განა მას არ მიენდობა? იგივე ხდება მსოფლმხედველობრივი არჩევანის დროს, როცა ადამიანი რელიგიისა და ათეიზმის პირისპირ აღმოჩნდება. სანამ ადამიანს ჭეშმარიტების, ცხოვრების აზრის ძიების ნაპერწკალი მაინც უღვივის, ფსიქოლოგიურად არ შეუძლია მიიღოს კონფეცია, რომ ყველა ადამიანს ელის საუკუნო სიკვდილი, რომლის „მისაღწევად“ აუცილებელია ცხოვრების ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პირობების გაუმჯობესება. შემდეგ კი ყველაფერი კარგად იქნება - ხვალ თქვენ მოკვდებით და სასაფლაოზე წაგასვენებთ. პირდაპირ, „შესანიშნავია!„

ზემოთქმულით მხოლოდ ერთ, ფსიქოლოგიურ ძალზე არსებით მხარეზე მიგანიშნეთ, რომელიც, ჩემის აზრით, სულით ცოცხალი ყოველი ადამიანისათვის სრულიად საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ცხოვრების საზრისზე საუბარი იწყება მხოლოდ იმის აღიარებით, ვისაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ.

ასე რომ, მე ღმერთი მწამს! ჩავთვალოთ, რომ პირველი ოთახი გავიარეთ. რაკი ვირწმუნე ღმერთი, მეორე ოთახში შევედი... აქაც დიდი სიჭრელეა, ყველა გაიძახის: „ჭეშმარიტება მხოლოდ ჩემთანაა“. მუსულმანები, კონფუციელები, ბუდისტები, იუდეველები - ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს. ქრისტიანი მქადაგებელიც აქვეა, სხვების გარემოცვაში, და მე ვეძებ, რომელია მათ შორის მართალი, რომელს ვერწმუნო?

აქ ორი მიდგომა არსებობს (იქნებ მეტიც, მაგრამ მე ორს დავასახელებ). პირველი - შედარებითი საღვთისმეტყველო ანალიზის გზაა, რომელიც რელიგიის კარგად შესწავლას ითვალისწინებს. ამ გზას ყველა ვერ გაჰყვება. იგი დიდ დროს, ძალისხმევას და, თუ გნებავთ, შესაბამის უნარსაც მოითხოვს.

არის მეორე მეთოდიც. ბოლოს და ბოლოს, ყველა რელიგია ადამიანისკენაა მიმართული და უხსნის, თუ რა არის ჭეშმარიტება. ამასთან, ყველა მსოფლმხედველობა და რელიგია ერთსულოვანია იმაში, რომ თანამედროვე ადამიანის პოლიტიკური, სულიერ-ეკონომიკური, სულიერი, მორალური და კულტურული პირობები არანორმალურია. იქნებ, ზოგიერთები სჯერდებიან იმას, რაც არის, მაგრამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა, მეტნაკლებად, სწორედ ამის გამო იტანჯება. მთლიანად კაცობრიობას ეს ყველაფერი ვერ აკმაყოფილებს. იგი ეძებს რაღაც სხვას, უმჯობესს, ისწრაფვის სადღაც, შეუცნობელი მომავლისკენ, ელის „ოქროს საუკუნეს“...

ნათქვამიდან ცხადი ხდება, თუ რატომ დადის ყველა რელიგიის, ყველა მსოფლმხედველობის არსი ცხონების შესახებ სწავლებამდე. აი, სწორედ აქ ვხვდებით იმას, რაც, ჩემის აზრით, უკვე გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასაბუთებული არჩევანი, როცა რელიგიური მრავალფეროვნების წინაშე აღმოვჩნდებით. ყველა სხვა რელიგიისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა ამტკიცებს, რაღაც ისეთს, რაც სხვა რელიგიებმა (და მითუმეტეს, არარელიგიურმა მსოფლმხედველობამ) უბრალოდ, არ იციან. და არა მარტო არ იციან, არამედ, როცა გადაეყრებიან ხოლმე ასეთ რამეს, გაცხარებით უკუაგდებენ. ეს მტკიცება მოიცავს ე.წ. პირველქმნილი ცოდვის ცნებას. ცოდვაზე ლაპარაკობს ყველა რელიგია, მსოფლმხედველობა და იდეოლოგია (მართალია, მას სხვადასხვაგვარ სახელს არქმევენ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს), მაგრამ არც ერთი მათგანი ადამიანის ბუნებას მის ახლანდელ მდგომარეობაში დასნეულებულად (დაზიანებულად) არ მიიჩნევს. ქრისტიანობა კი ამტკიცებს, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ყველანი, ადამიანები, დავიბადეთ, ვიმყოფებით, ვიზრდებით და ვყალიბდებით, განვიცდით ტკბობას, ვერთობით, ვსწავლობთ, აღმოჩენებს ვაკეთებთ და ასე შემდეგ - ეს არის საშინელი სნეულების, საშინელი დაზიანების მდგომარეობა. ჩვენ ავადა ვართ. საუბარი არაა გრიპზე, ბრონქიტზე, ან ფსიქიკურ დაავადებაზე. არა და არა, ფსიქიურად ჩვენ ჯანმრთელნი ვართ - ურთულესი ამოცანების გადაჭრა და კოსმოსში გაფრენაც კი შეგვიძლია - ჩვენ სხვა მხრივ ვართ მწარედ დაავადებულები. ადამინური ყოფიერების დასაწყისში მოხდა ერთიანი ადამიანური არსების რაღაც ტრაგიკული გახლეჩა თითქოსდა დამოუკიდებლად არსებულ ურთიერთმოქიშპე ნაწილებად - გონებად, გულად და ფიზიკურ სხეულად, (მსგავსი კრილოვის იგავისა - „გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპია„). ის, რასაც ქრისტიანობა ამტკიცებს, ბევრისთვის აბსურდია და აღშფოთებას იწვევს: „მე არანორმალური ვარ? დიდი ბოდიში, იქნებ სხვები არიან ასეთები, მაგრამ მე - ნამდვილად არა“. და თუ ქრისტიანობას ვერწმუნებით, სწორედ აქ არის ძირი და სათავე იმისა, რომ ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით, ერთი ტრაგედია მეორეს მოსდევს. რადგან, თუ ადამიანი სერიოზულადაა ავად, ის კი ამას ვერ ამჩნევს და არ მკურნალობს, რა თქმა უნდა, იღუპება.

სხვა რელიგიები არ აღიარებენ ადამიანში ამ სნეულებას, მხოლოდ უარყოფენ მას. ისინი თვლიან, რომ ადამიანი - ეს არის ჯანსაღი მარცვალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს როგორც ნორმალურად, ასევე არანორმალურად. მისი განვითარება დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე, ეკონომიკურ პირობებზე, ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და ბევრ სხვა რამეზეც. ამიტომ, ადამიანი კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც, მაგრამ თავისი ბუნებით ის კარგია. აი, არაქრისტიანული ცნობიერების მთავარი ანტითეზისი. არაფერს ვამბობთ არარელიგიურ ცნობიერებაზე. მასზე სათქმელი არაფერია - ის საერთოდ: „ადამიანი - ეს ამაყად ჟღერს“. მხოლოდ ქრისტიანობა ამტკიცებს, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა - ესაა საშინელი გარყვნის, დაცემის მდგომარეობა, ამასთან, ისეთი გარყვნის, რომ თვით ადამიანს საკუთარი ძალებით მისი განკურნება არ შეუძლია. ამ მტკიცებაზეა აგებული უდიდესი ქრისტიანული დოგმატი ქრისტეზე, როგორც მხსნელზე.

სწორედ ეს იდეა არის პრინციპული ზღვარი ქრისტიანობასა და ყველა სხვა რელიგიას შორის.

ახლა კი შევეცდები გაჩვენოთ, რომ ქრისტიანობას, სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, შეუძლია, ობიექტურად დაასაბუთოს მის მიერვე მოცემული მტკიცება. მოდით, მივმართოთ კაცობრიობის ისტორიას, ვნახოთ, რითი ცხოვრობს და რა მიზნები გააჩნია მას ჩვენი, ადამიანური მზერისთვის მისაწვდომი დროის მანძილზე. თქმაც არ უნდა - მას სურს, ღვთის სასუფეველი დაამყაროს დედამიწაზე, ე.ი. სამოთხე მოაწყოს. ზოგიერთებს ამ მიზნის განხორციელება ღვთის შეწევნით სურთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც უფალი განიხილება არა როგორც სიცოცხლის უმაღლესი მიზანი, არამედ როგორც საშუალება ამქვეყნიურ სიკეთეთა მისაღწევად. სხვებს ღმერთი საერთოდ არ სჭირდებათ. მაგრამ მთავარი სხვა რამეა. ყველას ესმის, რომ შეუძლებელია დედამიწაზე სასუფევლის მოწყობა ისეთი ელემენტალური რამეების გარეშე, როგორიცაა: მშვიდობა, სამართლიანობა, სიყვარული (თავისთავად ცხადია, რა სამოთხე შეიძლება იყოს იქ, სადაც ომი, უსამართლობა და ბოროტება სუფევს?!), თუ გნებავთ, ურთიერთპატივისცემა - აქამდეც დავედით. ესე იგი, ყველას მშვენივრად ესმის, რომ ამ ძირითადი ზნეობრივი ფასეულობების განხორციელების გარეშე შეუძლებელია რამენაირი კეთილდღეობის მიღწევა დედამიწაზე. კაცობრიობა კი რას აკეთებს მთელი ისტორიის მანძილზე? ერიჰ ფრომს კარგად აქვს ნათქვამი: „კაცობრიობის ისტორია სისხლითაა დაწერილი. ეს - მუდმივი ძალადობის ისტორიაა“. ზუსტია!

ისტორიკოსებს, განსაკუთრებით კი სამხედრო ისტორიკოსებს, შესაბამისი მაგალითების მოხმობით თვალნათლივ შეუძლიათ გვაჩვენონ, თუ რითია აღსავსე კაცობრიობის მთელი ისტორია: ომები, სისხლისღვრები, ძალადობა და სისასტიკე. იდეურად მეოცე საუკუნე „უმაღლესი ჰუმანიზმის“ საუკუნეა. სინამდვილეში კი, „სრულყოფილების“ ეს მწვერვალი დაღვრილი სისხლით აღემატა კაცობრიობის ყველა წინა საუკუნეს, ერთად აღებულს. ჩვენს წინაპრებს რომ დაანახათ ის, რაც XX საუკუნეში მოხდა, სისასტიკის, უსამართლობისა და სიცრუის მასშტაბები შეაძრწუნებდათ. რაღაც მიუწვდომელი პარადოქსია იმაში, რომ თავისი ისტორიის განვითარებასთან ერთად კაცობრიობა სულ უფრო და უფრო შორდება იმ ძირითად იდეას, მიზნებსა და ზრახვებს, რომლისკენაც თავდაპირველად იყო მიმართული მთელი მისი ძალისხმევა.

მინდა დავსვა ასეთი რიტორიკული შეკითხვა: „შეიძლება გონიერი არსება ასე იქცეოდეს?“ ისტორია პირდაპირ დაგვცინის, ირონიულად მოგვიგებს: „კაცობრიობა ჭეშმარიტად გონიერი და ჯანსაღია. იგი სულით ავადმყოფი არ არის, არა და არა. ის, უბრალოდ, იმაზე ცოტა მეტს და ოდნავ უარესს აკეთებს, რასაც გიჟები საგიჟეებში სჩადიან“.

ვაი, რომ ეს ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ცალკეული ადამიანები კი არ ცდებიან - არამედ ეს არის რაღაც ისეთი თვისება, რომელიც პარადოქსულად მოიცავს მთელ კაცობრიობას.

თუ ადამიანს ეყოფა ზნეობრივი ძალა, „შემობრუნდეს საკუთარი თავისკენ“, შეხედოს საკუთარ თავს, არანაკლებ შთამბეჭდავ სურათს იხილავს. პავლე მოციქულმა იგი ზუსტად დაახასიათა: „უბადრუკი მე ესე კაცი“ (რომ. 7, 24), „რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“ (რომ. 7, 19). და მართლაც, ვინც ოდნავ მაინც მიაქცევს ყურადღებას იმას, რაც მის სულში ხდება, ზერელედ მაინც მოსინჯავს საკუთარ თავს, შეუძლებელია, ვერ შენიშნოს, თუ როგორაა სულიერად დასნეულებული, რამდენადაა დამორჩილებული და დამონებული სხვადასხვა ვნებების ზემოქმედებას. უაზრობაა, ვიკითხოთ: „უბედურო ადამიანო, რას ნთქავ ამ ხორაგს, რას ეძალები სასმელს, რატომ ცრუობ, რატომ გშურს, რას მეძაობ და ა.შ.? შენ ხომ ამით თავს იღუპავ, ოჯახს ანგრევ, საკუთარ შვილებს ამახინჯებ, წამლავ ატმოსფეროს შენს ირგვლივ. რატომ იკლავ თავს, რას ისერავ და იჩხვლეტ სხეულს, რატომ იფუჭებ ნერვებს, ფსიქიკას, ხორცსაც იუძლურებ? ხომ გესმის, რომ ეს ყველაფერი დამღუპველია?“ - „კი, მესმის, მაგრამ არ შემიძლია, ეს არ ვაკეთო“. ბასილი დიდს ერთხელ უთქვამს: „ადამიანთა სულებში არ ჩასახულა იმაზე დამღუპველი ვნება, ვიდრე შურია“. ასე რომ, ადამიანი, იტანჯება რა, როგორც წესი, ვერ ახერხებს გაუმკლავდეს საკუთარ თავს და სწორედ მაშინ, სულის სიღრმეში ყოველი გონიერი ადამიანი შეიცნობს იმას, რაზეც ქრისტიანობა ამბობს: „არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“ (რომ. 7, 19). რა არის ეს - ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა?

როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანი სწორი ქრისტიანული ცხოვრებით? ისინი, ვინც განიწმინდნენ ვნებათაგან და თავმდაბლობა მოიპოვეს, ღირსი სერაფიმ საროველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სული წმიდა მოიღეს“, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო სულიერ მდგომარეობას აღწევდნენ: თავი ყველაზე უარესად მიაჩნდათ. ..

http://www.orthodoxy.ge

რელიგია

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მემკვიდრე დაასახელა?...

23 ნოემბერს, გიორგობის წირვაზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ყველასათვის მოულოდნელად (თვით მეუფეებისთვისაც კი), თავის მოსაყდრედ მიტროპოლიტი მეუფე შიო (ერისკაცობაში ელიზბარ მუჯირი) დაასახელა. მისმა ხმოვანმა უწყებამ დიდი გაკვირვება, დაბნეულობა და მითქმა-მოთქმაც კი გამოიწვია თვით სინოდის წევრ მეუფეებში, სამღვდელო დასსა და საზოგადოებაშიც. თუმცა, საზოგადოების მაღალ ფენებში, პატრიარქ ილია II-ის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მომწიფებული იყო აზრი მისი გადადგომისა და მემკვიდრის დასახელების აუცილებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პატრიარქის ასაკი - 84 წელი, ზოგადად, არცთუ ისე კრიტიკული გახლავთ, მაგრამ მისი დაუძლურებული ჯანმრთელობა მძიმე შთაბეჭდილების მომგვრელი იყო და უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიურად აჩენდა მისგან მემკვიდრის დასახელების ფიქრსა და მოლოდინს. სიცოცხლეში მოსაყდრის დანიშვნა საქართველოს პატრიარქების ისტორიაში პირველია.

იმ დოგმადქცეული, კანონიკური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, რომ ყველა პატრიარქი, ზენაარსის, უფლის ნებით ხელდასმულია, ეჭვგარეშეა, რომ ილია II-მ უფლის გამოცხადებითა და კარნახით მიიღო მის მიერ გაცხადებული გადაწყვეტილება. თუმცა, ამგვარი შეუვალი ნებელობის მიუხედავად, სინოდის წევრ მეუფეების, საღმვდელო დასისა და საერო მოღვაწეთა მხრიდან, მოსაყდრედ დასახელებულ მეუფე შიოს პატრიარქად აღსაყდრება დიდი წინაღობებისა და ხმაურიანი დაპირისპირების გარეშე არ ჩაივლის. არის მოლოდინი, რომ პატრიარქი ილია II, 25 დეკემბერს - თავისი

აღსაყდრების 40 წლისთავზე აკურთხებს მეუფე შიოს თავის შემცვლელ ახალ პატრიარქად, რასაც სინოდის წევრთა უმრავლესობის თანხმობაც სჭირდება. სინოდის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა კი კომუნისტური რეჟიმისეული „წითელი სამღვდელოების“ წარმომადგენლები ან მათი მემკვიდრეები არიან (იგივე ითქმის მეუფე შიოზეც), რომლებსაც თავად გააჩნიათ დაუოკებელი სურვილი პატრიარქად გახდომისა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ამგვარი ფარული ზრახვები განსაკუთრებით ძაბავდა ვითარებას პატრიარქ ილია II-ის ტახტის გარშემო მისი სიცოცხლის ხელყოფის საიდუმლო მცდელობებითაც კი, რაც დაიწყო, მოშურნე მღვდელმთავრების მხრიდან 70-იან ი წლების ბოლოდან დღემდე მოყოლებული...

1992 წლამდე კონსერვატორიის ჩელისტი, მეუფე შიო 1993 წელს აღიკვეცა ბერად, რის შემდეგაც ფორსირებულად გაგრძელდა მისი საეკლესიო კარიერა; იყო მოსკოვის ქართული ეკლესიის წინამძღვარი და ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელი, სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტი ... იგი 1969 წელსაა დაბადებული და სინოდის წევრ 47(+პატრიარქით) მეუფეედან, 12 ახალგაზრდა მეუფეთა შორის, ერთ-ერთია (ცნობისათვის: ყველაზე ახალგაზრდა მეუფე 1982 წელს დაბადებული სვიმეონია - ერისკაცობაში თეიმურაზ ცაკაშვილი – სურამის და ხაშურის ეპისკოპოსი).

მეუფე შიო, ისევე როგორც მღვდელმთავრების აბსოლუტური უმრავლესობა, მოსკოვის კგბ-სთან და რუსეთის პატრიარქ კირილთან ასოცირებული პირია. იგი, აგრეთვე რუსული პოლიტიკური ორიენტაციის ქადაგმორალისტის, ლევან ვასაძის ბიზნეს-მეწილეა (გავრცელებული ინფორმაცით ისინი თანაკლასელები არიან). პატრიარქ ილია II-სთან ლევან ვასაძეს, საპატრიარქოში, პერსონალური კაბინეტიც კი გააჩნია.

საქართველოს საპატრიარქოში არსებული ამგვარი რეალვითარების გამო, ხალხს არ გააჩნია ერთსულოვანი ნდობა და პატივი სინოდის წევრ მღვდელმთავრების მიმართ, რაც ქმნის ხიდჩატეხილობის სინდრომს ერსა და ეკლესიას შორის. თუ პატრიარქ ილია II-ის უკანასკნელი 10-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მიღწეულ იქნა ნდობის გაზრდა ეკლესიის მიმართ, ახალი პატრიარქის და სინოდის წევრთა შორის განხეთქილების შემთხვევაში, ვერ შენარჩუნდება იგი, რაც საფრთხეს შეუქმნის თვით ქართულ სახელმწიფოებრიობასაც, რასაც სასიკეთოდ გამოიყენებს გარეშე მტერი.

თუ დადასტურდა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ მეუფე შიოს კანდიდატურა პატრიარქ ილია II-ესთვის გარედან, კერძოდ, რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა უფროსის ილარიონ ალფეევის მიერ იყო თავსმოხვეული, აფხაზეთის ეკლესიის არაღიარების სანაცვლოდ, მაშინ ამ მყიფე დაპირების საპირწონე გარანტად, ნამდვილად ვერ იქცევა პატრიარქის გადაწყვეტილება, თუმცა არც უკეთესი ალტერნატივა გააჩნდა მას კანდიდატურებისა, თუნდაც ყველაზე ხმაურიანი ოპოზიციონერი მეუფე, ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრეს (ცაავა, დაბ. 1970 წ.) სახით...

პატრიარქის გადადგომის და მოსაყდრისათვის უფლებამოსილების გადაცემის შემთხვევაში, მეუფე შიომ უნდა მოიწვიოს გაფართოებული კრება, რომელზედაც უნდა მოხდეს მისი არჩევა; პატრიარქად არჩევას კი სინოდის წევრთა უმრავლესობის თანხმობა, ანუ 24 ხმა სჭირდება (ლ.ც.)

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***